ISSN 1512 - 4649

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1591/2
2012

№4 2012 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალი “ახალი ეკონომისტი” რეფერირდება:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში “ქართულ რეფერატულ ჟურნალში”.

## აღიარებულია რეფერირებულად:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასტანა, ყაზახეთი).

**ტექნიკური პერსონალი:**
მარკეტინგი: **რუსუდან მაისურაძე**

**მისამართი:** 0105, საქართველო, თბილისი ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: info@economisti.ge; **info@loi.ge**
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

## The Magazine “Akhali Ekonomisti” (New Economist) IS REVIEWED:

In “Georgian Reviewed Magazine” – P.L.L.E. Iinstitute of Techinform

## IS KNOWN AS REVIEW BY:

- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana, Kazakhstan).

**TECHNICAL PERSONS:**
Marketing: **RUSUDAN MAISURADZE**

**ADDRES:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
**tel.:** +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №4(27), 2012

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

## სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი; ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დირექტორი); გივი გამსახურდია; თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი (ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორი); მიხეილ გოგატიშვილი; რევაზ გოგოხია (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი"-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმირ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე; სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); რევაზ კაკულია; მერაბ კაკულია; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე; კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ალექსანდრე კუჭუხიძე (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ენვერ ლაბვილავა; ქაბილ მანაფოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; თეა მუნჯიშვილი; დავით ნარმანია (საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი); თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); იური როზული (ოდესა, უკრაინა); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); ალექსანდრე სიჭინავა (ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი"-ს მთავარი რედაქტორი); ბელა სვირავა; დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საერთაშორისო ვაჭრობის უნივერსიტეტი, ყაზახეთის რესპუბლიკა); მირიან ტუხაშვილი; სლავა ფეტელავა; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ლარისა ყორღანაშვილი; თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ომარ შუდრა; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი (გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის სამსახურის უფროსი); მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); აკაკი ცომაია; ნოდარ ხადური (ყოფილი მინისტრი); ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; აკაკი ხელაძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია (ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკა"-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი; ნანა ჯღარკავა.

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი", 2012წ.
© გამომცემლობა „ლოი"

ფასი 5 ლარი



ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
287/9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# the new ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №4(27), 2012

**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial board,
Doctor of Busines Administration, Assosiated Professor,
Academic of the Georgian Academy of Business Sciences.

## EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

**RAMAZ ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE** (**Director** of Business School of Shota Rustaveli State University); **GIVI GAMSAKHURDIA; TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI** (**Rector** of Akhaltsikhe State University); **SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI** (**Director** of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); **MICHAEL GOGATISHVILI; REVAZ GOGOKHIA** (**Editor-in-Chief** of magazine „Economy and Business"); **VLADIMIR GRIGOLAIA** (Moscow, Russian Federation); **WOLFGANG WENG** (Berlin, Garmany); **SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY** (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); **ELDAR ISMAILOV** (**Director** of Institute of Strategic Studies of the Caucassus, **President** of Azerbaijan Banks Association); **REVAZ KAKULIA; MERAB KAKULIA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA** (Editor of the Scientific part, **Dean** of Business and Management Scool of G. Robakidze University); **VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA** (**Rector** of Caucasus International University); **PAATA KOGUASHVILI** (member of Georgian Academy of Agroculture); **HARALD KUNZ** (Brandenburg, Garmany); **ALEKSANDRE KUCHUKHIDZE** ( Pdezident of the Georgian Academy of Business Sciences); **ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV** (**Dean** of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); **SHALVA MACHAVARIANI** (**Vice-Prasidenrt** of Caucasus University in sciens field); **ELGUJA MEQVABISHVILI; TEA MUNJISHVILI; DAVID NARMANIA** (**Minister** of Regional Development and Ifrastrusture of Georgia); **TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI** (**Rectot** of Tbilisi University); **YURIY ROBUL** (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); **VAKHTANG SARTANIA** (**Dean** of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); **ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science); **ALEKSANDRE SICHINAVA** (**Editor-in-Chief** of magazine „Business Engineering"); **GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA** (Academician of Aesthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **MIRIAN TUKHASHVILI; SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE** (**Dean** of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); **LARISA KORGANASHVILI; TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI** (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary); **OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA** (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **LALI CHAGELISHVILI** (**Head** of Department of Degree of Guram Tavartkiladze University); **MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science) **NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI** (**Deputy of Rector** of Iv. Javakhishvili Tbilisi State University); **AKAKI TSOMAIA; NODAR KHADURI** (**Minister** of Finance of Georgia); **ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; AKAKI KHELADZE** (**Dean** of Economics and Business Faculty of I. Javakhishvili Tbilisi State University); **MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA** (**Dean** of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); **JAMLET JANJGAVA** (Deputy of Editor-in-Chief); **EMZAR JGERENAIA** (**Editor-in-Chief** of magazine „Economy of Georgia"); **MICHAEL JIBUTI, NANA JGARKAVA.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე) წმიდანად შერაცხეს** . . . . 5
**მილოცვები** . . . . 6
**რედაქტორის გვერდი** - ჩემი „ოცნება" ახალი საქართველოსათვის . . . . 7

**მთავარი თემა** . . . . 10

ინტერვიუ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან - **დავით ნარმანიასთან** . . . . 10
იკრძალება არა დომინირება, არამედ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება . 14
სლავა ფეტელავა

**ეკო-დაიჯესტი** . . . . 20

**მეცნიერება**

**როზეტა ასათიანი** – ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება – პირველი რიგის ამოცანა . . . . 22
**ლოიდ ქარჩავა** – ბიზნესგარემო საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები . . . . 26
**გიორგი აბაშიშვილი, დალი სეხნიაშვილი, შოთა ვეშაპიძე** – მენეჯმენტი: კულტურა, ღირებულებები, ორგანიზაცია . . . . 35
**ზაირა დუდუშაური, ელისაბედ ბალიაშვილი, მანანა ხარხელი, ირინა ჯელია** – გამოვიყენოთ კლასტერები საქართველოს დეპრესირებული რეგიონების აღორძინებლად . . . 43
**ელისაბედ ბალიაშვილი** – სახელმწიფოებრივი კონტროლი და რეგულირება ფირმებში . . . . 47
**ომარ შუღრა** – მენეჯერის კარიერის სულიერი ასპექტები . . . . 51

**სტუდენტური ხედვა**

**მარიამ ქუთელია** - სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები საქართველოში . . . . . 62
**მარიამ კახიძე, თინათინ შენგელია** - საქართველოს გზა ევროპული ბაზრისკენ . . . . . 67
**ბერიკა წიგნაძე** - ბირჟის ჩამოყალიბების ისტორია საქართველოში . . . . 72
**სალომე ახვლედიანი** - ქრისტიანობა ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში. . . . . 79

**უცხოეთის ეკონომიკური სიახლენი** . . . . 83

**ახალი წიგნი** . . . . 85

გამოსათხოვარი . . . . 86

CONTENTS

Archimandrite Gabriel (Urgebadze) Canonized . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6
CONGRATULATIONS . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6

EDITORIAL PAGE . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7

MAIN PAGE . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10

ECO-DIGEST . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 20

SCIENCE

*Rozeta Asatiani* - **State Regulation of Budgetary relations - First order task** . . . . . . . . . . . 22
**Loid Karhava** - Business Environment in Georgia: Problems and Perspectives . . . . . . . . . . . . . . . 26
**George Abashishvili, Dali Sekhniashvili, Shota Veshapidze** - Management: Values, Culture, Organization. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 35
**Zaira Gudushauri, Elisabed Baliashvili, Irina Jelia, Manana Kharkheli** - Use Clusters To Restructure Georgian Depressed Regions . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .42
**Elisabed Baliashvli** - State Control and State Regulation in Firms . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .47
**Omar Shudra** - The Spiritual aspects if the Manager's Csreer . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 51

STUDENT'S LOOK

**Mariam Kutelia** - The Problems of Agricuture in Georgia . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 62
**Mariam Kakhidze, Tinatin Shengelia** - Georgian Path owards the European Market . . . . . . . . . . 67
**Berika Tsignadze** - Georgian Stock Exchange . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 72
**Salome Akhvlediani** - Christianity in the globalization conditions . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 79

FOREING ECONOMIC NEWS . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 83

NEW BOOK . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 85

Farewel . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 86

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე) წმიდანად შეირაცხეს



2012 წ. 20 დეკემბერს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე) წმინდანად შეირაცხა წმ. ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი-სალოსის სახელით. მისი ხსენების დღედ დაწესდა 2 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის სახელით ვულოცავთ **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლისთავს.** მთელმა მსოფლიომ იცის მისი უწმიდესობის დამსახურების შესახებ და არა მარტო საქართველოს ეკლესიის წინაშე. მისი უწმიდესობა ყოველთვის ერის გამაერთიანებლის როლს თამაშობდა და გვევლინებოდა რელიგიური თუ ეროვნული თანხმობის გარანტად. ჩვენ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ საქართველოს საკეთილდღეოდ.

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს, საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ მეცნიერს, პროფესორ **ნოდარ ხადურს** ვულოცავთ **ფინანსთა მინისტრად დანიშვნას**, ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობასა და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს, საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ მეცნიერს, პროფესორ **დავით ნარმანიას** ვულოცავთ **რეგიონული პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად დანიშვნას**, ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობასა და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს, საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ მეცნიერს, პროფესორ **ირაკლი კოვზანაძეს** ვულოცავთ **საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელ დირექტორად დანიშვნას**, ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობასა და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი „ოცნება" ახალი საქართველოსათვის

*კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენლები წინასაარჩევნოდ კითხვარებს არიგებდნენ, სადაც უნდა ჩაგვეწერა, თუ რა არის შენი ოცნება. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მინდა ჩემი სურვილები და შეხედულებები საჯაროდ გამოვხატო, რომელსაც ლოგიკური სახელი დავარქვი – **ჩემი „ოცნება" ახალი საქართველოსათვის.** სინამდვილეში კი, **ეს მხოლოდ ქვეყნის რამდენიმე სტრატეგიულ მიმართულებაზე საუბარია.** კერძოდ კი, აი, რა არის ჩემი „ოცნება":*

1. უპირველეს და გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია, **დაიწყოს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავება,** რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა დაინტერესებული პოლიტიკური პარტია, მკვლევარ-მეცნიერი, ფიზიკური თუ იურიდიული პირი, მთელი საზოგადოება, ვისაც კი ამის სურვილი და შესაძლებლობა ექნება. ალბათ, მისაღები და მიზანშეწონილი იქნება, მთავრობის მიერ შემუშავებული „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის" საერთო-სახალხო განხილვის საგნად იქცეს და საჯარო განხილვის შემდეგ, მას დაერქვას - **„ქვეყნის ეროვნული განვითარების სტრატეგია".** აქსიომაა, მაგრამ მაინც ვიტყვით: **ქვეყნის სტრატეგიული მიმართულება არ უნდა იცვლებოდეს პარტიის დონეზე.** ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ არა მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამის ხარისხზე და ვარგისიანობაზე, არამედ მისი შედგენის დემოკრატიულობაზე. **ზოგადი პრინციპი ასეთი უნდა იყოს: სტრატეგიული და ეროვნული მნიშვნელობის ნორმატიული დოკუმენტისა თუ ერთჯერადი გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს საჯარო განხილვის შედეგად** და არა რომელიმე ერთი, თუნდაც ყველაზე დემოკრატიული და ავტორიტეტული პარტიისა თუ კოალიციის მიერ.

შედარებისათვის მოვიტანთ იაპონიის მაგალითს, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელისუფლება, მეცნიერებთან ერთად, სამი წელი მუშაობდა ქვეყნის კონსტიტუციაზე. მათ 1948 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლითაც საერთოდ უარი თქვეს სამხედრო შეიარაღებაზე (დაიტოვეს მხოლოდ სასაზღვრო ჯარი 14 ათასი კაცის შემადგენლობით) და შეიმუშავეს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. რის შედეგადაც 20 წლიწადში სანიმუშო ქვეყანა გახდა. ყურადსაღებია ისიც, რომ იაპონიამ მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ აიღო კრედიტი 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო 20 წლის შემდეგ დღემდე სხვა ქვეყნებს ეხმარება ფინანსურად.

ისმება კითხვა: ჩვენ რა გვიშლის ხელს? პასუხი მკითხველისთვის მიგვინდვია.

2. **სამართლებრივი სახელმწიფო, დემოკრატიული პრინციპებით.**

ზოგადად ამ იდეას ყველა ემხრობა, კომუნისტების დროსაც კი თითქოს ხალხი ირჩევდა დეპუტატებს. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ხდებოდა, რაც ყველამ კარგად ვიცით. იდეა სწორია, მაგრამ მთავარია, ვის როგორ ესმის ამ იდეის განხორციელება.

ჩვენ ვემხრობით დღევანდელი ხელისუფლების მოსაზრებას, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მაქსიმალურად მოახდინოს რიგი სტრუქტურების დეცენტრალიზება. დემოკრატიული მმართველობის მექანიზმი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და კონტროლირებადი რიგითი მოქალაქის მიერაც კი, მისი სურვილის შემთხვევაში. **საზოგადოების ჩართულობა სახელმწიფო მართვაში მაქსიმალურად უნდა იყოს ხელმისაწვდომი.**

ასევე, ხელისუფლების არც ერთ შტოს არ უნდა ჰქონდეს ხელისუფლების სხვა ორგანოებზე პირდაპირ თუ ირიბად დომინირების ან უზურპაციის შესაძლებლობა. მიზანშეწონილი იქნება შესაძლებლისდაგვარად არჩევითი იყოს რიგი მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელები. (აუცილებელი არ არის პირდაპირი არჩევა, მაგრამ რაიმე მექანიზმის მოფიქრება და შემუშავება ნამდვილად შეიძლება) მაგალითად, ყველა დონის მოსამართლეები, პროკურორები, პოლიციის უფროსები, სახელმწიფო აუდიტის (ყოფილი კონტროლის პალატის) თავმჯდომარე, სახალხო დამცველი და ასე შემდეგ... არ დაინიშნონ პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის მიერ. პარლამენტში მიღებული უმრავლესობა ამტკიცებს მთავრობის შემადგენლობას, ე.ი. ეს პარლამენტი და მთავრობა, ანუ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთი გუნდია. ასეთ შემთხვევაში მაკონტროლებელი ორგანო – სახელმწიფო აუდიტის სამსახური და ისეთი სახელმწიფო სტრუქტურა, როგორიცაა სასამართლო, პროკურატურა, სახალხო დამცველი და ა.შ. უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი ამ ორისაგან, რათა მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელი არ იყოს „ვალდებული" რაიმე ფორმით, თუნდაც მორალურად, ხელისუფლების რომელიმე შტოს წინაშე და ეჭვიც კი არავის შეეპაროს მათი მხრიდან შესაძლო მიკერძოებაზე. ჭეშმარიტი დემოკრატია ეს იქნება!

ტექნიკურად ეს საკითხი მოგვარებადია, მთავარია მისი პოლიტიკური ნება.

მანამდე, როგორც პარლამენტსა და მთავრობაში, ისე სამინისტროებში შეიქმნას დიდი საბჭოები, სადაც საზოგადოების მონაწილეობით განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები. მისასალმებელია, რომ

ეს პროცესი რაც სამინისტროებში უკვე დაწყებულია. ამიტომ, თუნდაც საზოგადოების ნართულობის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო სტრუქტურებში **სასურველია იყოს კოლეგიალური, სათათბირო ორგანოები საზოგადოებრივ საწყისებზე.**

### 3. მართებული, სახელმწიფო იდეოლოგიის აუცილებლობა

იდეოლოგიის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და აუცილებელი, განსაკუთრებით იმ ეტაპზე, როცა ახალი გუნდი მოდის ხელისუფლებაში. იდეოლოგიაში თუ წააგე, მას ადრე თუ გვიან აუცილებლად მოჰყვება პოლიტიკური დამარცხება, რადგან ნდობას დაკარგავ ხალხის თვალში. რუსთაველი ამბობს: „სიცრუე და ორპირობა **ავნებს სულსა, მერმე ხორცსა.**“ ანუ ჯერ სულს ავნებს და მერე ხორცსა-ო. იდეოლოგია სულიერების ნაწილია. ის გონების მეტამორფოზაზე ზემოქმედებს, ხოლო გონება თავის მხრივ მოქმედებისკენ უბიძგებს ადამიანს.

იდეოლოგიის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ცოტა შორს წავალთ და მოკლედ განვიხილავთ მას, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანია და შეიძლება გადამწყვეტიც კი.

იდეოლოგიას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ძველ დროშიც. რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

რომაელი სარდალი, რომელსაც სპარტაკის აჯანყების ჩახშობა დაევალა, ამბობს: „მე სპარტაკის განადგურება კი არ მინდა, არამედ მითის განადგურება სპარტაკის შესახებ“-ო. ანუ გონებაზე ზემოქმედებას უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ფიზიკურ ზემოქმედებას.

ჰუნების მეფე, ატილა ამბობს: „მე მინდა არა მხოლოდ მემორჩილებოდნენ, არამედ ის, რომ სჯეროდეთ ჩემი.“

ძალიან ძნელია ხალხის მართვა, თუ ის სულიერად არ აიყოლიე, არ მიეცი ნდობა ხელმძღვანელის მიმართ, რწმენა ნათელი მომავლისა. რაც უფრო სწორი და სამართლიანი იქნება იდეოლოგია და ქმედებაც მასთან ჰარმონიულად მოხდება, მით უფრო ხანგრძლივი იქნება მმართველობა.

იდეოლოგიას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე.

XX საუკუნეშიც, ჰიტლერმა მხოლოდ იდეოლოგიის საფუძველზე შეძლო ბოროტი, მაგრამ უზარმაზარი ძალაუფლების კონცენტრირება. მან შექმნა იდეოლოგიის მინისტრი, რითაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იდეოლოგიას. მან თაობა აღზარდა თავისი „იდეებით“, ისე როგორც სტალინმა. 1937 წლის ცნობილი რეპრესიები სხვა არაფერი იყო, თუ არა იდეოლოგიური „მტრების“ განადგურება. სხვა საკითხია თუ რატომ არ გააკეთა ეს ასე მასშტაბურად თუნდაც 10 წლით ადრე. ის მოსალოდნელი იმისთვის ემსახურებოდა, [illegible] კი ერთიანი იდეოლოგიის გარეშე ვერ [illegible]

სტალინის [illegible] და შემდგომ [illegible] კავშირის დაშლამდე არსებობდა ასეთი თანამდებობა - **ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში.**

**„ხელოვნება სულის ინჟინერია“-ო**, ამბობდნენ კომუნისტები. ამიტომაც ქმნიდნენ კომუნისტების დაკვეთებით საბჭოთა იდეოლოგიისთვის მისაღებ ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმოებებს. ამის ბრწყინვალე მაგალითია ფილმი „გიორგი სააკაძე“, რომელიც დიდი სამამულო ომის დროს გადაიღეს სტალინის დავალებით, რათა ჯარისკაცებისთვის ეჩვენებინათ, რომ აი, ნახეთ, პატრიოტი გიორგი სააკაძე თავის შვილს სწირავს სამშობლოს, თქვენც მას უნდა მიბაძოთ, თავი უნდა გაწიროთ სამშობლოსთვის-ო. სტალინმაც იდეოლოგიის გამო გაწირა თავისი შვილი - იაკობი. საბჭოთა იდეოლოგიის ნაყოფია ლექსი [illegible] „[illegible] ბიჭი“. საბჭოთა იდეოლოგიას ემსახურებოდა პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები. იდეოლოგიის ნაწილი იყო „შრომის გმირების“ ინსტიტუტის შემოღება. ეს იყო მასტიმულირებელი საშუალება მშრომელი ადამიანებისთვის და კიდევ უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება.

სწორედ იდეოლოგიის გამო იყო საბჭოთა სივრცე ჩაკეტილი, რათა ხალხს არ ენახა საზღვარგარეთის უკეთესი ცხოვრების პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუჩნდებოდა პროტესტის გრძნობა. სწორედ ამიტომ მოხდა თვითმფრინავის გატაცება 1983 წლის 18 ნოემბერს ახალგაზრდების მიერ, რომლებიც, როგორც შემდეგ ე. შევარდნაძემ თქვა: **„ყველა უზრუნველყოფილი ოჯახის შვილები იყვნენ. სულ ყველა.“** სწორედ იდეოლოგიას ემსახურებოდა მთელი კავშირის მასშტაბით პარტიული აგიტატორები სოფლებსა და უბნების დონემდეც კი. ყველა დიდი ორგანიზაციის ხელმძღვანელს ჰყავდა მოადგილე იდეოლოგიის დარგში.

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორი, მართებული სახელმწიფო იდეოლოგია ქვეყნისთვის აუცილებელია!**

მოგეხსენებათ, რომ როგორც შერისხვაა სუსტი ადამიანის თვისება, ისე მიტევებაც ძლიერი ადამიანის თვისებაა. ხალხს კი ძლიერი თვისებების მქონე ადამიანის წინამძღოლობა სურს და არა მშიშართა, ცბიერთა და უზნეოთა. **ესეც იდეოლოგიის ნაწილია.**

კიდევ ერთ მაგალითს მოვიტანთ, რომელიც ზნეობას ეხება, რაც, ასევე, იდეოლოგიის ნაწილია:

*რომაელი სარდალი, პუბლიუს კორნელიუს სციპიონი ძვ.წ. [illegible] ძვ-2-3 საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა. რომელმაც დაიპყრო ესპანეთი. [illegible] ნაწილი, სხვებთან ერთად ტყვეებში [illegible] და მისი [illegible]*

*ესპანეთში გამარჯვების შემდეგ სკიპიონს მოახსენეს, რომ დატყვევებულთა შორის იმყოფებოდა იშვიათი სილამაზის ახალგაზრდა პრინცესა, რომელიც თვით ერთ-ერთი მისივე ლეგიონერისთვის დასაჯილდოებლად უნდა გადაეცათ ამ ხანებში. მან ბრძანა, ისეთივე მზრუნველობა გამოეჩინათ მისდამი, როგორც მშობლიურ სახლში გამოიჩენდნენ, შემდეგ კი მოიყვანა მისი შეყვარებული, უფლისწული ცოლად, ხოლო მისი მიერ ქალიშვილის გამოსასყიდად გამოგზავნილი ფული მის მშობლებს მისცა, მაშინ, როცა თვითონაც ახალგაზრდა და უცოლო იყო, თანაც გამარჯვებული.*

*ეს იყო თავშეკავებულობის, გამძლეობისა და დიდსულოვნების შესანიშნავი მაგალითი, რამაც ესპანეთის მთელი მოსახლეობა აღაფრთოვანა და ათქმევინა: „მოვიდა ღმერთის მსგავსი, და დაიმორჩილა ყველა, არა მარტო იარაღით, არამედ თავისი სიკეთითა და მადლიანობით."*

ამ ამბავს ყვება XVIII საუკუნის ინგლისელი საზოგადო მოღვაწე გრაფი ჩესტერფილდი თავისი ვაჟისადმი მიწერილ წერილში.

პირველი პირის პირადი მაგალითი გადამდებია ხელქვეითებისთვის და მით უმეტეს მოსახლეობისთვის.

რადგან პირველი პირის მორალური თვისებები ვახსენე, კიდევ **ერთ** მაგალითს მოვიტან: *გრაკუს მოკლეს, გორდიუსულებმაც ორი კურთხ ფული, მისმა ოპონენტმაც გამოსახული ფული, მისმა თანამოაზრეებმა გაში. ქალის ბევრითი შეეკითხა მას, რომ ქალის ხოლო არ უწყებინათ მისთვის, რადგან მისვის დღეები იყო. გრაკუს მისცა რამაც იყო საქმე და მოუხედავად იმისა, რომ ეს წამლებით იყო ხელში მისთვის, მან უარი თქვა მიცემაზე „ამ რომ ამ ყმებს, ხალხი გაიცინებდა."*

დაბოლოს, **საქართველო პოლიტიკის იდეოლოგიის ნაწილია.** უმჯობესია, ამასრულებელ ხელისუფლებაში ხალხისთვის საკმაოდ ცნობილი, მაგრამ პატიოსანი და კომპეტენტური მეცნიერი მოვიდეს, ვიდრე „ცნობილი" პოლიტიკოსი თავისი გაურკვეველი ამბიციებით. კომუნისტების დროს ძალიან პოპულარული იყო ლოზუნგი: „**კადრები წყვეტენ ყველაფერს!**"

**იდეოლოგიის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ერის გაერთიანება ერთი იდეის - ეროვნული სახელმწიფოს შენების გარშემო.** როგორც კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „**თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაშინ მას მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს**". ერმა გაერთიანება რომ მოინდომოს სწორედ ისეთი იდეა უნდა მისცე, რომლის გარშემოც ყველა გაერთიანდება. აქ მარტო გულწრფელობა და სამართლიანობა არაა საკმარისი. აქ საჭიროა სწორედ იდეოლოგია და PR. PR. - საზოგადოებასთან ურთიერთობა, - ესაა **საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მიმართული საქმიანობა რაიმეს მიმართ.** ეს ნიშნავს, სასურველი ინფორმაციის მიტანას საზოგადოებამდე იმ კუთხით, რაც შენ გჭირდება. ამიტომაც არის ტერმინები როგორიც PR, ასევე „შავი **PR**". მე ჯერ არსად შემხვედრია და შეიძლება „დავაბრალოთ" ახალი ტერმინის შემოღება, ესაა – „ცრუ **PR**". ჩვეულებრივ, PR-ის შემთხვევაში საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია სწორია, მაგრამ ის გაფილტრულია საზოგადოებაში იმიჯის ნდობის ამაღლებაზე. „შავი **PR**" მქვია, როცა ლონისძიება ვინმეს ან რაიმეს იმიჯის შელახვისკენ არის მიმართული, თუმცა ინფორმაცია სწორია, უბრალოდ ამა თუ იმ სუბიექტის უარყოფითი მხარეა წარმოჩენილი, ხოლო „ცრუ **PR**"-ის **შემთხვევაში საქმე გვაქვს საზოგადოების მოტყუებასთან.**

საჭიროა ნამდვილი, **ეროვნულ ღირებულებებზე დამყარებული PR,** რომელიც ადამიანების **ცნობიერების, ზნეობის, მორალის, ღირსების განცდის ამაღლებაზე იქნება მიმართული.** ეს კი მხოლოდ სწორი და დაუღალავი იდეოლოგიური მუშაობით შეიძლება, რაც ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ, არ კეთდება საჭირო დონეზე ხელისუფლების მხრიდან. იდეოლოგია უნდა იგრძნობოდეს ყველა სფეროში, ყველა დონეზე, ყველა თაობაში.

**დასკვნის** სახით შეიძლება ითქვას, რომ ესაა სამი სტრატეგიული მიმართულება: **1)ქვეყნის სტრატეგიის შემუშავება ფართო საზოგადოების მონაწილეობით; 2)მაქსიმალურად სამართლიანი და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება სახელმწიფო მართვაში; და 3)ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის შემუშავება და მისი ცხოვრებაში გატარება,** რომელიც უნდა იყოს იდეალური, რაზედაც უნდა აღიმართოს სხვა დანარჩენი ზედნაშენი.

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, დარწმუნებული ვარ, 2013 წელი უფრო იმედიანად შემოვიდა და ის წარმატებული იქნება სრულიად საქართველოსათვის. ვუსურვებ მთელს საქართველოს მოსახლეობას მეტი სიკეთე, მეტი წარმატებები მოეტანოს ახალ წელს. გილოცავთ და ღმერთი ფარავდეს სრულიად საქართველოს.

ლოიდ ქარჩავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

4 იანვარი, 2013 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



## ინტერვიუ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან - ბატონ დავით ნარმანიასთან

*ახალმა მთავრობამ თავიდან განაცხადა, რომ სამინისტრო გაუქმდებოდა. მერე თქვა, რომ გაუქმების პროცესმა გარკვეული პერიოდით გადაიწია, არადა, რეგიონული პოლიტიკა და ინფრასტრუქტურის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრეთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს დავით ნარმანიას, რომელმაც ყურადღებით, ამომწურავად გასცა პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებს.*

**- ბატონო დავით, თავიდანვე ითქვა, რომ რეგიონული პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო დაიშლებოდა. მერე განაცხადეთ, რომ გაუქმების პროცესი ერთი წლით გადაიდო. რა იყო ამის მიზეზი?**

- ჩვენი სამინისტრო ძალიან ბევრ ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს ჯამური 900 მლნ ლარის მოცულობის ბიუჯეტით, რასაც მნიშვნელოვანი კოორდინაცია სჭირდება. ამასთან, 2013 წლიდან აქტიურად იწყება მუშაობა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების და დეცენტრალიზაციის საკითხებზე, რაც ასევე სამინისტროს მხრიდან მოითხოვს აქტიურ მუშაობას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელსაც ინფრასტრუქტურული პროექტები უნდა გადაბარებოდა, ფუნქციურად საკმაოდ დატვირთულია და მომავალში კიდევ უფრო მეტად უნდა დატვირთოს. ამიტომაც, პრემიერ-მინისტრთან შესაბამისი მსჯელობის შედეგად სამინისტროს დაშლის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. მიუხედავად ყველაფრისა, მცირედი ცვლილებები მაინც მოხდა. შარაბდა-კორწახის რკინიგზის მშენებლობაზე და მართვაზე ზედამხედველობის საკითხები ჩვენი სამინისტროდან გადაცემული იქნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის.

**- ბატონო დავით, ალბათ, უპრიანი იქნება შევაფასოთ მიმავალი 2012 წელი. როგორი იყო იგი თქვენი სამინისტროსთვის? რომელი იყო წარმატებული პროექტები და რომელი წარუმატებელი?**

- 2012 წელს ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი იქნა განხორციელებული, თუმცა ბოლო თვეებში ჩვენმა მუშაობამ გვიჩვენა, რომ იყო გარკვეული შეფერხებები ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარისხთან და ხარჯების ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ამასთან, ლაზიკის მიმდებარე ტერიტორიაზე იქნა სამუშაოები შესრულებული, რაშიც 13.3 მლნ ლარი დაიხარჯა ისეთ პირობებში, როდესაც ლაზიკის განვითარების გეგმა, ფინანსური წყაროები და სხვა კომპლექსურად მოწესრიგებული საკითხები არ იყო. მნიშვნელოვანი პრობლემებია დაგროვებული კახეთში თელავის ისტორიული უბნების რეაბილიტაციის ნაწილში, ახტალის კურორტის მშენებლობის პროცესში და სხვა. საგზაო სამუშაოების თვალსაზრისით ბევრი რამ იქნა განხორციელებული, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალებზე, ასევე შიდასახელმწიფოებრივ გზებზე. გზების მდგომარეობა ქვეყანაში ეტაპობრივად უმჯობესდება, რისი გაგრძელებაც 2012 წლის ნაკარნახევი სამუშაოები იყო. ასევე, დაიწყო რეგიონებში წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება, რაზეც 2012 წელს ასევე მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა განხორციელებული.

**- სამინისტროს დასახელებაშიც ჩანს ორი ძირითადი მიმართულება -**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რეგიონალური განვითარება და ინფრასტრუქტურის. შესაბამისად ჩვენც დავყოთ მიმართულებები და ისე ვისაუბროთ. არჩევნების მერე ძალიან მწვავედ წარმოჩინდა საკითხი ადგილობრივ თვითმმართველობებში. რამდენიმე რაიონის გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე იძულებული გახდა გადამდგარიყო. იქნებ შეიძლებოდა თანაარსებობა, თანაცხოვრება, იგივე, როგორც მოდაშია უცხოური ტერმინის გამოყენება - „კოჰაბიტაცია"?**

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობა ორ ძირითად მიმართულებად იყოფა:

1. **რეგიონული განვითარება**, რაც თავის თავში გულისხმობს მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ოპტიმიზაციის და გაძლიერების, ხელისუფლების რეგიონული დონის მოდიფიცირების და სრულყოფის მიმართულებით დაგეგმილ მნიშვნელოვან რეფორმებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებას, რეფორმების განხორციელების სამართლებრივ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და კოორდინაციას, რეგიონული განვითარების სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების სისტემის სრულყოფას, მისის შემუშავების კოორდინაციას ცალკეული რეგიონებისთვის.

2. **ინფრასტრუქტურის მოწესრიგება**, რაც თავის თავში გულისხმობს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების, ხიდების, გვირაბების მოვლა-პატრონობას, ნაპირსამაგრ სამუშაოებს, საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგებას, ნაგავსაყრელების მართვას, ინ ფრასტრუქ ტურული ობიექტების საშენებლო, სარეაბილიტაციო და სხვა სახის სამუშაოების განხორციელების კოორდინაციას.

ინფრასტრუქტურის მოწესრიგება რეგიონული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. ამდენად, ეს ორი სფერო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ხშირ შემთხვევაში ერთადაა წარმოდგენილი. რეგიონული განვითარების ერთ-ერთ წინაპირობად აუცილებელია განვიხილოთ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება და დეცენტრალიზაცია. 2013 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეფორმებია დაგეგმილი, რომელიც მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

რაც შეეხება გამგეობებში და საკრებულოებში მიმდინარე პროცესებს, ეს ქვეყანაში ჩატარებული არჩევნებისა და ახალი ძალის მოსვლის ლოგიკური გაგრძელებაა. ჩვენი სამინისტრო ამ პროცესებში არ ერევა, ვინაიდან ეს არ არის ჩვენი ფუნქცია. ჩვენი ფუნქცია მხოლოდ რეგიონებში მიმდინარე პროექტების კოორდინაციაა.

**- რამდენად შედის თქვენი სამინისტროს ფუნქციებში ამ საკითხების მოგვარებაში ჩარევა?**

- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობები დამოუკიდებელი ერთეულები არიან და ცენტრალურ ხელისუფლებას არა აქვს მათ საქმიანობაში აქტიური ჩარევის უფლება. ცალკეულ სახელისუფლებო ორგანოებს მხოლოდ ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ. ესენი არიან იუსტიციის სამინისტრო საკანონმდებლო საქმიანობის ზედამხედველობის ნაწილში და გუბერნატორები - ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილში. შესაბამისად, ჩვენს სამინისტროს ფუნქციებში არ შედის მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მოგვარება-ჩარევა და ჩვენ მხოლოდ გვერდიდან ვაკვირდებით მოვლენებს.

**- რა გეგმებია რეგიონული პოლიტიკის მიმართულებით ინსტიტუციონალური კუთხით? ხომ არ იგეგმება რაიმე ცვლილება?**

საქართველოში დღეისათვის მოქმედი, მაქსიმალურად ცენტრალიზებული მმართველობითი სისტემა ვერ უზრუნველყოფს ვერც საზოგადოებრივი მომსახურების ადეკვატურ მიწოდებას მოსახლეობისთვის და ვერც გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას. სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდება კრიზისულ პერიოდებში, როცა გაუმართავი და არაეფექტური სისტემა, არსებული გამოწვევების გადაჭრის პროცესის დარეგულირების ნაცვლად დამატებითი პრობლემების წარმოქმნის.

„ძლიერი, დემოკრატიული და ერთიანი საქართველოსთვის" საქართველოს მთავრობის პროგრამის შესაბამისად, საქართველოში უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა. რეფორმის მოსამზადებელი გარკვეული სამუშაოები 2013 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს და მთავრობის მხრიდან რეფორმის მონაწილე დაწესებულებას განეკუთვნება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. 2013 წლის განმავლობაში სამინისტროს მხრიდან განხორციელდება შემდეგი ამოცანები:

• საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციის სტრატეგიის და

განხორციელების ეტაპების მიხედვით ამოცანების ამსახველი დოკუმენტის შემუშავება და შეთანხმება;

• დეცენტრალიზაციის სტრატეგიაზე დაფუძნებული დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავება 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე;

• დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში დასამუშავებელი კონკრეტული საკითხების მიხედვით სამუშაო ჯგუფების შექმნა და კოორდინაცია სხვადასხვა უწყებების და დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით. ჯგუფების ფარგლებში დამუშავდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამხარეო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის, უფლებამოსილებების, ქონებრივი და ფინანსური რესურსების გამიჯვნის, სახელმწიფო ზედამხედველობის, რეფორმების უზრუნველმყოფი სტატისტიკური და გეოინფორმაციული სისტემების შექმნის, მაღალმთიანი და განსაკუთრებული დასახლებებისთვის სპეციალური საკანონმდებლო რეჟიმების შექმნის და სხვა მიმართულებებით კონკრეტული საკითხების დამუშავებისთვის. რის საფუძველზეც მომზადდება კანონპროექტები საქართველოს პარლამენტში;

• დეცენტრალიზაციის რეფორმების უზრუნველყოფისთვის სტატისტიკური მონაცემების მოპოვება-დამუშავების და გეოინფორმაციული სისტემების შექმნა;

• რეფორმების შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული ხელისუფლების ტრანსფორმირების, მათი უფლებამოსილებების, ინსტიტუციური მოწყობის, კომპეტენციების ფინანსური სისტემისა და სხვა საკითხების შემცველი საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება და საქართველოს პარლამენტში წარდგენა;

• „სოფლის შესახებ" კანონპროექტის შემუშავება და საქართველოს პარლამენტში წარდგენა;

• „მაღალმთიანი და განსაკუთრებული დასახლებების შესახებ" კანონპროექტის მომზადება და საქართველოს პარლამენტში წარდგენა;

• დასახლებებში კრებების ჩატარების და საზოგადოებრივი თვითმმართველობის არჩევის (სოფლების საზოგადოებრივი საბჭო და მამასახლისი) პროცესის ტექნიკურ-სამართლებრივი კოორდინაცია;

• დეცენტრალიზაციის მიმართულებით საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პროცესის კოორდინაცია და ინფორმაციული, ტექნიკური და სამართლებრივი უზრუნველყოფა.

• საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული თვითმმართველობის რეფორმის საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად, ხელისუფლების დონეებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის, ქონებისა და ბუნებრივი რესურსების გამიჯვნის, საბიუჯეტო ფინანსების გამიჯვნის და ფინანსური გამოთანაბრების სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების ტექნიკურ-ინფორმაციული უზრუნველყოფა და კოორდინაცია;

• წყალმომარაგების, საგზაო ინფრასტრუქტურის და მყარი ნარჩენების, ასევე სხვა ინფრასტრუქტურული მომსახურების მიწოდების სისტემების ადაპტირება დეცენტრალიზაციის მიმართულებით რეფორმებთან;

• დეცენტრალიზაციის მიმართულების რეფორმასთან დაკავშირებული ფართო მასშტაბის ტრენინგ-პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება;

• სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის სრულყოფა და კოორდინაცია;

• რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდით გათვალისწინებული პროექტების შერჩევის მექანიზმის სრულყოფა და კონკრეტული პროექტების შერჩევისა და რეალიზაციის კოორდინაცია.

**- თქვენი სამინისტროს ბიუჯეტი თითქმის 900 მილიონი ლარია. რა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება იგეგმება 2013 წელს ამ ბიუჯეტით?**

- 2013 წლის ბიუჯეტით 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის პროექტი განხორციელდება. მათგან განსაკუთრებით გამოსაყოფია შემდეგი პროექტები:

• **ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა** - ავტომაგისტრალის რუისი-აგარის 19 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა და აგარა-ხაშურის 14 კმ მონაკვეთის დაწყება; წინა მონაკვეთებზე დარჩენილი სამუშაოების დასრულება იგოეთი-რუისის მონაკვეთებზე; ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა; სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის 27.5 კმ. მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა; ქობულეთის შემოვლითი გზის დასრულება;

• **თბილისი-რუსთავის** ჩქაროსნული საავტომობილო გზის II მონაკვეთის პროექტირების დასრულება და სამშენებლო







ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოების დაწყება I და III მონაკვეთებზე, სულ 17 კმ. ჩქაროსნული 4-ზოლიანი გზა;

• **გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია** 2012 წლიდან გარდამავალ 15 მონაკვეთზე;

• **არსებული ხიდების და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაცია**, გამოვლენილ და შესწავლილ 19 მონაკვეთზე/ობიექტზე.

• **გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში**, დაზიანების გამოვლენის მიხედვით წინასწარ დაგეგმილ 33 ზონაში;

• **ნაპირსამაგრი სამუშაოები** სხვადასხვა ფორს-მაჟორული ვითარების ლიკვიდაციის მიზნით 15 ობიექტზე;

• თელავის და წყალტუბოს საკურორტო და ტურისტულ ზონებში დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება, მსოფლიო ბანკის (WB) მიერ გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში;

• **დევნილთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მათთან დაკავშირებული სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა.** აღნიშნული ღონისძიებები გულისხმობს ქ. ფოთში 280-ბინიანი 7 სახლის და ზუგდიდში 8-კორპუსიანი უბნის მშენებლობის დაწყებას ასევე სხვადასხვა ტერიტორიებზე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილთათვის 14 სხვადასხვა მიმართულებით დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობას (შიდასაუბნო გზა, სანიაღვრე არხი, წყალმომარაგება და ჰიგიენური პირობების შექმნა).

**- შიდა გზებზე როგორი სიტუაციაა?**

- შიდა (ე.წ. მუნიციპალური) გზების მოვლა-პატრონობა ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებაა. ჩვენი სამინისტრო მხოლოდ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების მოვლა-პატრონობაზეა პასუხისმგებელი. მუნიციპალიტეტები სამწუხაროდ,მწირი ფინანსების პირობებში ვერ ახორციელებენ მეტი გზის შეკეთებას, მაგრამ მათ წლის განმავლობაში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყოთ სახსრები, რითაც 2013 წელს საშუალება ექნებათ დამატებით დააფინანსონ საგზაო სამუშაოები.

**- ინფრასტრუქტურის კუთხით ყველაზე მეტად რომელ რეგიონს უჭირს? რომელ ქალაქს?**

ძირითადი ინფრასტრუქტურული პრობლემები მაღალმთიან რეგიონებშია. ამიტომაც, ჩვენ აქტიურად ვეწევით მაღალმთიან რეგიონებზე ზრუნვას, რისთვისაც ცალკე კანონ-პროექტს ვამზადებთ და იქ განსაზღვრული იქნება მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების გზები/საშუალებები.

**- დიდი მადლობა ბატონო დავით, რომ დაგვითმეთ დრო და გვიპასუხეთ დასმულ შეკითხვებზე. ასევე, მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები გისურვოთ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

- თქვენც დიდი მადლობა და მეც გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა ჟურნალ „ახალი ეკონომისტის"
მთავარი რედაქტორი ლილი ჭარხავა
27 დეკემბერი 2012 წელი

# იკრძალება არა დომინირება, არამედ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

ეროვნული ბიბლიოთეკა



სლავა ფეტელავა
ექსპერტი ეკონომიკური კონკურენციის საკითხებში,
ასოცირებული პროფესორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

*საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის გაზაფხულზე მიიღო ახალი ანტიმონოპოლიური კანონი, ხოლო მანამდე საქართველოს მთავრობამ 2010 წლის ბოლოს დაამტკიცა კონკურენციის ეროვნული სტრატეგია, თუმცა ამის მიუხედავად სხვადასხვა დონის ექსპერტები მუდმივად ამახვილებენ ყურადღებას ქვეყნის ცალკეული სასაქონლო ბაზრების მონოპოლიზაციაზე და აქტიურად საუბრობენ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებაზე. ამ საკითხებში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, ჟურნალ „ახალი ეკონომისტი"-ს მთავარი რედაქტორი, ლელა ქარბაია ესაუბრა ექსპერტს ეკონომიკური კონკურენციის საკითხებში, ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორს სლავა ფეტელავას, რომელიც აქტიურად იყო და არის ჩართული ქვეყანაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეალიზების პროცესში. ის ნამდვილად დაკავებული (1997-2005 წწ.) იყო საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი (მაო მისის სამსახურის უფროსის) ხოლო შემდეგ (2005-2011 წწ.) ხელმძღვანელობდა სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოში კონკურენციის მიმართულებას. ამასთან, მისი სამეცნიერო კვლევების თემატიკას წარმოადგენს - ეკონომიკური კონკურენციის თეორია და პრაქტიკა.*

**- ბატონო სლავა, პირველ რიგში გვინდა მოგილოცოთ კარს მომდგარი შობა-ახალი წელი და გისურვოთ წარმატებები. ამასთან, რამდენადაც საქართველოში სასაქონლო ბაზრებზე არსებული მონოპოლიების სიმრავლეზე საუბრობს თითქმის ყველა, ძალიან საინტერესოა თქვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა საქართველოში მონოპოლიები?**

- მეც მინდა ვისარგებლო შემთხვევით და პირადად თქვენ, ბატონო ლელა, და თქვენი სახით ჟურნალის მთელ კოლექტივს და ყველა თქვენს მკითხველს მივულოცო შობა-ახალი წელი და ვუსურვოთ ყოველივე საუკეთესო ცხოვრებაში.

ახლა რაც შეეხება კითხვას, საქართველოში მონოპოლიების არსებობასთან დაკავშირებით, მინდა მოგახსენოთ, რომ ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები არც თუ ისე ბევრია, თუმცა რამდენია და რომელ სასაქონლო ბაზრებზე, ამის გაცხადება შესაბამისი კვლევების გარეშე არასერიოზულია. ერთადერთი სფერო, სადაც ყოველგვარი კვლევების გარეშე შეიძლება ვისაუბროთ მონოპოლიების არსებობაზე, ესაა ბუნებრივი მონოპოლიის სეგმენტი. სხვა სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიების არსებობა, მისი განმარტებიდან გამომდინარე (მონოპოლია ნიშნავს ერთადერთს, ამასთან მსჯელობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი სასაქონლო ბაზრებზე საქონელთა ურთიერთშენაცვლებადობის საკითხიც) ნაკლებადაა მოსალოდნელი, თუ რა თქმა უნდა ეს განსაკუთრებული (სპეციფიკური) ბაზრები არ ეხება ანუ აქ იგულისხმება ის ურთიერთშენაცვლებადი კონკრეტული ბაზრები, სადაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ ექსკლუზიური უფლებები მინიჭებული, რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის (ეს ლიცენზია და კონკრეტული ინფორმაციის მიღების გარეშე ზედაპირზე არ ჩანს და ამიტომ ამ კუთხით საუბარი ბაზრის მონოპოლიზაციაზე არასწორი იქნება). აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ როდესაც

მეტის საქონლის ბაზრის მონოპოლიზაციას, სულაც გამოვრიცხოთ ტერმინი „ბაზრის დომინანტი", რამეთუ საქართველოს შესაბამისი სასაქონლო ბაზრებზე ნამდვილად არსებობენ დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტები. ეს ნეგატიური მოვლენაა, რამეთუ ნებისმიერი ეკონომიკური აგენტის მიზანს სწორედ ბაზრის დომინანტობისაკენ სწრაფვა შეადგენს (თავის მხრივ დომინირებული მდგომარეობა, ისევე როგორც მონოპოლიური მდგომარეობა არაა აკრძალული საქართველოში). თუმცა, აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს მდგომარეობა მოპოვებული იყოს კეთილსინდისიერი კონკურენციის გზით. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია ხელი კი შეუწყოს და წაახალისოს დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტის მართლზომიერი ქმედება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ეს მდგომარეობა მიღებული აქვს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გზით, ან ის ამ მდგომარეობას ბოროტად (სხვა ეკონომიკურ აგენტთა კონკურენციის შესაზღუდად ან აღსაკვეთად) იყენებს, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია გამოავლინოს და აღკვეთოს ასეთი ქმედება. თუმცა, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ, გავარკვიოთ კონკრეტული ეკონომიკური აგენტი წარმოადგენს თუ არა დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტს, ამისათვის აუცილებელია მოხდეს შესაბამისი სასაქონლო ბაზრის ანალიზი, რის გარეშეც ყველა განცხადება პოპულისტური და საფუძვლებს (მტკიცებულებას) მოკლებულია. სამწუხაროდ, კონკურენციის ნაწილში კანონმდებლობის არასრულყოფილებიდან გამომდინარე, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ამ მიმართულებით ქმედებები 2005 წლის შემდეგ პერიოდიდან არ ეწარმოებოდა (ყოველ შემთხვევაში გამოქვეყნებულ ანგარიშებში ეს არ ჩანს). ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ, ზოგადად, ქვეყნის კონსტიტუციითა და კონკურენციის კანონმდებლობით არა მონოპოლიური მდგომარეობა ან დომინირებული მდგომარეობა იკრძალება, არამედ, აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

**- „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებს, სადაც ხაზგასმულია, რომ 2005 წელს საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და სახელმწიფო რეგულირების გარეშე დატოვა კონკურენციის შემზღუდავი მოქმედებები. შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული კოალიციის უმთავრეს მიზანს, სხვა საკითხებთან ერთად, სრულყოფილი კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბება წარმოადგენს. შესაბამისად, ისმის კითხვა: თუ გაქვთ ინფორმაცია რა ხდება ამ მიმართულებით და რა კონკრეტული ნაბიჯები იდგმება ქვეყნის კონკურენციის ძირითადი კანონის სრულყოფისათვის.**

- სანამ ქვეყანაში მოქმედი კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფის მიმართულებით ამ ეტაპზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ვიტყოდე რამეს, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს წინა მთავრობამ (პრემიერ-მინისტრ ნ. გილაურის ხელმოწერით) 2010 წლის 3 დეკემბერს გამოსცა განკარგულება, რომლითაც დამტკიცდა „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია", რომლის ძირითადი პრინციპები სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის კონკურენციის სამართლებრივ ნორმებთან. მოგვიანებით, უკვე 2012 წლის 8 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელშიც, სამწუხაროდ, სრულად არ აისახა, კეთილსინდისიერი კონკურენციის ის ძირითადი პრინციპები, რაც საქართველოს მთავრობის 2010 წლის განკარგულებაშია ჩამოყალიბებული. შესაბამისად, ამ ახალი კანონის მიმართ, გარკვეული სამართლიანი კრიტიკა აქვთ როგორც უცხოელ ისე ადგილობრივ ექსპერტებს. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დგას ამ ახალი კონკურენციის ნაწილში კანონში ცვლილებების შეტანის, ან მისი სულაც ახლით შეცვლის საკითხი.

რაც შეეხება „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამას, ნამდვილად ჰქონდათ მათ კონკურენციის ნაწილში სამართლებრივი ნორმების შეცვლის სურვილი, მაგრამ ის, თუ რა კონკრეტულ ღონისძიებებს გაატარებენ ისინი ამ ნაწილში, ეს ცხადია ჩემთვის უცნობია. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორედ ამ კონტექსტში მიმდინარეობს დღეს კონკურენციის ახალი კანონპროექტის საჯარო განხილვა, რომელიც მომზადებულია საქართველოს განვითარების კვლევით ინსტიტუტში და რომლის ავტორია, ცნობილი ექსპერტი ეკონომიკური კონკურენციის საკითხებში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი ქალბატონი ქეთევან

ლადვაძის, უფრო მეტიც, ამ ინსტიტუტის მიერ მომზადებული კანონპროექტის პრეზენტაცია შედგა მიმდინარე წლის 5 დეკემბერს „თბილისი მარიოტში". ამჟამად, მიმდინარეობს პრეზენტირებული პროექტის სრულყოფა, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების (მათ შორის, ჩემს მიერაც იქნა კონკრეტული წინადადებები მიწოდებული კანონპროექტის ავტორ ქალბატონ ქეთევან ლაფაჩისათვის) საფუძველზე და იგეგმება მისი წარდგენა საქართველოს პარლამენტში მიმდინარე წლის ბოლომდე.

**- მაინც რა პრინციპული წინააღმდეგობებია დღეს მოქმედ კონკურენციის კანონში, ანუ რისი გამოსწორებაა აუცილებელი.**

- ერთი რაც პირველ რიგში უნდა ითქვას, ისაა, რომ 2012 წლის 8 მაისის „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის რედაქცია, ბევრად უფრო პროგრესულია, ვიდრე ამავე სახელწოდების 2005 წლის 3 ივნისის კანონი, რადგანაც ეს უკანასკნელი გარდა სათაურისა, არაფერი არ ჰქონდა საერთო კონკურენციის ჩარჩო ნორმებთან. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ არც 2010 წლის 8 მაისის კანონია ბოლომდე შესაბამისობაში ევროკავშირის ნორმებთან. კერძოდ - კანონი არ ვრცელდება იმ ბაზრებზე, რომლის საბაზრო ბრუნვა არ აღემატება მთლიანი შიდა პროდუქტის 0.25 პროცენტს; ასევე ის არ ვრცელდება ქვეყნის უსაფრთხოების მნიშვნელოვან ობიექტებზე და თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე; ამასთან, კანონი არ ვრცელდება ისეთ ჰორიზონტალურ ხელშეკრულებებზე, რომელიც მხარეთა ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 25 პროცენტს, ხოლო ვერტიკალური ხელშეკრულებების შემთხვევაში 40 პროცენტს (ევროკავშირის ნორმებით ეს მაჩვენებლები არ უნდა აღემატებოდეს 10 და 15 პროცენტს); ასევე კანონში ჩადებული სახელმწიფო დახმარებების მარეგულირებელი დებულებები, მთლიანად კარგავენ აზრს, რამდენადაც სახელმწიფო დახმარებების განმარტებაში აღნიშნულია, რომ ის არ გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და ქალაქ თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების დახარჯვას, თუ არადა ამ თანხებმა შესაძლებელია ცალკეულ სასაქონლო ბაზრებზე არსებულ კონკურენციაზე არსებითი გავლენა იქონიოს; ამასთან, კანონის თანახმად დასაშვებია ნებისმიერი სახის - გადასახადების შემცირებისა და რესტრუქტურიზაციის შემთხვევები, თუ აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა; ასევე კანონის რეგულირებიდან გამორიცხულია - სავალდებულო დავალიანების გადახდევინების, უზრუნველყოფის ღონისძიებების შეწყვეტისა და სავალდებულო დავალიანების ჩამოწერის შემთხვევები, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპებს შელახავს კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე; გარდა ამისა, კანონი არ ითვალისწინებს, არადა აუცილებელია, რომ კონკურენციის მთავარი სახელმწიფო ორგანო იყოს აღჭურვილი ისეთი უფლებამოსილებით, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმების უფლება არ ჰქონდეს არავის, გარდა სასამართლო ხელისუფლებისა. სამწუხაროდ, კანონის მიხედვით, მთავრობის მიერ გაცემულ სახელმწიფო დახმარებებზე საბოლოო გადაწყვეტილებას, კონკურენციის სააგენტოს რეკომენდაციების საფუძველზე ისევ მთავრობა ღებულობს, რაც არასწორია (კონკურენციის ორგანო უნდა იყოს მთავრობის მიერ მიღებული კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილებების გამომვლენი და აღმკვეთი და არა მთავრობისათვის კონკურენციის დარღვევის ფაქტებზე მხოლოდ რეკომენდაციების შემმუშავებელი).

გარდა ამისა, პრობლემატურია ის, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის დებულებების თანახმად, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლება არა აქვს მთავრობისაგან დამოუკიდებლად (საკუთარი სურვილით) მოახდინოს სასაქონლო ბაზრების ანალიზი. კერძოდ, მას ამ უფლებას ანიჭებს საქართველოს მთავრობა წინასწარ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე. შესაბამისად იმ ბაზრებზე, რომლებიც პრიორიტეტულ მიმართულებებში არაა მოქცეული, რომც ჰქონდეს ადგილი არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, მისი რეაგირების განხორციელების უფლებამოსილება სააგენტოს არ გააჩნია. ე.ი. სააგენტო პასუხს არ აგებს იმ ბაზრებზე არსებულ არაკონკურენტულ მდგომარეობაზე, რომლებიც მთავრობას პრიორიტეტულ მიმართულებებში არ აქვს შეტანილი.

**- თქვენის აზრით, პროფესორ ქეთევან ლაფაჩის მიერ მომზადებული კანონპროექტით ყველა თქვენს მიერ აღნიშნული საკითხი მოწესრიგებული იქნება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ცხადია, რომ ახალი კანონპროექტის შემუშავება სწორედ არსებული ხარვეზების გამოსწორებას ემსახურება. თუმცა, წინასწარ იმის თქმა, იქნება თუ არა ის მიღებამდე სრულყოფილი, ჯერ-ჯერობით ძნელია.

**- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ჯერ კიდევ 2007 წელს გქონდათ გამოქვეყნებული კონკურენციის ჩარჩო კანონის თქვენეული ვერსია წიგნში - „მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე". ეს რა პროექტი იყო და რამდენადაა ის ჰარმონიზებული ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან.**

- მართალი ბრძანდებით. მე ნამდვილად მაქვს ზემოაღნიშნულ წიგნში შეტანილი „ეკონომიკური კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც თავის დროზე შემუშავებული იქნა სწორედ ევროკავშირის წარმომადგენლების (ადგილობრივი და უცხოელი) აქტიური მონაწილეობით. პროექტში შესულია, ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის TACIS-GEPLAC-ის როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ექსპერტების (სამართლის დოქტორი ბატონი ჯონზეფ მაკარდლი და ბატონი ხუან იტურია გოგოლუა და სხვ.) მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები.

შესაბამისად, ქართველ და უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული ქართული საკონკურენციო სამართლის ახალი ვარიანტი (ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული ვერსია) კონრად ადენაუერის ფონდის ამიერკავკასიის წარმომადგენლობის (ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სრული პროფესორი ლევან იზორია) ხელშეწყობითა და მხარდაჭერით, ჩემს მიერ წარდგენილ იქნა საჯარო განხილვისათვის ფართო საზოგადოების წინაშე 2003 წლის 1 ივნისს სასტუმრო „თორი"-ში. საბოლოოდ, კანონპროექტი მოწონებულ და მხარდაჭერილ იქნა საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, არასამთავრობო სექტორისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კანონპროექტის დაინტერესებულ სამინისტროებთან შეთანხმებისა და შემდგომში მსვლელობის მიცემის თაობაზე. კანონპროექტის დახვეწაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს (სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებს - 2004 წ.). თუმცა, მისი მიღება გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არ მოხდა და მის ნაცვლად, მიღებულ იქნა განსხვავებულ ხედვაზე დაფუძნებული - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი, 2005 წლის 3 ივნისს. სწორედ, ამ უკანასკნელი კანონის, როგორც არაეფექტური სამართლებრივი ნორმის ჩანაცვლება მოხდა იმავე სახელწოდების (თუმცა, არასრულყოფილი ფორმით) კანონით 2012 წლის 8 მაისიდან, რომელშიც პირველი ცვლილება უკვე შევიდა (2012 წლის 22 ივნისს). კანონის ძალაში შესვლამდე (კანონი ძალაში შევიდა გამოქვეყნებიდან (25/05/2012 წელი) მე-60 დღეს).

აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ რამდენიმე წლის წინ, კონკურენციის კანონპროექტის ჩემი ვერსიის, ქვეყნის პარლამენტში წარსადგენად ინიცირებაზეც კი იყო საუბარი (ამ მიმართულებით, ცალკეულ დეპუტატთა მიერ, უმრავლესობასთან შეთანხმებით გადადგმული იყო კონკრეტული ნაბიჯები). თუმცა, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ეს საკითხი მიღებამდე ვერ იქნა მიყვანილი. ამასთან, ორიოდე თვის წინ ერთ-ერთი საინიციატივო ჯგუფის წევრებმა მთხოვეს, ჩემს მიერ გამოქვეყნებულ კანონპროექტში შემეტანა ცვლილება - კანონის აღმასრულებელი ორგანოს ინსტიტუციური მოწყობის ნაწილში (კანონპროექტის გამოქვეყნებულ ვერსიაში გათვალისწინებული მქონდა კონკურენციის სამსახურის კომისიური წესით მოწყობის მექანიზმები), კერძოდ, მთხოვეს კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი ორგანო განმესაზღვრა საქართველოს პარლამენტს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით. შესაბამისად, ჩემს მიერ შეტანილ იქნა კონკურენციის ჩარჩო კანონში ეს ცვლილება და სწორედ ამ ფორმით ჩამოყალიბდა - კონკურენციის ჩარჩო კანონპროექტის საბოლოო რედაქცია. მოგვიანებით, სწორედ ამ საინიციატივო ჯგუფის მიერ (ჩემთან შეთანხმების გარეშე), მოხდა - „ეკონომიკური კონკურენციის დაცვისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონპროექტის ჩემი ვერსიის გასაჯაროება „ფეისბუქ"-ს (ჯგუფი ანტიმონოპოლია) მეშვეობით, სადაც დღემდე მიმდინარეობს ამ საკითხებზე დისკუსია.

თუმცა, საბოლოოდ მინდა გავუსვა ხაზი იმას, რომ, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ქვეყნისათვის უკეთესი იქნება არა კონკურენციის ახალი ჩარჩო კანონის მიღება, არამედ, არსებული მოქმედი კანონის

(„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 2012 წლის 8 მაისის რედაქციის) დახვეწა და სრულყოფა ევროკავშირის ნორმებთან დაახლოების კუთხით. მითუმეტეს, იგივე მოსაზრება და პოზიცია გააჩნია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ატაშეს (პროექტის მენეჯერს) ვაჭრობის საკითხებში, ქალბატონ ვირჯინი კოსოულსაც, რომელსაც მე დიდ პატივს ვცემ და რომელთანაც მე მქონდა (მათივე მოთხოვნით) საკონსულტაციო შეხვედრა ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფისში, მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს.

**- 2012 წლის 1 იანვრიდან მოხდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს შერწყმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, რამაც გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისმება კითხვა, სადაური მოდელია ეს და რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ამ ორი სააგენტოს ერთად ფუნქციონირება და რამდენად ეფექტურია ის.**

- დღეს საქართველოში მოქმედი ინსტიტუციური მოწყობა, ანუ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების საქმიანობის ერთი სახელმწიფო ორგანოს ქვეშ მოქცევა, არის შვედეთში აპრობირებული მექანიზმი. კერძოდ, შვედეთის კონკურენციის სააგენტოზეა დელეგირებული ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო შესყიდვების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი. შესაბამისად, საქართველომ სწორედ ეს შვედური მოდელი გადმოიღო. თუმცა, შვედეთში წამყვანი მიმართულება - კონკურენციაა და არა სახელმწიფო შესყიდვა, ჩვენთან კი პირიქითაა (შვედეთის კონკურენციის სააგენტოში სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით მუშაობს 5 თანამშრომელი, ხოლო საქართველოს კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოში, კონკურენციის მიმართულებაზე ფაქტიურად დასაქმებულია 5 სპეციალისტი). ამასთან, დღეისათვის უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი უწყების ისევ გაყოფაზე ღიად მიდის საუბარი (ამ უკანასკნელზე, ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერში ღიად ისაუბრა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქალბატონმა ნათია მიქელაძემ, ა.წ. 5 დეკემბერს). რადგანაც ზოგიერთი ექსპერტის აზრით, აქ ინტერესთა კონფლიქტთან გვაქვს საქმე. აღნიშნული საკითხის მოწესრიგებას ემსახურება. საქართველოს განვითარების კვლევით ინსტიტუტში მომზადებული კანონპროექტი, რომლის თანახმად, უნდა მოხდეს კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გაყოფა, კონკურენციის სააგენტოს ჩამოშორდება სახელმწიფო შესყიდვების მიმართულება. თუმცა, ეს არ ნიშნავს (ყოველ შემთხვევაში არანაირად არ უნდა ნიშნავდეს) იმას, რომ კონკურენციის ორგანოს არ ექნება უფლებამოსილება საჭიროების შემთხვევაში შეისწავლოს სახელმწიფო შესყიდვების ბაზრებზე არსებული კონკურენციული გარემო და აუცილებლობის შემთხვევაში ჩაერიოს მისი კომპეტენციის ფარგლებში.

რაც შეეხება თქვენი შეკითხვის იმ ნაწილს, რომელიც ეხება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის ეფექტურობას, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ნაწილში ეს ალბათ დამაკმაყოფილებელია (თუმცა, ამ ნაწილის შესაფასებლად მე საკმარისი კომპეტენცია არ გამაჩნია), ხოლო რაც შეეხება კონკურენციის დაცვის მიმართულებას, ამ ნაწილში, რომ საქმე არაა მთლად კარგად, ეს აშკარად ჩანს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბატონ გიორგი კვირიკაშვილის 2012 წლის 21 დეკემბრის განცხადებიდან (იხილეთ სამინისტროს ვებ-გვერდზე მინისტრის განცხადება). თავის განცხადებაში, ბატონი მინისტრი ხაზს უსვამს, რომ ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე არსებობენ კარტელური შეთანხმებები და მასობრივად შექმნილი მონოპოლიები. შესაბამისად, ამ მდგომარეობის გამოსწორებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მისი ინიციატივით სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებას იწყებს (24 დეკემბრიდან) ანტიმონოპოლიური ცხელი ხაზი. ეს ყველაფერი კი, ადასტურებს იმას, რომ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეფექტურობა საგრძნობლად შელახულია ამ ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ცხელი ხაზი სწორედ ამ სააგენტოში (დღეს საქართველოს მთავრობის ქვემდებარე მოქმედი) უნდა არსებობდეს (წლების წინ - საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში მუდმივად მოქმედებდა ცხელი ხაზი, რაც საშუალებას აძლევდა ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების თემატიკით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს, მიეღო ამომწურავი ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხზე, ხოლო ანტიმონოპოლიურ სამსახურს ქონდა შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში მოეხდინა სათანადო რეაგირება ანტიმონოპოლიური,

მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების სამართლებრივი ნორმების დარღვევის ფაქტებზე).

**- იმისათვის, რომ სრულყოფილად იყოს დაცული თავისუფალი ვაჭრობისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპები, რა სახის ინსტიტუციური მოწყობაა უფრო ეფექტური.**

- ქვეყნის კონკურენციის ორგანოს ინსტიტუციური მოწყობის სხვადასხვა მოდელი არსებობს. აქ ჩვენ ველოსიპედის ხელახლა გამოგონება არ გვჭირდება. ჩემი აზრით, აშშ არის ქვეყანა, სადაც ყველაზე მეტი ყურადღება ექცევა ანტიტრესტულ რეგულირებას. შესაბამისად, იქ არსებობს ორი ძლიერი ინსტიტუტი - 1) ვაჭრობის ფედერალური კომისიისა და 2) იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული ანტიტრესტული კანონმდებლობის დეპარტამენტის სახით, თავის მხრივ ვაჭრობის ფედერალური კომისია შედგება 5 წევრისაგან, რომლებსაც 7 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი და ამტკიცებს სენატი. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ერთსა და იმავე პოლიტიკურ პარტიას არა აქვს უფლება, კომისიაში 3 წევრზე მეტი ჰყავდეს. რაც შეეხება ანტიტრესტულ დეპარტამენტს, მას ხელმძღვანელობს აშშ-ს გენერალური პროკურორის თანაშემწე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს აშშ-ს პრეზიდენტი სენატის თანხმობით; ინგლისში არსებობს კეთილსინდისიერი (სამართლიანი) ვაჭრობის ოფისი, რომელიც ექვემდებარება კეთილსინდისიერი ვაჭრობის კომისიის გენერალურ დირექტორს. ეს უკანასკნელი თანამდებობაზე ინიშნება სახელმწიფო მდივნის (მინისტრის) მიერ. ამასთან, ინგლისში ფუნქციონირებს დამოუკიდებელი კონკურენციის კომისია, რომელიც ვაჭრობისა და მრეწველობის სახელმწიფო მდივნის (მინისტრის) დავალებით ახდენს კომპანიათა შერწყმების გამოძიებას; გერმანიაში არსებობს კარტელური გაერთიანებების ზედამხედველობის ფედერალური სააგენტო, რომელიც არის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო - ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სამინისტროს სისტემაში. ასევე არსებობს მონოპოლიურ საკითხებზე მომუშავე კომისია - დამოუკიდებელი საკონსულტაციო საბჭო - კონკურენციისა და რეგულირების სფეროში; ესტონეთში არსებობს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო კონკურენციის სააგენტოს სახით (ამ კომისიის რეგულირების სფეროს წარმოადგენს როგორც კონკურენციის საკითხები, ისე ყველა ბუნებრივ მონოპოლიათა (დარგობრივი რეგულაციები) რეგულირება(ც)); სინგაპურში მოქმედებს კონკურენციის კომისია, რომლის წევრებს ირჩევს პარლამენტი (10 წევრი). ამასთან ეს კომისია ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს შემადგენლობაშია; უკრაინაში არსებობს დამოუკიდებელი კონკურენციის კომისია, რომლის წევრებს (9 წევრი) უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ირჩევს 7 წლის ვადით. ასევე დამოუკიდებელი კომისია არსებობს სომხეთში, ხოლო აზერბაიჯანში კონკურენციის ორგანოს ფუნქციები არის ეკონომიკის სამინისტროზე დელეგირებული და ა.შ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა ერთმნიშვნელოვნად ვთქვა, რომ ჩემი აზრით, საქართველოსათვის მისაღები შეიძლება იყოს ერთ-ერთი შემდეგი ვერსიიდან: 1)ქვეყნის კონკურენციის ორგანო შეიძლება იყოს სრულიად დამოუკიდებელი, როგორც დარგობრივი მარეგულირებელი კომისიები არიან დღეს საქართველოში და მათ საქმიანობაში ჩარევის უფლება არც ერთ სახელმწიფო ორგანოს არ უნდა ჰქონდეს, გარდა სასამართლო ხელისუფლებისა; 2)კონკურენციის ორგანო შეიძლება იყოს, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის მქონე, საქართველოს მთავრობის ქვეშ მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის უფროსი დაინიშნება განსაზღვრული ვადით ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მიერ, საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით (ინსტიტუციური მოწყობის ეს პრინციპია ხაზგასმული პროფესორ ქეთევან ლაფაჩის მიერ მომზადებულ კონცეფციაში) და 3)კონკურენციის ორგანო შეიძლება იყოს, საქართველოს პარლამენტს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის უფროსი დაინიშნება განსაზღვრული ვადით და რომლის საქმიანობაში ჩარევის უფლება არ ექნება არც ერთ აღმასრულებელ რგოლს;

საბოლოოდ, მინდა აღვნიშნო, რომ მე მაინც პირველი ან მესამე ვარიანტისკენ ვიხრები, რადგანაც არასწორად მიმაჩნია, სააგენტო იყოს დაქვემდებარებული სახელმწიფო ხელისუფლების იმ რგოლის, ვისი საქმიანობის კონტროლიც მას ევალება. თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, მაინც გადამწყვეტია სააგენტოს დამოუკიდებლობის ხარისხი, თორემ, სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, აღმასრულებელი ხელისუფლების ქვეშ ყოფნა არც თუ ისე პრობლემურია.

**- დიდი მადლობა ინტერვიუსათვის.**

- თქვენც დიდი მადლობა.

24 დეკემბერი, 2012 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეკო-დაიჯესტი

## საკონტროლო შესყიდვები გააქტიურდება

შემოსავლების სამსახური მეწარმეებს საკონტროლო შესყიდვების 3 დეკემბრიდან გააქტიურების შესახებ აფრთხილებს. შემოწმების ფარგლებში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს შეუძლია, დარღვევამდე არ გაამჟღავნოს თავისი სამსახურებრივი მიზანი და ფსევდო მომხმარებლის როლში მოვლინების მერე თანხის მიღება დააფიქსიროს. საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობა და ჩეკში გადასახდელზე ნაკლები თანხის ჩვენება, 500 ლარით ჯარიმდება.

## საგარეო სავაჭრო ბრუნვა $8.521 მილიონია

2012 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ $8.521 მლნ. შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 15%-ით მეტია. აქედან ექსპორტია $1985 მლნ, იმპორტი $6.536 მლნ. „საქსტატის" ინფორმაციით, უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა $4.551 მლნ. შეადგინა, ანუ მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 53%.

## ყველაზე მდიდარი ქართველები

- ბიძინა ივანიშვილი - $2.4-6.4 მილიარდი;
- ალექსანდრე ჯაფარიძე - $1.8-2.15 მილიარდი;
- დავით იაკობაშვილი - $0.83-0.95 მილიარდი;
- ვიაჩესლავ მირილაშვილი - $0.79-0.95 მილიარდი;
- დავით პაპიკაშვილი - $0.57 მილიარდი;
- პაატა გამკონცეიშვილი - $0.29 მილიარდი;
- თურგაი ჩინერი - $1.0 მილიარდი (სიაში დამატებული თურქეთის მოქალაქე);
- ტამირ საპირო - $0.7 მილიარდი (საქართველოში დაბადებული ემიგრანტი, იგივე თემურ ხუჯაშვილი);

საინტერესოა, რომ „ფორბსის" წლევანდელ რეიტინგებში (ამერიკული ბიზნესჟურნალი) არ ფიგურირებენ თურქეთის კიდევ ორი წარმომადგენელი, ნიჰათ გოქიუთი (გოკიუტიჯი) და ისმეთ აჯარი, რომლებსაც ქართული წარმოშობის მილიარდელებს მიაკუთვნებენ. ასევე წლევანდელ რეიტინგში არ ფიგურირებს მილიარდელი ტარიელ ვასაძე უკრაინიდან (ვასაძის ქონება უკრაინულმა ჟურნალმა „კორესპონდენტმა" 2007 წელს $1 მილიარდად შეაფასა, ხოლო პოლონური Wprost-ის აზრით, 2009 წელს მისი კაპიტალი $1.7 მილიარდს აღწევდა. ამასთან, „კორესპონდენტის" შეფასებით 2010 წლისათვის ვასაძის ქონება $230 მილიონამდე შემცირდა. „ფორბსის" რეიტინგში არც დავით ჟვანია შედის უკრაინიდან.

## ბინების ფასი თბილისის უბნების მიხედვით

„ილიაუნის ბიზნეს რევიუს" მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე გაირკვა, რომ დედაქალაქში მეორადი საცხოვრებელი ბინების ფასი (1 კვ/მ ბინის ფასი აშშ დოლარებში) არის შემდეგი: 1) ძველი თბილისი - 986; 2) ვაკე-ბაგები - 981; 3) ვერა - 935; 4) მთაწმინდა, სოლოლაკი - 865; 5) ვაჟა-ფშაველა, ქავთარაძე - 837; 6) ჩუღურეთი - 831; 7) ბახტრიონი, დოლიძე - 817; 8) საბურთალო - 816; 9) დიდუბე - 767; 10) ისანი - 637; 11) ნუცუბიძის პლატო - 634; 12) კრწანისი, ორთაჭალა - 622; 13) ვაშლიჯვარი - 597; 14) დიღმის მასივი - 584; 15) მესამე მასივი - 570; 16) ავლაბარი - 567; 17) ნაძალადევი - 546; 18) ავჭალა - 375; 19) ვარკეთილი - 537; 20) სამგორი - 509; 21) მუხიანი - 485; 22) დიდი დიღომი - 483; 23) ვაზისუბანი - 474; 24) გლდანი - 473; 25) თემქა - 401; 26) ფონიჭალა - 381; 27) ლილო - 234.

## დაუბეგრავი მინიმუმის ცნება 2013 წლიდან ამოქმედდება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2013 წლიდან დაქირავებული ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას შემოღებულ იქნება დაუბეგრავი მინიმუმი, რაც წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლებიდან 1 800 ლარს შეადგენს. შესაბამისად ის პირები ისარგებლებენ, რომელთაც დაქირავებით მიღებული შემოსავალი წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში 6 000 ლარს არ აღემატება. წლის განმავლობაში ყველა დაქირავებული ფიზიკური პირი 20%-იანი საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება, ხოლო ფისკალური წლის დასრულების შემდეგ იმ პირებს, ვინც შეღავათით ისარგებლებენ, კუთვნილი თანხა დაუბრუნდებათ.

## განახევრებული ტარიფი 5 თვეს იმოქმედებს

დასუფთავების განახევრებული ტარიფი თბილისში ნოემბრიდან მარტის ჩათვლით იმოქმედებს. თბილისის საკრებულოში გადაწყვიტეს, გადასახადი 5 თვით განახევრდეს. ამ დროის განმავლობაში ყოველ დახარჯულ 1 კვტ/სთ-ზე, მოსახლეობა 5-ის ნაცვლად 2.5 თეთრს გადაიხდის. შეღავათები შენარჩუნდება სოციალურად დაუცველი პირებისათვის.

## „გალფი" აირის ბიზნესშიც გამოჩნდა

„სან პეტროლეუმ ჯორჯია" რომელიც ბაზარზე „გალფის" ბრენდით ოპერირებს, გაზგასამართ სადგურების ბიზნესში შევიდა. პირველი გაზგასამართი სადგური მენეჯმენტმა თბილისში, კახეთის გზატკეცილზე გახსნა. იგეგმება ახალი სადგურების გახსნა, როგორც თბილისში, ასევე ხაშურში და ფოთში. კომპანიაში განმარტავენ, რომ სექტორში მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდო და გაზგასამართი სადგურები უახლესი იტალიური აპარატურით აღიჭურვა. „გალფი" საქართველოს ბაზარზე აერთიანებს ავტოგასამართი სადგურების სამ ქსელს - „მაგნატი", „სენტა" და „ეკო-ჯორჯია". ქსელში „გალფით" ბრენდირებული 135-მდე სადგურია.

## მსოფლიოს უმდიდრეს პოლიტიკოსთა შორის საპატიო სამეულის წევრი ქართველია

ჟურნალმა „ფორბსმა" უმდიდრესი პოლიტიკოსების სია გამოაქვეყნა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მესამე ადგილზეა. პირველ პოზიციაზეა ნიუ-იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი ($22 მლრდ.). საინტერესოა, რომ მისი ხელფასი, როგორც აშშ-ს უდიდესი ქალაქის მერისა, $1-ია. მეორეზე რუსი ოპოზიციონერი მიხეილ პროხოროვი ($13,2 მლრდ.), ხოლო მესამე ადგილს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იკავებს. გამოცემა ივანიშვილის ქონებას $6.4 მილიარდად აფასებს და ამბობს, რომ ეს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარს უდრის. მეოთხე ადგილზე სიაში არის იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ($5.9 მლრდ.).

## მსოფლიოში კეთილდღეობით საქართველო 93-ე ადგილზეა

საერთაშორისო ანალიტიკური ინსტიტუტის, Legatum Institute-ს მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში „კეთილდღეობის ინდექსში" (The 2012 legatum prosperity index) საქართველო 93-ე ადგილს იკავებს. რეიტინგში 142 ქვეყანაა წარმოდგენილი, რაც ჯამში პლანეტის მოსახლეობის 96% და მთლიანი შიდა პროდუქტის 99%-ია. ქვეყნები რვა ძირითადი პარამეტრით შეფასდა, აქედან ეკონომიკის მიხედვით საქართველო 132-ეა, სამეწარმეო შესაძლებლობებით - 76-ე, უსაფრთხოების თვალსაზრისით - 59-ე.

**„ეკო-დაიჯესტი" ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა თამთა ფეტელავამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება – პირველი რიგის ამოცანა



როზეტა ასათიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ის სრული პროფესორი,
თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის
ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან საქართველოში დაწყებულმა უდიდესმა სისტემურმა გარდაქმნებმა და უსისტემოდ განხორციელებულმა რეფორმებმა მრავალი მწვავე პრობლემა წარმოქმნა. ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი წინააღმდეგობრივად წარიმართა. ქვეყნის თავისებურებების არაადეკვატური საპრივატიზაციო პოლიტიკის გატარებასა და სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შეუქმნელად ბიზნესის ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებას უარყოფითი ეფექტები მოჰყვა. ეკონომიკის მონოპოლიზაციამ და კრიმინალიზაციამ, სხვა ნეგატიურ ფაქტორებთან ერთად, დაბალი საქმიანი აქტიურობა და მაღალი უმუშევრობა გამოიწვია, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ პერიოდში საბიუჯეტო კრიზისსა და, საბოლოო ანგარიშით კი სიღარიბის სწრაფ ზრდასა და ეკონომიკის დაბალ კონკურენტუნარიანობაში აისახა. სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება, სოციალური სამართლიანობა, ეროვნული თანხმობა და თავისუფლება მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებებად დარჩა. ეკონომიკური რეფორმების სხვისი კარნახით, მოუფიქრებლად განხორციელების სუსხი საზოგადოებამ განსაკუთრებით მწვავედ ეკონომიკის კოლაფსის ორი ათეული წლის შემდეგ შეიგრძნო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თითქოს საქართველომ დამოუკიდებლობა ახლა მოიპოვა და ეკონომიკის რეფორმირებაც ახლა დაიწყო. ლაგის ფაქტორმა, რომელიც გამოხატავს პრობლემის არსებობის აღიარებასა და მარეგულირებელი მექანიზმის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შორის დროის შუალედს, განსაკუთრებით რეგიონებში იჩინა თავი. უგულებელყოფილ იქნა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია – ტერიტორიულ ერთეულებში მაკროეკონომიკური პროპორციების შენარჩუნება და დისპროპორციების აღმოფხვრა. ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ეთნიკური და ა.შ. რეგიონული კრიზისები სახელმწიფო პოლიტიკის ნორმად იქცა. ამიტომ დღეს, საქართველოსთვის ამ მეტად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, როგორც არასდროს, აქტუალდება განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების დარეგულირებას, ცენტრსა და რეგიონებს შორის არა მხოლოდ ფინანსური რესურსების რაციონალურ ტერიტორიულ განაწილებას, არამედ საგადასახადო უფლებამოსილებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილებას. არანაკლები მნიშვნელობისაა ამ პრობლემისადმი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის საკითხების შესწავლა. მეცნიერ-მუშაკების ვალია გააძლიერონ ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემის კვლევა. განსაკუთრებული ყურადღება მიექციოთ საკითხს, რომელიც დღეს ნელ-ნელა იფერფლება და ხელისუფლებას დროულად მიაწოდოთ საჭიროებული წინადადებები და რეკომენდაციები. მკითხველი დაფიქრდება იმაზე თუ საით მიდის ქვეყანა, რა ხარვეზებს აწყდება ამ გაუკვალავ გზაზე და როგორ შეიძლება ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე. ეს მეტად რთული, მაგრამ ამავე დროს მეტად საჭირო საქმეა.

საქართველოს ახალი ხელისუფლება ცდილობს შეცვალოს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ნეოლიბერალური (ულტრალიბერალური) კურსი (სინამდვილეში ნეოლიბერალურს მიმსგავსებული, თვითდინებაზე მიშვებული კურსი) და საკმაოდ სწრაფად, მრავალ სხვა მწვავე პრობლემასთან ერთად, წინა პლანზე ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების საკითხს აყენებს, რაც ორგანულად უკავშირდება

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირებისა და საბიუჯეტო ფედერალიზმის განვითარებას. ეს უკანასკნელი, როგორც საბიუჯეტო მოწყობის ფორმა, არის ცენტრალურ და ტერიტორიულ ხელისუფლებო სტრუქტურებს შორის არა მხოლოდ ფინანსური რესურსების, არამედ საგადასახადო უფლებამოსილებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილება.

დამოუკიდებელ საქართველოში თავიდანვე რთულად და მტკივნეულად წარიმართა საბიუჯეტო ფედერალიზმის ჩამოყალიბების პროცესი. წარსულის მემკვიდრეობამ, ცენტრალიზებული ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა საბიუჯეტო ტრადიციებმა, გაურკვევლობამ ბიუჯეტთაშორისი პოლიტიკის ძირითადი ამოცანების განსაზღვრაში და, საბოლოო ანგარიშით, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკის გაუთვალისწინებლობამ წარ-მოქმნა პირობები საბიუჯეტო რესურსების არარაციონალური, არაოპტიმალური გამოყენებისათვის, გამოიწვია ცალკეული რეგიონების რესურსული გამოფიტვა, სტრუქტურული დეფორმირება, რეგიონული დისპროპორციები, შიდარეგიონული, რეგიონთაშორისი და სახელმწიფო რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მოშლა. ყოველივე ეს მწვავედ აისახა სოციალურ სფეროში, მნიშვნელოვნად დააჩქარა უმუშევრობის ზრდა და ინფლაციის გაღრმავება. ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ყველა დონის ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზა შემცირდა. მათ დაკარგეს საინვესტიციო ფუნქცია და გადაიქცნენ სამომხმარებლო ბიუჯეტებად, აღმოჩნდნენ ქმედითუუნარონი. საშემოსავლო უფლებამოსილების შესაბამისობა ხარჯების კომ-პეტენციასთან ფარატინა ქაღალდად დარჩა. გამოიკვეთა მხოლოდ ვერტიკალური ურთიერთობები, ჰო-რიზონტალური კი საერთოდ გაქრა. არსებული ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები თავისი ხასიათით დაუახლოვდა მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემას. საბიუჯეტო რესურსების განაწილება ცენტრალურ და ტე-რიტორიულ ერთეულებს შორის მთლიანად სუბიექტივიზმს დაემყარა.

საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში ერთიანი სტრატეგიის უქონლობის, მეცნიერულად დაუსაბუთებელი ფისკალური პოლიტიკის გამო პერმანენტულად გრძელდებოდა საბიუჯეტო დავალებების შეუსრულებლობა. საქართველო თანდათან მოექცა საგარეო-საკრედიტო პოლიტიკის გავლენის ქვეშ, გაიზარდა სახელმწიფო საგარეო ვალი. ამჟამად მთლიანი საგარეო ვალი 11.4 მლრდ დოლარს შეადგენს, ხოლო საგარეო და საშინაო ვალის წლიური მომსახურება 900 მლნ დოლარია, რაც მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. გაქრა შიდა საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვის შესაძლებლობები. ამიტომ საქართველოში არსებული საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა არ შეესაბამება არც ნეოლიბერალიზმისა და არც სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. არსებული სიტუაცია აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, გამოუყენებელია რეგიონების ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რეგიონული ეკონომიკა ერთ წერტილში გაიყინა.

ქვეყანაში შექმნილმა არასახარბიელო ეკონომიკურმა გარემომ გამოიწვია სამეწარმეო საქმიანობის მკვეთრი დაქვეითება და ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება. სახელდობრ, საქსტატის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2011 წელს 2007 წლის 12,3%-დან 7,2%-მდე დაეცა. თანაც პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ჩართვა მშპ-ში ხელოვნურად ზრდიდა ეკონომიკური ზრდის ტემპებს. საქართველოში – ასეთ მიწათმოქმედების ქვეყანაში, კვების პროდუქტების იმპორტმა 80%-ზე მეტი შეადგინა. ქართული ფირმების მარკით წარმოებული ზოგიერთი რძის, ხორცის, საკონდიტრო და ა.შ. ნაწარმი იმპორტირებული ნედლეულით, ნახევარფაბრიკატებითა და მასალებით იწარმოება. ოფიციალური სტატისტიკით (რომელიც ახლოსაც არ არის სინამდვილესთან) უმუშევრობა საქართველოში 16%-ია, ხოლო ექსპერტული შეფასებით – 71%. მოსახლეობის 53% თვითდასაქმებულია. შრომისუნარიანი მოსახლეობის 1/4 საზღვარგარეთაა გადახვეწილი (მათ შორის, გლეხობაც. ამ თოხითა და ბარით მომუშავე გაძვალტყავებულ კატეგორიას ფერმერებს ვერ უწოდებთ). ამასთან, მათ მნიშვნელოვან ნაწილს არარეგულარული შემოსავლები აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ, ჯერ კიდევ, 1996 წელს მიღებულ იქნა კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილების შესახებ", რომლითაც განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების (ქალაქების, რაიონების, სოფლების) ბიუჯეტებისა და ბიუჯეტგარეშე სახელმწიფო ფონდების შემოსავლისა და ხარჯების შედგენის, დამტკიცების, შესრულების საკითხები, აგრეთვე

შემოსავლებისა და ხარჯების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები, პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებსა და ცენტრალურ ბიუჯეტში ნაერთვისი გადასახადების დივერსიფიკაციის მიმართულებით, განისაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონული ბიუჯეტების ანარიცხების ნორმატივები და ა.შ. ჯერ კიდევ მწვავედ დგას საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის რეფორმირების პრობლემები. ის გარემოება, რომ დაბალია მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეები და შრომითი რესურსების გამოყენების დონე, ხოლო საწარმოთა დიდი ნაწილი უმოქმედოა. ქვეყანაში არსებობს გამოუყენებელი შრომითი პოტენციალი, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას და მნიშვნელოვნად აფერხებს ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებში მიდგომაში აპრობირებული გამოცდილების დანერგვას. ამას ხელს უწყობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არარსებობაც. სახელმწიფო და მუნიციპალური ტენდერები აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა. „თავისიანობის" პრინციპით გამარჯვებული ფირმები კანონმდებლობის უხეში დარღვევითა და ხარჯების გაბერვით ასრულებენ სამუშაოს.

მართალია, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს, ბიზნესის კეთ-ების მიხედვით, სახარბიელო პოზიცია უკავია, მაგრამ ფირმების დახურვის, მათი გაკოტრების მხრივ იგი 105-ე ადგილზეა. კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედ-ვით საქართველო 139 ქვეყნიდან 93-ე ადგილზეა, საკუთრების დაცვის კუთხით – 120-ე, ხოლო დემოკრატიის ინდექსის მიხედვით – 103-ე ადგილზე.

მაგრამ ეს ყველაფერი და ბევრი კიდევ სხვა ართქმული (მაგალითად, ის რომ საბიუჯეტო ხარჯები აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა და მათში არის მუხლი „სხვადასხვა", რომელზედაც მიწერილია 1 მლრდ ლარი ანუ ხარჯების 13,33%) მიმდინარე რეჟიმის თანმხლებია. მთავარია ახლა ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ გამოვიდეთ ამ უაღრესად მძიმე მდგომარეობიდან.

როგორც მეცნიერული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, აუცილებელია შემუშავდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მკვეთრად განსაზღვრული პრინციპები, რომლის გარეშე რეალური რეფორმების გატარება საქართველოში შეუძლებელია. სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ჩარჩოებში შეიძლება გამოიყოს შემ-დეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს ტერიტორიული დისპროპორციების დაძლევა. ხელისუფლების ყველა დონის [illegible] ინტერესების ოპტიმალური [illegible] აუცილებელია ამაღლდეს ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობა ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ეკ-დეპრეს-სიულ რეგიონებს, რომელთა საბიუჯეტო შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია;

2. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების პრინციპების რეალიზაციის საფუძვლად უნდა დაედოს დასავლეთში საკმაოდ აპრობირებული საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც ჯერჯერობით არ არსებობს საქართველოში, და ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სისტემის, როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური დაბალანსების პრობლემების მოწესრიგებას, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ხასიათს;

3. აუცილებელია შეიქმნას სუბვენციის ფონდი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს მონიტორინგს იმას, თუ რამდენად მიზნობრივად ხდება გაწეული ხარჯების გამოყენება;

4. რეგიონების ტრანსფერული დაფინანსების მოქმედი სისტემა დაფუძნებულია ძალზე მწირი საბიუჯეტო რესურსების გადანაწილებაზე, რომელიც რეგიონებს თავიანთი ბიუჯეტების საინვესტიციო ნაწილის ფორმირების საშუალებასაც კი არ აძლევს. სამომავლოდ, რეგიონული ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, ტრანსფერები უნდა შემცირდეს, მათ არ უნდა ჰქონდეს სოციალური ხასიათი, მაგრამ ამჟამად, ამ კრიტიკულ სიტუაციაში, აუცილებელია გაიზარდოს სუბვენციური (მიზნობრივი) ტრანსფერების გაცემა;

5. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმცირესი და მცირე ბიზნესის განვითარებას რეგიონალურ ჭრილში. ეს მოგვცემს საშუალებას ავითვისოთ საკმაოდ დიდი რაოდენობის გამოუყენებელი მატერიალური (წყლის რესურსები, მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის წარმოებისთვის საჭირო ნიადაგი ნიადაგი და ა.შ.) და შრომითი (ადამიანისეული) რესურსები, დავუბრუნოთ მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, თავიანთ საცხოვრებელს, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ინფრასტრუქტურის განვითარებამ უნდა შეასრულოს;

სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა შეიმუშაონ მცირე ბიზნესის დახმარების პროგრამები.

რისთვისაც აუცილებელია გარკვეული სესხები დაბალი პროცენტით. შეამცირონ გადასახადები (მიწის ნაკვეთზე გაანთავისუფლონ კიდეც მისგან), ხელი შეუწყონ სხვადასხვა სახის ტექნიკური და საკონსულტაციო (ძირითადად უფასო) მომსახურების დანერგვასა და ა.შ.;

6. საქართველოში საგადასახადო უფლებამოსილების ტერიტორიული განაწილება და ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოებისათვის ავტორიტეტის მინიჭებასთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს ანუ არ შეესაბამება „სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კრიტერიუმის" მოთხოვნებს. ეს პრობლემა მეტად საყურადღებოა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან;

7. ქვეყნის ტერიტორიებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა გამოიხატოს კონკრეტული რეგიონული საინვესტიციო პროექტების შედგენაში, კომერციული ბანკების კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების მიცემაში და ა.შ.

8. საბიუჯეტო ფედერალიზმის საქართველოსთვის მისაღები ოპტიმალური მოდელის შესამუშავებლად აუცილებელია, რომ ქვეყანაში გატარდეს არა მხოლოდ შემოსავლების, არამედ ხარჯების სისტემაც. ამიტომ ბიუჯეტის შედგენა უნდა დაიწყოს შემოსავლების ოდენობის დადგენით და არა ხარჯების ფორმირებით;

9. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია ფინანსების სფეროში მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების – საშუალოვადიანი (სამიდან ხუთ წლამდე) დაგეგმვის განხორციელება.

საბაზრო მექანიზმის მოთხოვნათა გათვალისწინებით ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ადეკვატური საბიუჯეტო ფედერალიზმი მნიშვნელოვანი სტიმული გახდება საქმიანი აქტიურობისა და საგადასახადო ბაზის გაფართოებისათვის. იგი მოგვცემს მაღალ მულტიპლიკაციურ ეფექტს (აქტიურ რეგიონალურს) შეუწყობს საქართველოს მასშტაბით ეკონომიკური პროცესების აღდგენასა და ეკონომიკურ ზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიზნესგარემო საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები



ლოიდ ქარჩავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

*სტატიაში მოცემულია საქართველოს ბიზნესგარემოზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორების შესახებ, როგორიცაა ნორმატიული აქტების შეუსაბამობა ბიზნესის განვითარებასთან, არასაიმედო საბანკო სისტემა, ხელისუფლების ცალკეული სტრუქტურების მიერ არსებული ზეწოლა სხვა და სხვა ფორმით, არასაკმარისი ხელშეწყობა დამწყებ და მცირე ბიზნესის მიმართ, არაპროფესიონალური ქმედებები არარსებობა სახელმწიფოს მხრიდან და ა.შ. სტატიაში გადმოცემულია ავტორის შეხედულებები და წინადადებები ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, მათ შორის, ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რომლის განხილვაშიც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები, მეცნიერები, პოლიტიკოსები და ყველა დაინტერესებული პირები.*

ნებისმიერ ქვეყანაში ბიზნესის განვითარების ტემპსა და დონეზე სერიოზულ გავლენას ახდენს ის ბიზნესგარემო, რომელიც ჩამოყალიბებულია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე. ბიზნესგარემო იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობაა, რომლებიც ზემოქმედებენ ბიზნესზე. სპეციალისტები გამოყოფენ ბიზნესის **შიდა** და **გარე** გარემოს ელემენტებს, რომლებიც ორგანულად უკავშირდებიან მოცემულ კომპანიას და შიდა კონტროლს ექვემდებარებიან ბიზნესის შიდა გარემოს წარმოადგენენ. ხოლო ის ელემენტები, რომლებიც ორგანულად არ უკავშირდებიან მოცემულ კომპანიას, არ ექვემდებარებიან მისი მხრიდან რეგულირებას, მაგრამ საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ ბიზნესის ფუნქციონირებაზე, აყალიბებენ სისტემის გარე გარემოს.

ამჟამად ჩვენი მსჯელობის საგანია, ბიზნესზე მოქმედი გარე ფაქტორები, პირობები, რომლის შექმნა და რეგულირება სწორედ ხელისუფლების პრეროგატივაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესგარემო საქართველოში ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, არასდროს ყოფილა სათანადო დონეზე. ხელშეწყობის ნაცვლად, სამწუხაროდ, ბიზნესისთვის ხელისშემშლელი გარემოებები ჩამოყალიბდა.

**პრობლემები**, რომლებიც უარყოფით ბიზნესგარემოს ქმნიან საქართველოში შეიძლება ასეთნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- დავიწყოთ იმით, რომ **სამართლებრივი** ნორმატიული აქტები არ ემსახურებოდა ბიზნესის განვითარებას. საგადასახადო კოდექსში იყო ორაზროვანი ჩანაწერები. წერილმან დარღვევებზე წარმოუდგენლად დიდი საჯარიმო გადასახადები, სანქცია-საურავები და ა.შ.

- ბიზნესს ფაქტობრივად არ ჰქონდა სასამართლო წესით გასაჩივრების და თავის მართლების საშუალება. დავის სამართლიანად განხილვის არასანდოობა და ამ დავაში ბიზნესის მხარის მოგების არასაიმედოობა. გლობალური კონკურენტუნარიანობის ყოველწლიური ინდექსში (GCR 2011-2012) საქართველო 142 ქვეყანას შორის, დავების ეფექტიანი მოგვარების სამართლებრივი გარემოს კუთხით, 82-ე ადგილზეა, ხოლო სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით – 91 ადგილზე [1,გვ.19]

- თვითონ **პოლიტიკა ბიზნესის მიმართ** ხშირ არაფერი იყო, თუ არა **ადგილობრივი წარმოების განადგურება და იმპორტის ხელშეწყობა, სტიმულირება**. სამწუხაროდ, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს შეგნებულად ხდებოდა;

- ხელისუფლების ცალკეული სტრუქტურების მიერ ბიზნესის მიმართ ხორციელდებოდა ფინანსური და მატერიალური ტერორი, ხოლო ბიზნესმენების მიმართ – მორალური და ხშირად ფიზიკური ტერორიც;

- არანაირი ხელშემწყობი პროგრამა არ არსებობდა დამწყები, მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ. პირიქით, კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ", რომელიც 1999 წლის 23 ივლისს იყო მიღებული ძალადაკარგულად გამოცხადდა 2006 წლის 24 მაისს;

- ეკონომიკა მიბმულია იქნა თვითრეგულირებაზე, შესუსტებული და თითქმის უფუნქციოდ იყო დარჩენილი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელიც შეიქმნა ანტიმონოპოლიური სამსახურის ნაცვლად. კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" შეცვალა კანონმა - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", სადაც ფაქტობრივად ნულამდე იყო დაყვანილი ანტიმონოპოლიური რეგულირების მექანიზმები. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2012 წლის ინდექსში საქართველო 142 ქვეყანას შორის ადგილობრივი ბაზრის კონკურენტული გარემოს კუთხით 128-ე ადგილზეა, ხოლო ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტურობის კუთხით – 135 ადგილზე; [1,გვ.6]

- არ არსებობდა საკუთრების დაცვის მინიმალური გარან-ტიებიც კი. ზემოთ ხსენებული ინდექსის მიხედვით, საქართველო 142 ქვეყანას შორის საკუთრების უფლების დაცვის კუთხით 120-ე ადგილზეა; [1,გვ.6]

- ხშირად საგადასახადო აგენტს შეგნებულად და მიზნებით შეცდომაში შეჰყავდა მცირე ბიზნესის წარმომადგენელი, რათა გაება შეცდომებში, რაც უმეტეს შემთხვევაში ბიზნესის გაკოტრებით მთავრდებოდა. ამასთან, მეტწილად ჯარიმები იყო არაადეკვატური.[1] ბოლო წლებში შემოსავლების სამსახური ყოველწლიურად მეწარმეთა 1/3-ს ამოწმებდა და უმრავლესობა სალარო აპარატებს უკავშირდებოდა. შემოწმების სხვა ტიპები უკავშირდებოდა საწარმოთა 20%-ზე ნაკლებს. მცირე კომპანიების შემოწმება გაცილებით უფრო ხშირად ხდებოდა. შემოწმებულ საწარმოთა 1/3-ს დაეკისრათ ჯარიმები და საურავები. ჯარიმების უმეტესობა სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევაზე მოდიოდა; [1,გვ.20]

- ცალკე მსჯელობის საგანია კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები საბანკო-საკრედიტო სექტორში, რომელიც ერთ-ერთი მაღალია მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი 16-დან 60%-მდე მერყეობს, რაც ძალიან, ძალიან მაღალია.

**ეს არის საქართველოს ბიზნესგარემოში არსებული პრობლემების არასრული ჩამონათვალი.**

დღეისათვის, ახალი ხელისუფლების მისვლის შემდეგ, ბიზნესსივრცეში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. მაგრამ ზემოთ ხსენებულმა პრობლემებმა იმდენად დააზარალა არა მხოლოდ ცალკეული ბიზნესი და ბიზნესმენები, არამედ მთლიანად ბიზნესგარემო, რომ მის გამოსწორებას გარკვეული დრო დასჭირდება, როგორც ნორმატიული აქტების მოწესრიგების, ასე მის დანერგვის პრაქტიკაში.

მიუხედავად არსებული მდგომარეობის ტრაგიკულად თუ დრამატულად წარმოჩენისა ჩვენს, ყოველთვის არის უკეთესი გზის ძიების საშუალება, თუმცა ჩვენ არა მხოლოდ უკეთესი, არამედ საიმედო გარანტიები უნდა ვეძებოთ. ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, **ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია შემუშავებულ იქნას ბიზნესგარემოს გაჯანსაღებისა და რეგულირების სტრატეგია, რომელიც განხილული იქნება სპეციალისტების,**

[1] **ჩანართი:** მაგალითად, ჩვენს პრაქტიკაში 500 ლარიანი ჯარიმა იყო დაწესებული. უკვე დაიყვანეს 200 ლარამდე, თუმცა დაჯარიმების პრინციპი მაინც არ შეცვლილა გამართლებულად. ვფიქრობთ, უფრო სამართლიანი იქნება ან რეალიზებული საქონლის ღირებულებიდან ან სახელმწიფოსათვის მიუღებელი ზარალის ოდენობიდან გამომდინარე მოხდეს კონკრეტული ადმინისტრირება. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ასეთ მაგალითს: ვთქვათ, საქონელი ღირს 1 ლარი. აქედან გამყიდველის (მაღაზიის) ხვედრი მოგების სახით რჩება, პირობითად, 10 თეთრი. ამ 10 თეთრიდან სახელმწიფოს ეკუთვნის მოგების გადასახადის კუთხით 1,5 თეთრი (ხვედრი მოგების 15%). გამოდის, რომ ასეთ შემთხვევაში, მეწარმე ბიუჯეტს უმალავს 1,5 თეთრს, ხოლო სახელმწიფო მას კი აჯარიმებს 200 ლარით (ადრე იყო 500 ლარი) რაც სახელმწიფოსათვის მიუღებელი ზარალის ოდენობაზე 13 333–ჯერ მეტია (ადრინდელი ვარიანტით იქნებოდა 33 333-ჯერ მეტი). 5 თეთრიანი ასანთის ან საღეჭი რეზინის შემთხვევაში ეს 20-ჯერ მეტია. ანუ ჯარიმა 266 666–ჯერ მეტია სახელმწიფოსათვის მიუღებელ ზარალზე (ადრინდელი ვარიანტით იქნებოდა დაახლოებით 700 000-ჯერ მეტი). **საინტერესოა, მსოფლიოში თუ მოიძებნება ანალოგი.** განა ასეთი კანონი სამართლიანია? ვფიქრობთ არა! თუნდაც სხვა კუთხიდან მივუდგეთ ამავე საკითხს: ერთის მხრივ, ის ვინც 100 ლარი ან მეტი დაუმალა სახელმწიფოს, და მეორეს მხრივ, ვინც 0,075 თეთრი (5 თეთრიანი საქონლის რეალიზაციიდან სახელმწიფოსათვის გადასახდელის ოდენობა), მათთვის თანაბარი ჯარიმის გადახდა სამართლიანია? რათქმა უნდა არა! აქ საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი: უმეტეს შემთხვევაში გამყიდველი არ არის მაღაზიის მეპატრონე, მას უხდიან დღეში 5-დან 10 ლარამდე. ანუ ხშირად გამყიდველის ხელფასი ასჯერ ნაკლებია (500 ლარიანი ჯარიმის შემთხვევაში) დაკისრებულ ჯარიმაზე, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოსათვის 0,075 თეთრის ზარალის მიყენებისათვის.

სამეცნიერო წრისა და მოქმედი ბიზნესმენების, ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქის მონაწილეობით და არა მხოლოდ მთავრობის მიერ. ეს მოგვცემს საშუალებას, რომ მაქსიმალურად მინიმუმამდე დავიყვანოთ შესაძლო შეცდომები. ვიმედოვნებთ, რომ ახალი ხელისუფლება ამისთვის მზად არის.

ჩვენის მხრივ წარმოვიდგენთ ზოგიერთ მოსაზრებებს, თუ როგორ გვესახება ჩვენ ბიზნესგარემოს გაუმჯობესების პერსპექტივები? შევეცდებით მოკლედ აღვწეროთ მისი ზოგიერთი მიმართულებები. დავიწყოთ იმით, რაც ყველაზე პოპულარული თემაა ბოლო ორიათწლეულის მანძილზე – ინვესტიციები და ინვესტორები. ზოგიერთებს ლამისაა ერთადერთ გამოსავლად მიაჩნია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

მაშ, როგორი ინვესტორი გვჭირდება ჩვენ?

ჩვენს საზოგადოებაში მიღებული აზრია, (ამას ვისმენთ ხელისუფლების მხრიდან ბოლო 20 წლის მანძილზე) რომ ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში, კარგი ნიშანია. მის დადებით მხარეებად ითვლება ის, რომ დასაქმდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილი და გადასახადების სახით გარკვეული თანხები შევა სახელმწიფო ბიუჯეტში. ერთიც და მეორეც, მართლაც დადებითი და მისაღები მომენტია, მაგრამ არა საუკეთესო ვარიანტი.

მაშ რა არის მისი უარყოფითი მხარეები?

ის, რომ თუ ჩვენ აქცენტს ავიღებთ უცხოურ ინვესტიციებზე და რომ მის ხარჯზე მოხდეს ეკონომიკის აღორძინება, შეგვიძლია მივიღოთ ისის, რომ ყველაზე მომგებიან დარგებს შეისყიდიან უცხოელები, რომლებსაც (სავარაუდოდ) წილში ჩაუჯდება ადგილობრივი მაღალი დონის ჩინოვნიკი (ამ ცნობების აღმოჩენა ძალიან ძნელია ნებისმიერ ქვეყანაში და ხელისუფლებაში). ადგილობრივებს დაასაქმებენ იაფ მუშა-ხელად, დროებით მუშად, რომლებსაც შრომითი ხელშეკრულებით ექნება მხოლოდ მოსამსახურის ფუნქცია, მეტი არაფერი უფლება. უფრო მეტიც, ტოპ-მენეჯერები ხომ უცხოელები იქნებიან, ძალიან დიდი ხელფასებით, რადგან თანამშრომლების უმრავლესობაც უცხოელები იქნებიან (ჩვენ გვაქვს ამის მაგალითები ჩინელების სახით იუსტიციის სახლის მშენებლობისას თბილისში), ადგილობრივები კი (თუნდაც დიპლომიანები) - შეიძლება იქნენ გამოყენებულები მიწის მთხრელებად, მძღოლებად, მიმტანებად და ა.შ. როგორც ეს ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს. ჩვენ არ გვჭირდება, რომ ეს ასე [illegible] იქნება, არამედ თანდათანობით [illegible] ვქვეყანაში, ისეთი ფორმები [illegible] თავისივე განვითარებას მოგვცემს ქვეყნებს.

გარდა ამისა, უცხოელი ინვესტორი მოგების უდიდეს ნაწილს თავის ქვეყანაში წაიღებს. აუდიტორული კონტროლის პალატის მონაცემით 2011 წლის საქართველოში წარმოებულია 9912,2 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია [3,გვ.255], რომლის ხარჯთაღრიცხვითი ღირებულება 15 მილიარდ ლარზე მეტია. აქედან სუფთა მოგება სულ ცოტა 10%, ე.ი. მინიმუმ 150 მილიონი ლარი (შეიძლება 2-ჯერ მეტიც) გადის ქვეყნიდან, მარტო ერთი წლის მანძილზე, მხოლოდ ერთი დარგიდან, რადგან ელექტროსისტემაში მომუშავე კომპანიების დაახლოებით 90% უცხოური (რუსული) კომპანიების ხელშია. ამჯერ შემთხვევაში, ადგილობრივი ადამიანი ვერასოდეს შეძლებს მისთვის კონკურენციის გაწევას, თუ არ იქნება გატარებული პროტექციონისტული პოლიტიკა. იაპონიას 11 ათას პროდუქციაზე აქვს პროტექციონისტული პოლიტიკა. იაპონიამ 1948 წლიდან მხოლოდ ერთხელ აიღო კრედიტი 20 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, მაგრამ 20 წლიწადში უკვე სხვას უწევდა დახმარებას. საქართველომ კი, რომელიც იაპონიაზე 20-ჯერ ნაკლებია მოსახლეობით, ხოლო ბუნებრივი პირობები ჩვენთან ბევრად უკეთესია 12 მილიარდი აშშ დოლარის საგარეო ვალი დააგროვა და მაინც მათხოვრულ მდგომარეობაში ვართ. თუმცა ამ მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია ეროვნული ინტერესების მატარებელი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებით და ცხოვრებაში გატარებით.

თუ ზემოაღნიშნული ელექტროსისტემაში მომუშავე კომპანიების მფლობელი იქნებოდა რეზიდენტი პირი, ის ამ სუფთა მოგების რეინვესტირებას მოახდენდა საქართველოში და [illegible] ახალი დარგის ამოქმედება მოხდებოდა, შეიქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები. დღევანდელისთვის კი ჩვენ გვრჩება მხოლოდ დაქირავებული მუშა-ხელი და გამდიდრებული ინვესტორი. ხელფასი, რომელსაც იღებენ აქ დასაქმებული ადამიანების უდიდესი ნაწილი, სავარაუდოდ 95%, ეს მხოლოდ მათი საარსებო საშუალებაა.

ამასთან, როგორც დასტურდება ეკონომიკაში შეჭრის [illegible] უცხოელი ინვესტორი, ის დარგის მონოპოლისტი ხდება, რადგან ადგილობრივებს შესაბამისი კაპიტალი არ აქვთ და მას ადგილობრივი ბიზნესმენები ვერც ვერასოდეს წამოეწევიან.

უფრო მეტიც აქ ყველაზე მეტად შესაფერისია ილია ჭავჭავაძის მაგალითი. როცა უცხოელმა კაპიტალისტმა მეისნერმა გადაწყვიტა კახეთის ზვრების შესყიდვა, რამაც ის მილიონ ნახევრის

გადაიხადეს ოქროთი. ეს მაშინ ძალიან დიდი ფული იყო, ერთი ცხვარი ღირდა 12 აბაზი. ქართველთა ნაწილმა ეს მიიღწია, მაგრამ ილია ჭავჭავაძემ სწორედ მაშინ დაწერა სტატია "ბატონ მეისნერის პროექტი", სადაც მან კარგად დაასაბუთა, რომ მეისნერი თუ შეისყიდდა კახეთის მიწებს, ის ჩვენს გლეხებს პროლეტარად გადააქცევდა და ჩვენს ღვინოს მაშასადამე მოგვიგდებდა. ამ სტატიის გამოსვლის შემდეგ ქართველმა საზოგადოებამ უარი უთხრა მეისნერს კახეთის მიწების მიყიდვაზე.[11] და თუ დღეს ჩვენ ვყიდით მიწებს უცხოელებზე ეს ან ჩვენი უვიცობის, უწიგნურობის ბრალია ან იმის მოღალატური ქმედება, ვინც ამას აკეთებს. სწორედ უცხოური კაპიტალის როლზე საუბრისას ამბობს ილია ჭავჭავაძე – „**უფულო ერი ფულიანთა საქონარი, მისი საცხოვრისი ხდება**".[4, გვ. 23-24] და იქვე აგრძელებს, **„ქურდბაცაცა ბურჟუაზია და კაპიტალიზმის გაუმაძღარი სტომაქი ქართველებს სახსენებელს გაგვიწყვეტს, თუ ჩვენი მხრიდანაც ჩვენი ცხოვრების უწერელი კანონები არ მოვიმარჯვეთ. . . კაპიტალი, როცა ნამუსიანია, კარგია, მაგრამ უნამუსო კაპიტალი – ჩარჩული ფული ბუნებითად მხდალია, იმიტომ, რომ ქურდბაცაცაა – იქა მკის, სადაც არ უთესია. . . "**[4, გვ.24]

ამ შემთხვევაში, როდესაც კომპანიის მფლობელი ადგილობრივი პირია, ის ყოველთვის უფრო ჰუმანურია და შესაბამისად, შედარებით მაღალ ანაზღაურებას აძლევს დასაქმებულებს. ფორდის მაგალითი რომ ავიღოთ, ის ჯერ კიდევ XX საუკუნის 10-იანი წლების შუა ხანებში დღეში 5 დოლარს უხდიდა თავის მუშა-ხელს. ეს იმდენად მაღალი ანაზღაურება იყო იმ დროისათვის, რომ თავის ერთ-ერთ წიგნში ჯონ პაინტერი წერდა: „1914 წელს მოხდა ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: ჯერ ატყდა პირველი მსოფლიო ომი, ოდნავ ადრე კი, მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ფორდი მუშებს სამუშაო დღეში მინიმუმ 5 დოლარს გადაუხდის. **არა ვარ დარწმუნებული, თუ ამ მოვლენათაგან, რომელი დაამახსოვრდება ხალხს ყველაზე მეტად.**"[2,გვ.29] ფორდი არარეზიდენტი ბიზნესმენი რომ ყოფილიყო, საეჭვოა, მას ასეთი დიდი ხელფასი მიეცა თავისი მუშებისათვის. მაშინ როდესაც გარეთ უმუშევართა რიგი იდგა. ქართველებში კი მეცენატობა და ქველმოქმედება სხვებისგან არ გვისწავლია. ჩვენს წარსულში ამის შესანიშნავი მაგალითია დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია და სხვები, უახლოეს წარსულში და დღესაც კი – დღევანდელი პრემიერ-მინისტრი – ბიძინა ივანიშვილი.

ჩვენ გვგონია, ქვეყნისთვის შემოსავლით უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ისეთი მექანიზმი, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა იქნება პარტნიორი, მესაკუთრეც (თუ რა წილში, ეს მოლაპარაკების საკითხია) და არა მხოლოდ მოსამსახურე ყოველდღიური ფულების გარეშე. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ოქროს შუალედი, რომელიც მისაღები იქნება ინვესტორისთვისაც და ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც.

**სად ვეძებოთ ინვესტორი?**

მიგვაჩნია, რომ ყველა რაიონმა, ქალაქმა, სოფელმა უნდა გააკეთოს იმ ბიზნესმენთა სია, რომლებიც თავისი რაიონიდან, ქალაქიდან არიან წასულნი საზღვარგარეთ. მოიძიონ მათი კოორდინატები, რათა მათ შესთავაზონ პირველ რიგში, - ინვესტიციები განახორციელონ საკუთარ რაიონში, საკუთარ ქალაქში, ხოლო სახელმწიფო გარანტიას დაუდებს და ხელს შეუწყობს, შეღავათებს მისცემს მათ, პირველ რიგში, ხოლო შემდეგ, თუ აუცილებლობა იქნება, გამოიყენებს სხვა მოიზიდოთ უცხოური ინვესტიციები. აღნიშნული საკითხის უფრო კონკრეტულად შესწავლა და მოფიქრება შეიძლება, თუ რა შესაძლებლობა აქვს ქვეყანას, მაგრამ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება – **ჩვენიანების დაბრუნება სამშობლოში.**

ეს იმიტომ არის კარგი და საუკეთესო ვარიანტი, რომ თავის რაიონში უფრო ადვილად წაიღებს კაცი, რადგან მას იქ ნათესავები და ახლობლები ჰყავს, იცის აქაურობა და მოსახლეობის სანდოობა. მასში აუცილებლად იმოქმედებს პატრიოტული გრძნობაც, ეს ქართველი ადამიანის ბუნებაშია, სისხლშია. თუ უცხოელი მაქსიმალურად მოგებაზე იქნება ორიენტირებული, ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე, რომელსაც დიდი ფული დაუგროვებია, დიდი ალბათობით, უმრავლესობა სამშობლოს გრძნობით გაიღებს თანხას თავისიანების დასახმარებლად. მით უმეტეს მომგებიანი ბიზნესის შემთხვევაში. სახელმწიფო იდეოლოგია და მოთხოვნაც უნდა იყოს ისეთი, რომ მათ პატივისცემით მოეპყრას ყველა დონის სახელმწიფო ჩინოვნიკი და რიგითი მოქალაქე.

მათ, როგორც აქ, ისე იმ ქვეყანაში, სადაც ბიზნესი აქვს აწყობილი, ადვილად შეუძლიათ განსაზღვრონ რა პროდუქციაზეა იქ მეტი მოთხოვნილება. აქედან გამომდინარე, მეტი შანსით აქცენტს გააკეთებს სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქციაზე, გადამამუშავებელ ქარხნებზე და ა.შ. სოფლებს სხვა სფეროში აქვს განვითარება, თუმცაც მიწების გასაღების ბაზარი, ეს ხომ უმნიშვნელოვანესი საკითხია, აგერ

ულმებით აჭარაში მანდარინი და შიდა ქართლში ვაშლი, კახეთში ყურძენი და ა.შ.

ჩვენი მიზანი ხომ მარტო ის არ არის, რომ ბიზნესი აღორძინდეს და ქვეყანაში ლამაზი ხიდები, შენობები აშენდეს, თუნდაც უცხოელი ინვესტორების ხარჯზე, არამედ **ადგილობრივი მოსახლეობა იყოს ეკონომიურად ძლიერი.** მოსახლეობა ხომ იმისთვის უხდის სახელმწიფო მოხელეს თავისი ხელფასიდან საშემოსავლოს, რომ მათ წესრიგი დაიცვან, ხელი შეუწყონ მათ კეთილდღეობას და ა.შ. ამავდროულად, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი გარემო უნდა შეიქმნას ყველაფერში, რომ განვითარება იყოს ყველა მიმართულებით.

## რა რესურსი აქვს საქართველოს?

საჭიროა გაკეთდეს თითოეული რაიონის სრული ინვენტარიზაცია დაახლოებით ასეთი სქემის მიხედვით:

მოხდეს თითოეული სოფლის ასეთი აღწერა:

1. მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა, რამდენია:

- ჩაწერილი;
- რეალურად მცხოვრები.

მათ შორის:

- პენსიონერი;
- მოსწავლე;
- შრომის უნარიანი.

მათ შორის:

- უმაღლესი განათლებით (ასაკობრივი ზღვარის მიხედვით, მაგ. 20-40წ., 40-60წ.)
- საშუალო განათლებით (ასაკობრივი ზღვარის მიხედვით, მაგ. 20-40წ., 40-60წ.)

ადგილობრივებმა იციან ასევე, ვინ შეიძლება დაბრუნდეს თავის სოფელში, რაიონში, ქალაქში, თუ მას გარკვეული ხელშეწყობა ექნება ბიზნესის ასაწყობად.

2. ძირითადი ეკონომიკური დარგების მდგომარეობა:

- მემცენარეობა, მათ შორის:
- მარცვლეული კულტურა, მათ შორის: .....
- პირუტყვების სახეობები, რაც არის ან შეიძლება მოშენდეს ამა თუ იმ სოფელში;
- ქარხანა ან ფაბრიკა თუ იყო და რა არის დარჩენილი, რა მდგომარეობაშია ისინი დღეს?

ბოლოს, **ადგილობრივებმა შეიმუშაონ წინადადებები,** თუ რა შეიძლება იქ გაკეთდეს, შეიმუშაონ ბიზნეს-გეგმები, ვისაც არ შეუძლია, მას დავეხმაროთ მის შედგენაში, თუ ექნება კარგი იდეა. მათ შორის, სოფლებში ხშირ შემთხვევაში საჭირო იქნება კოოპერატივები, კლასტერები, ამას თვითონ დარგი მოითხოვს, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე.

ვფიქრობთ, უფრო **შედეგიანია, როცა იდეა მოდის იმისგან, ვინც უნდა განახორციელოს ესა თუ ის საქმე.** მთავრობაში მოფიქრებული და დაწერილი ბიზნეს-გეგმის მიხედვით მოზიდული ინვესტიციები, დიდი ალბათობით, იქნება მისი ავტორის ინტერესების მატარებელი და არა მოსახლეობის. ამასთან, როდესაც მოსახლეობას ექნება, თუნდაც სიმბოლურად, მესაკუთრის უფლება და განცდა, ის უფრო მეტად იქნება მოტივირებული არა მხოლოდ იმ ლოკალური საქმის წარმატებაში, რასაც თვითონ უშუალოდ აკეთებს, არამედ საერთო შედეგზეც. ის ვალდებული და დაინტერესებული იქნება, ეძებოს ახალი გზები ბიზნესის გაფართოებისთვის, ის მეტად მოუვლის საკუთარ ბუნებრივ გარემოსაც ეროვნული თვითშეგნებიდან გამომდინარე, ვიდრე ათასეული კილომეტრებიდან ჩამოსახლებული უცხოელი.

## როგორ დავეხმაროთ დამწყებ ბიზნესმენებს?

მიგვაჩნია, **რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება ჩვენს მოსახლეობას ვასწავლოთ ბიზნესის კეთება და დავაფინანსოთ შეძლებისდაგვარად.** დავიწყოთ მცირე ბიზნესით, რომელთა გარკვეული ნაწილი ხვალ და ზეგ საშუალო გახდება, რამდენიმე წელიწადში კი – დიდი, მსხვილი ბიზნესი. ბიზნესი კი პირდაპირ და ირიბად ქვეყნის ბიუჯეტის შევსების წყაროა. შესაბამისად, რაც მეტია ბიზნესში საქონელბრუნვა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი, მით მეტია ქვეყნის ბიუჯეტიც. **ბიზნესისა და ხელისუფლების დამოკიდებულება მამა-შვილის ურთიერთობას უნდა ჰგავდეს.** მცირე ბიზნესს ზრდი, სანამ თავისით დადგება ფეხზე, მერე კი აქეთ გაფინანსებს, როგორც ზრდასრული შვილი ხანში შესულ მშობელს, მაგრამ შვილი ჯერ უნდა გაზარდო და მიიყვანო იმ დონემდე, როცა შეეძლება აქეთ დაგეხმაროს.

ჩვენი მოსახლეობის ისეთ ნაწილს, რომელსაც ბიზნესის მშენებლობის ამბიციები გააჩნია და აქვს შესაბამისი შემოქმედებითი უნარი, ჩვენ შანსი უნდა მივცეთ მათ, გამოავლინონ იგი. ბუნებრივია, რომ ყველა ვერ იქნება ბიზნესმენი და თანაც წარმატებული, მაგრამ ხელშეწყობის შემთხვევაში მათი რაოდენობის გაზრდა ნამდვილად შეიძლება. ძლიერი ბიზნესი კი ძლიერი სახელმწიფოს საფუძველია.

ასევე, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა იმიტომ მიგვაჩნია პრიორიტეტულად, რადგან აღიარებული და მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ **სწორედ მცირე ბიზნესში ვხვდებით მეტწილად ნოვაციებს.** ხოლო მსხვილი საწარმოების მენეჯმენტი მიჩნეულია როგორც ბიუროკრატიული აპარატი. ასევე, საინტერესო მომენტია ისიც, რომ ერთი და იგივე ზომის კაპიტალით მცირე ბიზნესის დაფინანსებით მეტი ადამიანების დასაქმება

შეიძლება, ვიდრე მსხვილი ბიზნესის დაფინანსებით. ამავე დროს, მცირე ბიზნესი უფრო სწრაფად აბრუნებს თანხებს და უფრო მაღალი პროცენტით ხდება ამონაგების მიღება. ამერიკელი მეცნიერები თვლიან, რომ **მცირე ბიზნესი ერის ბენო-ზონდია.** როგორც აშშ-შია, ისე უნდა იყოს ჩვენთანაც **ბიზნესისადმი დამოკიდებულება პრინციპით – ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული.** ეს მეწარმის შემოქმედებითი უნარის გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

ჩვენ კონკრეტულად შემუშავებული გვაქვს **დამწყები ბიზნესმენებისთვის ხელშეწყობის ახალი სქემა:** იქნება „მომავალი **ბიზნესმენთა სკოლა"**, რომელიც ტრენინგ-ლექციების გზით ამზადებს ინიციატივიან პოტენციურ ბიზნესმენებს, რომელთა შორის საუკეთესო იდეის მქონენი დაფინანსდებიან. ჩვენი სქემის მიხედვით მსმენელები მოისმენენ იმ მთავარ მიმართულებებს, რომლებიც აუცილებელია დამწყები ბიზნესმენისათვის, რათა მან გაიაზროს თუ რა სირთულეებთან ექნება საქმე. ჩვენ შედგენილი გვაქვს სკოლისთვის პროგრამა, სალექციო კურსი. შერჩეულია ლექტორები და აუდიტორია. საჭიროა მხოლოდ დაფინანსება. სკოლაში მსმენელები მოისმენენ თუ როგორია ბიზნესგარემო საქართველოში, როგორია ნორმატიული ბაზა, სახელმწიფოსთან, კონკურენტებთან თუ პარტნიორებთან ურთიერთობის საკითხები, როგორ მოძებნონ იდეა, როგორ შეადგინონ მასზე ბიზნეს-გეგმა, როგორ ხდება რეგისტრირება და მერე საქმისწარმოება, რა ფინანსური და იურიდიული თუ ბუღალტრული მხარდაჭერა ექნება მას სკოლის მხრიდან, მათი ურთიერთობის პირობები და ა.შ. ჩვენი სქემის მიხედვით, სკოლა იღებს ბიზნესისათვის საჭირო თანხებს და თვითონ აფინანსებს იმ პროექტებს, ბიზნეს-გეგმების მიხედვით, რომლებსაც სკოლის ექსპერტები ჩათვლიან საჭიროდ. აქ ბანკის პრინციპით კოლეგიალური გადაწყვეტილებით მოხდება შერჩევა. ბიზნეს სკოლა იღებს ვალდებულებას მისი საქმიანობის სრულ კონტროლზე აღებული თანხის დაბრუნებამდე, ხოლო შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თვითონაც მიიღებს მოგების წილს. დეტალები დაზუსტდება კონკრეტული ბიზნეს-პროექტის შესაბამისად. მას შემდეგ, რაც ბრუნდება თანხა და მომსახურების საკომისიო თანხას იღებს სკოლა, თვითონ ბიზნესს, შეუძლია დამოუკიდებლად განაგრძოს. ესაა ბიზნესინკუბატორის პრინციპი. თვითონ ბიზნესის სამართლებრივი და ორგანიზაციული ფორმა შეზღუდული არ იქნება. რიგ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებული იქნება კლასტერებისა თუ კოოპერატივის პრინციპები. ყველაფერი დამოკიდებულია ბიზნესის ბუნებაზე. მთავარი ამოსავალი წერტილი ის არის, რომ დამწყები ბიზნესი დაცული იქნება მაღალი დონის სპეციალისტების მიერ, სანამ მას ეს დასჭირდება. ყველა ფინანსური ოპერაცია განხორციელდება სკოლის შესაბამისი სპეციალისტის, ექსპერტის მეთვალყურეობით ან უშუალო მონაწილეობით, რამდენადაც ამის საჭიროება იქნება. აქ **გამოიყენება მშობლისა და შვილის პრინციპი, სადაც ორივეს წარმატების ინტერესი ექნება.** თუ ბიზნესი არ იქნება წარმატებული ორივე წააგებს. თუ ბიზნესი დაგეგმილზე მეტად წარმატებული აღმოჩნდება, ის უფრო ადრე მიიღებს თავისუფლებას, თავის მხრივ სკოლაც უფრო მეტ სარგებელს მიიღებს, რაც უფრო წარმატებული იქნება ბიზნესი.

სკოლისა და დამწყები ბიზნესის ურთიერთობაში შეიძლება ასეთ შემთხვევასაც ჰქონდეს ადგილი. მაგალითად, ასეთი პირობები გაფორმდეს: შვილმა შეიძლება „ლეპტოპის" საყიდლად 1000 ლარი მოსთხოვოს მამას, მაგრამ თუ მამა ხედავს, რომ მას 1000 ლარად დაბალი ხარისხის „ლეპტოპი" მოუვა, ხოლო 1100 ლარად მაღალი ხარისხიანი ლეპტოპის შეძენა შეიძლება, რომელიც ორჯერ უფრო სწრაფია და ორჯერ მეტხანს გაუძლებს, მაშინ ნორმალურად მოაზროვნე მშობელი 100 ლარს დაუმატებს და კარგს უყიდის. ასე უნდა გააკეთოს სკოლამაც, რადგან მას ამის ფინანსური შესაძლებლობა ექნება. ეს იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ალბათ, ყველა ბევრ ნიჭიერ ადამიანს უჩნდება იდეები ახალი ბიზნესის წამოწყებაზე, თვითონ მოიძებნოს იდეა, ისწავლოს და გამოიმუშაოს შემოქმედებითი მუშაობის უნარი და ა.შ.

თუ ჩვენ დავიწყებთ დიდი საწარმოების მშენებლობას უცხოური ინვესტიციებით, იქ დასაქმებული ადამიანების უდიდესი ნაწილი, დიდი ალბათობით, მხოლოდ მსახურებად დარჩებიან. დიდ ორგანიზაციებში, ისე როგორც სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული ადამიანების უმრავლესობა მუდამ ცდილობს, ნაკლები შრომით გაატარონ სამუშაო დრო, რათა დროულად წამოვიდნენ სამსახურიდან. მას ხომ განსაზღვრული ხელფასი აქვს და უმეტეს შემთხვევაში სხვა სტიმულები არ გააჩნია. პატარა საწარმოებში კი, სადაც მათი შემოსავალი მათივე შრომის პირდაპირ პროპორციულია, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი იმუშაონ. მაგალითად, განა შეიძლება დალაქმა დროის გაყვანაზე იფიქროს? რა თქმა უნდა არა! ის მანამდე მუშაობს, სანამ კლიენტი ელოდება, თუნდაც 12 საათიანი სამუშაო დღე გამოუვიდეს. მცირე ბიზნესში კი ბევრია პატრიოტული აზროვნების თანამშრომელი. უმეტეს შემთხვევაში ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. ჩვენ კი გვინდა, რომ **ქართული შემოქმედებითი უნარი**

გავადვილოთ, რომელიც სხვაზე მეტად ნიშნავს უპირატესობა უფალს. ქართველ კაცს ბუნებით აქვს კომუნიკაბელობის უნარი, რითაც პირველ ადგილზე ვიყავით საბჭოთა პერიოდშიც კი, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით. ეს კი დიდი უპირატესობაა ბიზნესში.

**რაც შეეხება ბიზნესინკუბატორის უპირატესობას**, ეს იმაშიც მდგომარეობს, რომ აქ დასაქმებული ადამიანი 10-ჯერ უფრო იაფი უჯდება სახელმწიფოს, ვიდრე სხვა ფორმით დასაქმებული. მოგეხსენებათ, „ბიზნესინკუბატორს" სწორედ იმიტომ ქმნიან მას, რომ იქ ხდება ბიზნესის ინკუბაცია, გაიზრდება და მიდის დამოუკიდებლად. მერე მოდის ახალი, მომდევნო თაობა და ა.შ. ბიზნესინკუბატორი ბოლო ხანებში ფართოდაა გავრცელებული ევროპაშიც და აზიაშიც. მან ყველგან გაამართლა. ეს ამერიკული მოდელია. ასევე, ძალიან პოპულარული ხდება ბოლო ხანებში კლასტერები.

განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა **ინკლუზიური ბიზნესის ხელშეწყობას**, მაგრამ დღევანდელი საქართველოს პირობებში უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია ზოგადად ბიზნესის განვითარება, მათ შორის გარკვეული ადგილი უნდა დავუთმოთ ინკლუზიურ ბიზნესსაც. ასევე მეტად აქტუალური გვეჩვენება ქართული სოფლის შენარჩუნება და უფრო მეტიც, მისი განვითარება, აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობის **სოფელში დაბრუნების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება**. ეს დღევანდელი მთავრობის პროგრამაში კი არის ნახსენები და გათვალისწინებული, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ საჯარო განხილვის საგანი უნდა იყოს, ვიდრე კონკრეტულ ნაბიჯებს გადავდგამდეთ. ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია მოსახლეობის დაბრუნება სასაზღვრო რაიონებში. იქნებ ჯობდა, რომ თავდაცვაზე ნაგულისხმევი ხარჯების გარკვეული ნაწილი მიმართულიყო სასაზღვრო რაიონების, სოფლების გამაგრებაზე. აეშენებინა მათთვის სახლები, მიეცა შინამეურნეობისთვის საჭირო პირობები, შეეყვანა პირუტყვი, ფრინველი და ა.შ., ასევე სოფლებში შეექმნა მცირე და გადამამუშავებელი საწარმოები გარკვეული შეღავათებით გადასახადებთან მიმართებაში. ვინც წამოსულია, მაგრამ იქ დარჩა სახლ-კარი, მას ცოტა მეტი დახმარება მიეცეს, ხოლო ვისაც იქ არაფერი არ აქვს, მაგრამ სურვილს გამოთქვამს სასაზღვრო სოფლებში დასახლდეს, მას გაეწიოს ისეთი დახმარება, რომ სახლიც ააშენოს ან აუშენოს სახელმწიფომ, ვისაც შეუძლია სამსახური, ადგილობრივ შეასრულოს და მიეცეს სახელმწიფო ხელფასი, ვინც ისე დარჩება საცხოვრებლად, მას გაეწიოს სოციალური დახმარებები როგორც სახლის ასაშენებლად, ისე საოჯახო და მცირე ბიზნესის ასაწყობად. შეიქმნება ისეთი პირობები, რომლის გამოც ეღირს მას დაბრუნება სასაზღვრო რაიონებში. თუ ეს არ გაკეთდება შეიძლება მთელი თბილისი-სხვაგის მეგაპოლისი და მისი შემოგარენი.

იქნებ მისაღები იყოს **იაპონიის მაგალითი ჯართან მიმართებაში**. იაპონიამ როცა წააგო ომი 1945 წელს, იაპონიის მთავრობამ და საზოგადოებამ შეიმუშავა ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და 1948 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, სადაც ჩაწერეს ის ფაქტი, რომ იაპონიამ საერთოდ უარი თქვა სამხედრო შეიარაღებაზე, რაც დღემდე გრძელდება. ქვეყანამ დაიტოვა მხოლოდ სასაზღვრო ჯარი 14 ათასი კაცის შემადგენლობით.

**საბანკო სექტორი.** ბევრ ადამიანს აწუხებს ეს კითხვა, თუ რატომ არის საბანკო სექტორის მომსახურება ასეთი ძვირი საქართველოში? [illegible] „2010 წლის მონაცემებით, კრედიტის **სიძვირით მეშვიდე ადგილზე ვიყავით** - კრედიტებზე საშუალო შეწონილი განაკვეთი 24.2 პროცენტი იყო, ხოლო ახლახან უკვე გამოქვეყნდა **მსოფლიო ბანკის განახლებული სტატისტიკა** და, **2011 წლის მონაცემებით, საქართველო უკვე მეხუთე ადგილზეა** კრედიტების სიძვირით და საშუალო შეწონილი განაკვეთი 25.3 პროცენტია"[10]. ზოგიერთი ბანკირის აზრით, ეს იმით არის გამოწვეული, რომ დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთია მაღალი. ჩვენ (ცოტა შორს წავალთ და შევეცდებით ისიც ავხსნათ, თუ **რატომ არის დეპოზიტის მაღალი საპროცენტო განაკვეთი ქართულ ბანკებში**.

საზოგადოებაში გავრცელებული აზრია, რომ საქართველოში საბანკო სექტორი „მონოპოლიზებულია" გარკვეული ჯგუფის მიერ და არც ერთი ბანკი არ აწყობს არა მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის დაკლებას კრედიტებზე, არამედ სადეპოზიტო განაკვეთის დაკლებას. შედეგებით ამის ეკონომიკური ინტერესები წარმოიდგინოთ.

2012 წლის სექტემბერში ერთ-ერთ ვებ-გვერდზე დაიდო ასეთი ინფორმაციული გამოკვლევა, სადაც წყაროების მითითებით მოცემულია, რომ სს „საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის ოფიციალური შემოსავალი მარტო ბანკიდან (სხვაგან რა შემოსავალი აქვს ან წინა წლებში რამდენი შემოსავალი ჰქონდა, ეს დეტალები ნაკლებად ცნობილია) 2011 წლისთვის დაახლოებით 4.9 მილიონი დოლარია (ხელფასი+ბონუსები, ბანკის სტენების მიხედვით 3%)[5]. საკვირველი საკითხი არ არის, რომ ამ დონის შემოსავლის მქონე ადამიანი მისი წლიური შემოსავლის მინიმუმ 90%-ს დებს დეპოზიტზე, რაც მისივე ბანკში („ყოველი ანაბარი") წლიური 12%-ია. ეს ნიშნავს, რომ თუკი მან დეპოზიტზე დადო, პირობითად 4.5 მილიონი დოლარი, მაშინ ის წლის ბოლოს დეპოზიტის საპროცენტო სარგებლის სახით აიღებს 540 ათას დოლარს. ამ შემოსავალში, ბუნებრივია, მას და მის მსგავსად მაღალი შემოსავლების მქონე ბანკირებს არ აწყობთ დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთის დაკლება. ყველა ბანკში,

მმართველობით ზედა ეშელონში განლაგებული პირები იღებენ იმდენს, რომ შემოსავლის უდიდეს ნაწილს დეპოზიტზე დებენ. ისე საინტერესოა, თუ რამდენია თვითონ ბანკირების მიერ დეპოზიტზე დადებული თანხის ოდენობის ხვედრითი წილი მთლიან დეპოზიტში, სავარაუდოდ - ნახევარი, შეიძლება მეტიც. ექსპერტების კვლევების მიხედვით 2011 წელს საქართველოში ბანკებმა დეპოზიტის მომსახურებაზე 400 მლნ ლარი დახარჯეს[10] ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, არც ერთ ბანკირს არ აწყობს პროცენტების დაწევა დეპოზიტზე.

კიდევ ერთ საინტერესო ციტატას მოვიტანთ ერთ-ერთი სტატიიდან:

„1. ბოლო 4 წელიწადში „ბაზი სის" ბანკების მოგების პარალელურად იზრდება;

2. 2012 წლის პირველ კვარტალში, 5 წლის წინანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით „თიბისი ბანკის" მიერ ქონების დასაკუთრების (წართმევის) მაჩვენებელი 123-ჯერ გაიზარდა – 0,3 მლნ-დან 37 მლნ-მდე;

3. 2011 წელს „თიბისი ბანკმა" უპრეცედენტო მოგება ნახა – 91 მლნ ლარი, ხოლო 2007 წელს (რომელიც ქვეყნისთვის ეკონომიკურად ყველაზე წარმატებულ წლად ითვლება) – 25 მლნ ლარი;

4. 2012 წლის 3 კვარტალში „თიბისი ბანკმა" მომხმარებლებისაგან ჯარიმის სახით 11 მილიონი ლარი აიღო, რაც იგივე პერიოდის მოგების 21%-ს შეადგენს!"[5]

საინტერესო მოსაზრებები აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერ-ეკონომისტს იოსებ არჩვაძეს, რომელმაც ბანკების ამგვარ „წარმატებას" „პიროსის გამარჯვება" უწოდა.

რაც შეეხება მაღალ საპროცენტო განაკვეთებს, აქ ეროვნულ ბანკსაც მიუძღვის თავისი წვლილი. მაგალითად, რეფინანსირების განაკვეთი 6-7 პროცენტის დონეზეა, როცა იგივე აშშ-ში 0,25%-ია, ევროპაში 1%, ხოლო იაპონიაში - 0,1%. ხსენებულ ქვეყნებში აქცენტი კეთდება ეკონომიკის და არა სახელმწიფო სექტორის წახალისებაზე. „ამ 6-7 პროცენტიანი სესხებით, რომლებსაც ჩვენი ეროვნული ბანკი გასცემს კერძო ბანკებისთვის, რა თქმა უნდა, ეროვნული ბანკი დიდ მოგებას იღებს. ამის საპირისპირო ვითარებაა ევროპაში, ამერიკასა და იაპონიაში, რაც საბოლოო ჯამში, აიაფებს კრედიტებს მოსახლეობისთვის."[10]

დაბალპროცენტიანი კრედიტების აღება შეიძლება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს მხრიდან, სადაც კრედიტები არის 25, 30, 40 წლიანი, წლიური 0,75-დან 2%-მდე, 5, 10 წლიანი საშეღავათო პერიოდით. უფრო გამართლებულია ბიზნესის განვითარებისთვის ავიღოთ მსგავსი კრედიტები სახელმწიფოს გარანტიით, ვიდრე იუსტიციის სახლების მშენებლობისთვის.

არ შეიძლება არ შევეხოთ **საქართველოდან წასული ადამიანების დაბრუნების საკითხს.** თუ მათ შევუქმნით ღირსეულ სამუშაო პირობებს, მათი უმრავლესობა დაბრუნდება სამშობლოში. ბუნებრივია, ეს გამოიწვევს ეკონომიკის ზრდას. ამიტომ ხელისუფლებას არ უნდა შეუშინდეს ბიზნესის კეთების პირობების გამარტივების, თუნდაც დროებითი „ჩავარდნის" ხარჯზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმ შეღავათებით, რაც ვთქვით, გადასახადის განაკვეთის შემცირებით, ან გარკვეული კატეგორიისთვის გადასახადისაგან განთავისუფლებით შეიძლება მიიღოთ.

ექსპერტების აზრით (ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს), ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველო დატოვა დაახლოებით 1,2 მილიონზე მეტმა ადამიანმა, აქედან, დაახლოებით 70-80% დასაქმებულია. თუ ქვეყანა სწორად გათვლილი პოლიტიკით იმოქმედებს, შესაძლებელია ქართველ მიგრანტთა მინიმუმ ნახევრის დაბრუნება. ელემენტარული გათვლა გავაკეთოთ, თუ რა შედეგს მოგვცემს ეს: ქართველ მიგრანტთა ნახევარი ესაა 500-600 ათასი შრომისუნარიანი ადამიანი. წარმოიდგინეთ 500-600 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, საშუალოდ 1000 ლარიანი ხელფასით თვეში, რაც რეალურია და მიღწევადი 3-4 წელიწადში სწორი ეკონომიკური პოლიტიკით. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სახელფასო ფონდის მოცულობა იზრდება 500-600 ათასი ლარით თვეში, წელიწადში კი – 6-7 მილიარდით. ასევე-მარტო ხელფასის ფონდიდან საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტი დამატებით მიიღებს დაახლოებით 1,2-1,4 მილიარდის შემოსავალს.

ახლა სხვა კუთხიდან შევხედოთ ამას. თუ ხელფასის ფონდი წელიწადში 6-7 მილიარდით გაიზრდება, შესაბამისად, რამდენიმე ათეული მილიარდით გაიზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტიც. გარდა ამისა, მოსახლეობის ზრდა იწვევს მოთხოვნილების ზრდას ყველა სახის პროდუქტზე და პროდუქციაზე. მოთხოვნა თავისთავად განაპირობებს მიწოდების ზრდას, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევს. სწორედ ამიტომ **აუცილებელია ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მიმართულებების დაუყოვნებლივი შემუშავება და საერთო-სახალხო განხილვა და მიღება. სწორი პოლიტიკით სწრაფად შეიძლება ეკონომიკის აღდგენა. სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სწორედ მიგრანტ ქართველთა დაბრუნება უნდა იყოს.**

დღეისათვის საქართველო ერთადერთია იმ რამდენიმე სახელმწიფოთა შორის, რომელთაც დაქირავებული შრომით დაკავებულები საზღვარგარეთ უფრო მეტი ჰყავთ, ვიდრე თავისთან, სამშობლოში (არანაკლებ 30%-ით)[9]. სწორი პოლიტიკით შესაძლებელია საქართველოში



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებაც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ გვინდა შევჩერდეთ, ესაა **პენსიონერთა დასაქმების სტიმულირება**. ჩვენ ნუ მივიხედავთ პენსიონერების აქტიურ პროტესტებზე მუშაობის, უფრო მეტიც ნუ დავაძალებთ, მაგრამ ფაქტია, რომ 60-65 წლის თუნდაც 70 წლის ადამიანები ბებრები არ არიან და ვისაც ჯანმრთელობა უწყობს ხელს დიდი სიამოვნებით მიიღებს შეთავაზებას კონსულტანტის, მრჩევლის თანამდებობაზე, თავისუფალი გრაფიკით ან გამოძახებით რაიმე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის დროს, თუნდაც დაბალი ანაზღაურებით. თუმცა, ისინი თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე **ბევრად უფრო პროდუქტიულები იქნებიან**, ვიდრე ზოგიერთი ახალგაზრდა გოგო-ბიჭები. **მათი ცოდნა და გამოცდილება აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ**. ასევე, ლექტორები ძირ დაქვაძლებით, მაგრამ კონკრეტული ბერკეტებით შეიძლება წაახალისონ დამქირავებლები, მათ შორის სახელმწიფო სამსახურში. სახელმწიფომ დასაქმებულ პენსიონერებზე მოხსნას საშემოსავლო გადასახადი. ასეთი პენსიონერების რაოდენობა არ იქნება ბევრი, მაგრამ ეს მათთვის მატერიალურთან ერთად მორალური მხარდაჭერაც იქნება. ხოლო მათი ცოდნისა და გამოცდილების მიღება **ბევრად უფრო ძვირად ღირებულია, ვიდრე ის ხელფასი**, რაც შეიძლება მათზე გავცეთ.

შეიძლება ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ პრობლემად ზოგიერთმა კადრების არაკვალიფიციურობა დაასახელოს. მაგრამ თუ იმ ფაქტებს გავითვალისწინებთ, რომ საქართველოდან გასული მიგრანტების უმრავლესობა დასაქმებულია და იქ იმდენ პროდუქტს ქმნიან, რომ საქართველოში წლის განმავლობაში 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტს აგზავნიან თავიანთ ოჯახებში, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი კვალიფიკაცია მოთხოვნადია საზღვარგარეთ და ის მოთხოვნადი იქნება საქართველოშიც. ზემოთ აღნიშნულს კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, ჩვენი წარმატებული ქართველი მიგრანტები ნელ-ნელა უნდა დავაბრუნოთ საქართველოში თავიანთი გამოცდილებით, ბიზნესკონტაქტებით და კაპიტალით. ეს **გვესახება ყველაზე ეფექტურ, სწრაფ და იოლ გზად ქვეყნის აღმავლობისათვის**. ეს იქნება ქვეყნისთვის **ყველაზე დიდი ეროვნული, ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკა**. ყველას, ვინც საქართველოშია დაბადებული, უკლებლივ უნდა მიეცეს საქართველოს მოქალაქეობა, თუ ისინი ამას მოისურვებენ. ხოლო შეეწყოს მათ ჩამოსვლას საქართველოში, ბიზნესის ასაწყობად გარკვეული შეღავათები მიეცეთ და ა.შ.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. დ. ნარმანია, ბიზნეს-გარემოს სრულყოფის კონცეფცია, ძირითადი მიმართულებები, თბილისი, 2012.
2. ლ. ქარხავა, გამოწვეული ბიზნესმენთა სამეწარმეო ცხოვრებიდან, „ლომი", 2006;
3. დ. ნიშნიანიძე, ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები, „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2012.;
4. ი. ჯავახიშვილი, თხზ., ტ.VII, თბ., 1956წ.
5. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo, მოსახლეობა;
6. http://www.tetrebi.org/?p=21;
7. http://georgianbanks.com/index.php?option=com_content&view=article&id=495, ერთი ბანკირის [illegible];
8. http://www.banksandfinance.ge;
9. http://froph.com/საქართველოს-მოსახლეობის/
10. http://tbiliselebi.ge/index.php?mas_id=268435471&year=2012&rubr_id=1&jurn_id=35.
11. http://www.open.ge/index.php?m=88&y=2010&art=23373


## Business Environment in Georgia: Problems and Perspectives


Loid Karhava
Doctor of Business Administration
Associate Professor



In this article there are discussed factors that influence negatively on Georgian business environment. For example, irrelevance of Normative Acts regards to the business development, unreliable court system, different form of pressure from government structures, no support to start up and small business, no existence of antimonopoly actions from the government and etc. There is defined the author's position. Besides, there are given measures to be taken in order to improve business environment, work out country development strategy and this discussion will attend specialists, scientists, politicians and persons concerned.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მენეჯმენტი: კულტურა, ღირებულებები, ორგანიზაცია



გიორგი აბაშიშვილი
ილიას უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი



შოთა ვეშაპიძე
სტუ-ის
სრული პროფესორი



დალი სეხნიაშვილი
სტუ-ის
ასოცირებული პროფესორი

*სწრაფად ცვალებადი და არასტაბილური ბიზნეს-გარემო მენეჯერებს აიძულებს საწყისში ხაზგასმით ძალების მოქმედების თავისებურებებს, გაითვალისწინონ ის სირთულეები, რასაც მათ ხაზგასმით დღევანდელი რეალობა და ეფექტურად გამოიყენონ არსებული და წარმოქმნილი შესაძლებლობები. მიუხედავად უდიდესი სწრაფი ტემპებით მიმდინარე ინტერნაციონალური პროცესებისა, სხვადასხვა ქვეყნის კულტურები მაინც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. განსხვავებულია მათი ფასეულობები, წესები, ცოდნა, რწმენა, მორალური პრინციპები, კანონები, ადათ-წესები და ა.შ. ზემოთ ნათქვამი ეროვნული კულტურა განსაზღვრავს ინდივიდის ქცევას და სხვებთან მისი ურთიერთობის თავისებურებებს.*

*სტატიაში ნაჩვენებია, რომ ღირებულებები და დამოკიდებულებები მნიშვნელოვანი კომპონენტია მენეჯერებისათვის ყოველი ქცევის ასახსნელად. მენეჯერებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ღირებულებებისა და ნორმების ხასიათზე, რომლებიც ყალიბდება ორგანიზაციაში. მათ ძალუძთ გამიზნულად დანერგონ და განავითარონ ისეთი ორგანიზაციული ღირებულებები და ნორმები, რომლებიც ყველაზე უკეთ შეესაბამება მათ ამოცანებს და გარემოს, სტრატეგიას თუ ტექნოლოგიას.*

*სტატიაში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციული კულტურა ორგანიზაციის წევრებს დამკვიდრებული ღირებულებების, სოციალიზაციის პროცესის, ცერემონიებისა და რიტუალების, ისტორიებისა და ენის მეშვეობით გადაეცემა. ამის გამო ორგანიზაციების უმეტესობას აქვს სხვადასხვა ტიპის სოციალიზაციის პროგრამა ახალი თანამშრომლების ორიენტირებაში დასახმარებლად. ასევე, მენეჯერებს შეუძლიათ სცადონ შექმნან ან გავლენა მოახდინონ ორგანიზაციულ კულტურაზე, ორგანიზაციული ცერემონიებისა და რიტუალების დამკვიდრებაზე.*

ინგლისელი სოციოლოგის და ანთროპოლოგის, ერნესტ გელნერის, განსაზღვრით, „კულტურა არის საქმის წარმოების განსაკუთრებული სახე, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ საზოგადოებას"[5]. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის, დუგლას ნორტის, განმარტების თანახმად, კულტურა საფუძველია „ამა თუ იმ საზოგადოებაში თამაშის წესების და უზრუნველყოფს ადამიანთა ურთიერთქმედების არაფორმალურ შეზღუდვებს"[5]. ურთიერთქმედების ნორმები გადადის სოციალურად. გადაცემის ასეთი ფორმა გენეტიკურისგან განსხვავდება იმით, რომ, როგორც ე. გელნერი აცხადებს, „ამტკიცებს შეძენილ ნიშნებს".

დ. ლალი თავისი კვლევის ამოცანებთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კულტურა ადამიანის შეცნობილი მოღვაწეობის პროცესში გარემოს ცვლილების და ახალ გარემოში გადარჩენის ხერხების შემუშავების შედეგია. შეძენილი უნარები ფიქსირდება „სოციალური წესის სახით".

თუკი ამ დებულებას ფილოსოფიურიდან გადავიტანთ უფრო კონკრეტულ ეკონომიკურ ენაზე, მაშინ საუბარი შეიძლება იყოს შემდეგზე: წარმოების სრულყოფის დარგში მიღწევები აისახება ახალ ტექნიკაში და ძველის მოდერნიზაციაში, ადამიანთა საქმიანობის ორგანიზაციის ახალ სქემებში, აგრეთვე განათლების სისტემასა და პროფესიულ სწავლებაში, რის წყალობითაც შექმნის ტექნოლოგიის, ტექნიკის ექსპლუატაციის და მოღვაწეობაში წარმოების ორგანიზაციის გადაცემა და სრულყოფა ხდება.

ავტორი გამოყოფს კულტურის ორ ფენას. პირველია კულტურის მატერიალური ფორმები (გამომუშავების ფორმები ცხოვრებისთვის), ანუ, თუ ვისარგებლებთ მარქსისტული

ტერმინოლოგიით, საწარმოო ურთიერთობები. მეორე ფენას შეადგენს მსოფლმხედველობა, ე.ი. სამყაროს გაგება და ადამიანის ადგილი მასში, დ. ლალი ამჯობინებს მას უწოდოს კოსმოლოგიური წარმოდგენა. იგი ასეთ განსაზღვრას ნეიტრალურად მიიჩნევს, ამჯობინებს რა ტერმინ „იდეოლოგიას“.

ახალ ათასწლეულში მრავალი კომპანია გლობალურ ორგანიზაციად გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე დგას. გლობალურ სივრცეში მუშაობა კი, მისი სირთულისა და ცვალებადობის გამო, საკმაოდ რთული და არაპროგნოზირებადია.

საერთაშორისო გადაადგილების გამარტივებამ და თანამედროვე საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნებს შორის კულტურული განსხვავების შემცირებას. ინტერნეტი კი გლობალური საკომუნიკაციო ქსელისა და მედიის განვითარებას ემსახურება, რომელიც, თავის მხრივ, ყველა ქვეყნის კულტურაზე მაღლა მდგომ მსოფლიო კულტურას ქმნის.

თუ ორგანიზაცია აპირებს შეეწყოს ცვალებად გარემოს, მაშინ მისი მენეჯერები უნდა ჩაწვდნენ იმ ძალების მოქმედებას, რომლებიც ამ გარემოზე ახდენენ გავლენას და ისწავლონ, თუ რა სირთულეს და შესაძლებლობებს სთავაზობს იგი.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნები ერთმანეთს უფრო მეტად ემსგავსებიან და მსოფლიო ერთ დღეს შეიძლება დიდ, გლობალურ სოფელს დაემსგავსოს, სხვადასხვა ქვეყნის კულტურები მაინც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. განსხვავებულია მათი ფასეულობები, წესები, ცოდნა, რწმენა, მორალური პრინციპები, კანონები, ადათ-წესები და ა.შ. ეროვნული კულტურა განსაზღვრავს ინდივიდის ქცევას და სხვებთან მისი ურთიერთობის თავისებურებებს. ადამიანები ეროვნულ კულტურას ყოველდღიური ცხოვრებიდან და მათ გარშემო მყოფებიდან სწავლობენ. ეროვნული კულტურის შესწავლას ინდივიდი ადრეული ასაკიდან იწყებს და მთელი ცხოვრება აგრძელებს.

ეროვნული კულტურის ძირითად საყრდენს ფასეულობები და წესები წარმოადგენს. ფასეულობები არის საზოგადოების შეხედულებები კარგზე, სწორზე, სასურველსა და მშვენიერზე. ფასეულობები საფუძვლად უდევს შეხედულებებს ინდივიდუალურ თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე, სამართლიანობაზე, სიმართლეზე, პატიოსნებაზე, ერთგულებაზე, სოციალურ მოვალეობებზე, კოლექტიურ პასუხისმგებლობებზე, ქალისა და მამაკაცის როლებზე, სიყვარულზე, სექსზე, ქორწინებაზე და ა.შ. ფასეულობები მარტო აბსტრაქტული მცნებები არ არის, მათ დიდი ემოციური დატვირთვა აქვთ. ადამიანები კამათობენ, იბრძვიან და კვდებიან კიდეც ისეთი ფასეულობებისთვის, როგორიცაა მაგალითად, თავისუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ ფასეულობები ღრმად გამჯდარია საზოგადოებაში, ისინი არაა სტატიკური — ქვეყნის ფასეულობების შეცვლა ნელი და მტკივნეული პროცესია. ყოფილი კომუნისტური ქვეყნების ფასეულობათა სისტემა მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის, ვინაიდან ამ ერებმა თავი დააღწიეს ძველ ფასეულობებს, რომლებიც სახელმწიფოს მნიშვნელობას უსვამდა ხაზს და გადავიდნენ ახალზე, რომლებიც ინდივიდუალურ თავისუფლებას ანიჭებს უპირატესობას. ქვეყანაში ფასეულობების გადახარისხებას ხშირად სოციალური არეულობა ახლავს თან.

წესები ქცევის დაუწერელ კოდექსია, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ ქცევას კონკრეტულ სიტუაციაში და აჩვენებს ადამიანთა ურთიერთობის სახეს. ეროვნულ კულტურაზე ორი ძირითადი წესი ახდენს გავლენას: საზოგადოებრივი და ტრადიციული. საზოგადოებრივი არის ყოველდღიური ცხოვრების რუტინული, სოციალური წესი და ეხება ისეთ ჩვეულებებსა და პრაქტიკას, როგორიცაა მაგალითად: ჩაცმის სტილი კონკრეტულ სიტუაციაში, დახვეწილი სოციალური მანერები, ჭამისა და სუფრასთან მოქცევის კულტურა და სხვა ადამიანებთან თბილი მოპყრობა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი წესები განსაზღვრავენ ადამიანთა სასურველ ქცევებს, მათი დარღვევა სერიოზულ ან მორალურ პრობლემებს არ იწვევს. ამ წესების დამრღვევ ინდივიდებს ხშირად ექსცენტრიულ ან უზრდელ ადამიანებად მიიჩნევენ, მაგრამ მათ არ აღიქვამენ როგორც ბოროტ და ცუდ პიროვნებებს. ბევრ ქვეყანაში, უცხოელ სტუმრებს თავიდან პატიობენ საზოგადოებრივი წესების დარღვევას, ვინაიდან ისინი არ იცნობენ ადგილობრივ ქცევებს, მაგრამ განმეორებითი ქმედების დროს, მათ ეს დანაშაული აღარ ეპატიებათ, იმიტომ, რომ ისინი ვალდებულნი არიან მოერგონ ადგილობრივ წესებს.

ტრადიციები არის საზოგადოებისა და სოციალური ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა. მათი გავლენა ბევრად უფრო ძლიერია ვიდრე საზოგადოებრივი წესებისა. აქედან გამომდინარე, ტრადიციების დარღვევა სერიოზულად ისჯება. ტრადიციულობა განსაკუთრებით ძლიერდება ქურდობის, ცოლ-ქმრული ღალატის და ინცესტის დროს. ბევრ საზოგადოებაში ტრადიციებმა კანონებში ჰპოვეს ასახვა. ამიტომ, თითქმის ყველა პროგრესული საზოგადოების





ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

კანონი კრძალავს ქურდობასა და ინცესტს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი საზოგადოების ტრადიციები არსებითად განსხვავდება მეორისგან. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, ალკოჰოლის მოხმარება მიღებული ქცევაა; მაგრამ საუდის არაბეთში, ალკოჰოლის გამოყენება სოციალური წესების დარღვევად ითვლება და პატიმრობით ისჯება.

მენეჯერებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ორგანიზაციები და მათი წევრები ავლენენ თავიანთი ქვეყნების კულტურის ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, იაპონურ და ამერიკულ მენეჯმენტის პრაქტიკას შორის არსებული განსხვავების ძირითადი მიზეზი ისაა, რომ იაპონური კულტურა კოლექტივიზმს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო ამერიკული – ინდივიდუალიზმს.

ინდივიდუალიზმი არის საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება, რომელიც აფასებს პიროვნების თავისუფლებას, აზრის გამოთქმის საშუალებას და პრინციპებისადმი ერთგულებას და თვლის, რომ ადამიანები უნდა ფასდებოდნენ მათი ინდივიდუალური მიღწევების და არა მათი სოციალური წარმოშობის მიხედვით. დასავლურ ქვეყნებში, ინდივიდუალიზმი იგულისხმება აგრეთვე ადამიანის დაფასება მიღწეული წარმატების გამო, ინდივიდუალური უფლებების დაცვა და პატივისცემა ინდივიდუალური თვით-შემოქმედებისადმი.

კოლექტივიზმი კი არის საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება, რომელიც აფასებს ინდივიდის მორჩილებას ჯგუფის საერთო მიზნებისადმი და თვლის, რომ ადამიანები უნდა ფასდებოდნენ ჯგუფში შეტანილი წვლილიდან გამომდინარე. კოლექტივიზმი ფართოდ იყო დამკვიდრებული კომუნისტურ ქვეყნებში. იაპონია არის ერთ-ერთი არაკომუნისტური ქვეყანა, სადაც კოლექტივიზმი უაღრესად პოპულარულია.

იაპონიაში კოლექტივიზმის ფესვები სათავეს ტოკუგავას პერიოდიდან (1600-1870 წწ.) იღებს, როდესაც კონფუციანიზმის, ბუდიზმისა და სინტოიზმის შერწყმა მოხდა. ერთ-ერთი ძირითადი ფასეულობა, რომელსაც ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი, იყო ძლიერი კავშირი ჯგუფთან, რომელიც შეიძლება ყოფილიყო სოფელი, სამუშაო ჯგუფი ან სხვა სახის გაერთიანება. ჯგუფთან ასოცირება იაპონიაში კოლექტიური ანუ ერთობლივი ქმედების აუცილებლობას და ჯგუფის წესებისადმი ერთგულებას ბადებს. ამავე დროს იგი აფერხებს ინდივიდუალიზმის განვითარებას.

ამასთან, მიღწევებზე ორიენტირებული საზოგადოება აფასებს თავდაჯერებულობას, ბეჯითად შრომას, წარმატებას, კონკურენციას და მიღწეულ შედეგებს. ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოება აფასებს ცხოვრების ხარისხს, კარგ ურთიერთობებს, სუსტების დახმარებასა და მათზე ზრუნვას. იაპონია და ამერიკა მიღწევებზე ორიენტირებულნი არიან, ჰოლანდია, შვედეთი და დანია კი – ზრუნვაზე ორიენტირებული.

ადამიანების მსგავსად საზოგადოებებიც განსხვავებულად აღიქვამენ გაურკვევლობასა და რისკს. საზოგადოებაში, სადაც გაურკვევლობისადმი შიშის დაბალი მაჩვენებელია (მაგალითად, აშშ-სა და ჰონგ-კონგში) ადამიანები ცხოვრობენ უზრუნველად, პატივს სცემენ მრავალფეროვნებას და მათთვის მისაღებია განსხვავებული პიროვნული მრწამსი და საქციელი. საზოგადოებაში, სადაც გაურკვევლობისადმი შიშის მაღალი მაჩვენებელია (მაგალითად, იაპონიასა და საფრანგეთში) ადამიანები უფრო მკაცრები და სკეპტიკურები არიან იმ ინდივიდების მიმართ, რომელთა ქცევები ან შეხედულებები მათგან განსხვავდება. ასეთ საზოგადოებაში წესად ითვლება იმ სოციალური და სამუშაო ჯგუფების ფასეულობებისადმი ერთგულება, რომელსაც ინდივიდი მიეკუთვნება. ასეთი საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს სტანდარტულ ნორმებს, ვინაიდან ისინი უსაფრთხოების შეგრძნებას ბადებენ.

გრძელვადიანი ორიენტაციის მქონე ეროვნული კულტურა ეყრდნობა ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა დანაზოგის გაკეთება და სიმტკიცე მიზნების განხორციელებისკენ სწრაფვის დროს. მოკლევადიანი ორიენტაცია გულისხმობს პირადი სტაბილურობის ან ბედნიერების შენარჩუნებას და ყურადღებას ამახვილებს აწმყოზე. გრძელვადიანი ორიენტაციის მქონე საზოგადოებებში შედის ტაივანისა და ჰონგ-კონგის საზოგადოებები, რომლებმაც სახელი გაითქვეს თითოეულ მოქალაქეზე დანაზოგის მაღალი მაჩვენებლით. აშშ-სა და საფრანგეთს მოკლევადიანი ორიენტაცია აქვთ აღებული. აქედან გამომდინარე, მათი მოქალაქეები ბევრს ხარჯავენ და ნაკლებ დანაზოგს აკეთებენ.

გარდა ამისა, მენეჯერებს ეთიკური ვალდებულება აქვთ, დაიცვან ყველა იმ ადამიანის კეთილდღეობა, ვისზეც ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს გარკვეული გავლენა აქვს, მომხმარებლის ჩათვლით.

ეთიკა არის მორალური პრინციპები ან რწმენა სამართლიანი ან უსამართლო ქმედებების შესახებ. ეს რწმენა არის სახელმძღვანელო პრინციპი სხვა ინდივიდებთან და ჯგუფებთან (სტეიკჰოლდერებთან) ურთიერთობისას და

მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობის და შესაბამისობის საყოველთაო წარმოდგენის. ეთიკა ეხმარება ადამიანებს სხვადასხვა სიტუაციებში მორალური გადაწყვეტილების მიღებაში, როცა ქმედების საუკეთესო კურსი გაურკვეველია. ასევე იმის გადაწყვეტაში, თუ როგორ შეიძლება საუკეთესო რეაქცია სხვადასხვა სტეიკჰოლდერების ინტერესებთან მიმართებაში.

მენეჯერები ხშირად დგანან ეთიკური დილემის წინაშე, მაგალითად, თუ რომელიმე მათგანი ემსახურება სტეიკჰოლდერების ერთი კერძო ჯგუფის ინტერესებს სხვისი ინტერესების შელახვის ხარჯზე. შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად, მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ სხვადასხვა სტეიკჰოლდერების მიერ წამოყენებული საწინააღმდეგო პრეტენზიები და მათი უფლებები. ზოგჯერ გადაწყვეტილების მიღება ადვილია, რამდენადაც არის რაიმე გარკვეული სტანდარტი, ღირებულება ან ქცევის ნორმა.

ასე, რომ ღირებულებები და დამოკიდებულებები მნიშვნელოვანი კომპონენტია მენეჯერებისათვის ეთიკური ქცევის ასახსნელად. მენეჯმენტის რაკურსიდან, ეთიკურია გადაწყვეტილება, რომელიც მისაღებია ან ტიპიურია დაინტერესებული პირებისათვის; გათვალისწინებულია მათი დამოკიდებულებები და ღირებულებები და მისაღები იქნება, რამდენადაც ეს დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ პირებს, ორგანიზაციას და საზოგადოებას. საპირისპიროდ, არაეთიკურია გადაწყვეტილება, რომელსაც მენეჯერი იღებს სხვა ადამიანების მოტყუების ან დამალვის მიზნით, რადგან ეს საშუალებას აძლევს კომპანიას ან კერძო პირს საზოგადოების ან სხვა სტეიკჰოლდერების ხარჯზე მიიღოს სარგებელი. არაეთიკური ადამიანები ცდილობენ შეინიღბონ ზრახვები, რადგანაც იციან, რომ სხვებისთვის ეს ქცევა მიუღებელი იქნება.

იმის გასაანალიზებლად, თუ რა ზიანი მოაქვს არაეთიკურ ქცევას და რა სარგებლობა მოაქვს ეთიკურ ქცევას, განვიხილოთ „საერთო რესურსების ტრაგედია" (Tragedy of the Commons) სცენარი. წარმოიდგინეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო რაიონში არის საერთო მიწა, რომლის გამოყენებაზეც ყველას თანაბარი უფლება აქვს. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თითოეული ფერმერი ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს თავისუფალი რესურსი და საძოვრად გაუშვას საკუთარი საქონელი და ცხვარი. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ფერმერებმა გამოიყენეს მიწა, რომელიც ეროზიის შედეგად სწრაფად კარგავს ნაყოფიერ ფენას და უნაყოფო ხდება. ინდივიდების მიერ საკუთარი ინტერესებისათვის განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც არ ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებს, კატასტროფულ მდგომარეობამდე მიჰყავს თითოეული ინდივიდი და მთელი საზოგადოება, რადგანაც ნადგურდება მწირი რესურსები.

მენეჯერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაიცვან მათ დაქვემდებარებაში მყოფი რესურსები და გამოიყენონ ისინი ყაირათიანად. ნებისმიერი სტეიკჰოლდერი – მენეჯერები, მუშები, აქციონერები, მომწოდებლები – ვინც აუმჯობესებს საკუთარ მდგომარეობას სხვა სტეიკჰოლდერების მიმართ არაეთიკური ქმედებით ან რესურსების მოპოვებით და სხვებისთვის რესურსების მოპოვებაში ხელის შეშლით, ფლანგავს საერთო რესურსებს. თუ ინდივიდები ან ჯგუფები მოისურვებენ არაეთიკური სტეიკჰოლდერების მსგავსი ქცევის გამეორებას (პრინციპით – „თუ მას შეუძლია, მეც შემიძლია ამის გაკეთება"), კოლექტიური რესურსების გაფლანგვის დონე გაიზრდება და საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად საჭირო ისედაც მწირი რესურსები კიდევ უფრო შემცირდება. დაუსჯელი არაეთიკური ქცევა სტიმულს აძლევს ადამიანებს, საკუთარი ინტერესები სხვის უფლებებზე მაღლა დააყენონ. როდესაც ეს ხდება, სარგებელი, რომელსაც ადამიანები ორგანიზაციაში ერთობლივი მუშაობის შედეგად იღებენ, ძალიან სწრაფად ქრება.

დაუწერელი, არაფორმალური წესები ან სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში შესაფერის ქცევაზე მიუთითებს, არის ნორმები. ისინი ღირებულებებისაგან გამომდინარეობს. ორგანიზაციაში ღირებულებები და ნორმები ამცნობს ორგანიზაციის წევრებს, რომელი მიზნებისკენ უნდა მიისწრაფვოდნენ და როგორ უნდა მოიქცნენ აღნიშნული მიზნების მისაღწევად. ამგვარად, ღირებულებები და ნორმები იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც ფორმალური მიზნები, დაწერილი წესები თუ პირდაპირი ზედამხედველობა.

მენეჯერებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ღირებულებებისა და ნორმების სახეებზე, რომლებიც ყალიბდება ორგანიზაციაში. ზოგიერთ მენეჯერს შეუძლია დანერგოს ღირებულებები და ნორმები, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ ფუნქციების შესრულება ინოვაციური, შემოქმედებითი მიდგომით; იყვნენ ნოვატორულები და ჰქონდეთ სამეწარმეო სული, ექსპერიმენტების ჩატარების სურვილი და რისკი იმ შემთხვევაშიც, თუ დიდია წარუმატებლობის ალბათობა. [illegible] რეგიონის მენეჯერები ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა Intel,

ეროვნული ბიბლიოთეკა

Microsoft, Sun Microsystems, ხელს უწყობენ თანამშრომლებს ასეთი ღირებულებების მიღებაში, რათა მხარი დაუჭირონ სიახლისადმი, როგორც კონკურენტული უპირატესობის წყაროსადმი, მათ ერთგულებას.

სხვა მენეჯერებმა შეიძლება დანერგონ ღირებულებები და ნორმები, რომ ისინი უნდა იყვნენ კონსერვატიულები და ფრთხილები სხვებთან მიმართებაში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებამდე ჰკითხონ თავიანთ ზემდგომებს აზრი და ჩამოყალიბონ მოქმედებები წერილობითი ფორმით, იმისათვის, რომ შემდეგ ანგარიშვალდებულები იყვნენ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მოხდება. ნებისმიერ გარემოში, სადაც სიფრთხილე მოითხოვება – ატომური ელექტროსადგურები, მსხვილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, ქიმიური საწარმოები, ფინანსური ინსტიტუტები, სადაზღვევო კომპანიები – კონსერვატიული, ფრთხილი მიდგომა გადაწყვეტილებების მიღებისადმი, განსაკუთრებით აქტუალურია. მაგალითად, ატომურ ელექტროსადგურებში, შეცდომის კატასტროფული შედეგების გამო, ზედამხედველობის მაღალი ხარისხი არსებობს. ანალოგიურად, ბანკებსა და საინვესტიციო კომპანიებში, ინვესტორთა ფულის დაკარგვის რისკი აუცილებელს ხდის ინვესტორებისადმი ფრთხილ მიდგომას.

სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების მენეჯერებმა შეიძლება გამიზნულად დანერგონ და განავითარონ ისეთი ორგანიზაციული ღირებულებები და ნორმები, რომლებიც ყველაზე უკეთ შეესაბამება მათ ამოცანებს და გარემოს, სტრატეგიას თუ ტექნოლოგიას. ორგანიზაციული კულტურა ორგანიზაციის წევრებს დამფუძნებლის ღირებულებების, სოციალიზაციის პროცესის, ცერემონიებისა და რიტუალების, ისტორიებისა და ენის მეშვეობით გადაეცემა (იხ. ნახ. 1).




ნახ. 1. ძლიერი ორგანიზაციული კულტურის შემქმნელი ფაქტორები[2]

ორგანიზაციის დამფუძნებელი და მისი პირადი ღირებულებები და წარმოდგენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დროთა განმავლობაში ორგანიზაციის ფარგლებში დამკვიდრებულ ღირებულებებზე, ნორმებზე და ქცევის სტანდარტებზე. დამფუძნებლები აყალიბებენ გარემოს კულტურული ღირებულებებისა და ნორმების დამფუძნებლები ირჩევენ ისეთ მენეჯერებს, ვინც იზიარებს მათ ხედვას ორგანიზაციის მიზნების თაობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი მენეჯერები სწრაფად იგებენ დამფუძნებლისაგან, რომელი ღირებულებები და ნორმებია შესაფერისი ორგანიზაციისათვის და, შესაბამისად, რა მოეთხოვებათ მათ. ხელქვეითები იმეორებენ დამფუძნებლის სტილს და შესაბამისად, გადასცემენ მის ღირებულებებსა და ნორმებს მათ ხელქვეითებს. დროთა განმავლობაში, დამფუძნებლის ღირებულებები და ნორმები ვრცელდება მთელს ორგანიზაციაში.

დამფუძნებელი, რომელიც ხელქვეითებისაგან მოითხოვს პატივისცემას და ქცევის ისეთი წესების შესრულებას, როგორებიცაა ფორმალური სამსახურებრივი წოდებები და ფორმალური ტანსაცმელი, ხელს უწყობს ხელქვეითებს, მათაც იგივე მოითხოვონ დაქვემდებარებულთაგან. ხშირ შემთხვევებში, დამფუძნებლის პირადი ფასეულობები გავლენას ახდენს ორგანიზაციის კონკურენტულ უპირატესობაზე. მაგალითად, MacDonald's-ის დამფუძნებელი რეი კროკი თავიდანვე ყურადღებას ამახვილებდა მომხმარებელთა მომსახურების მაღალ სტანდარტებზე და MacDonald's-ის რესტორნების სისუფთავეზე, რაც გახდა კიდევაც MacDonald's-ის რესტორნების კონკურენტული უპირატესობის მთავარი წყარო. ანალოგიურად, MicroSoft-ის

დამფუძნებელმა ბილ გეიტსმა საფუძველი ჩაუყარა ზოგიერთ კულტურულ ღირებულებებს MicroSoft-ში. თანამშრომლებს მოეთხოვებათ იყვნენ შემოქმედებითი და გულმოდგინედ იმუშაონ, მაგრამ მათ არ უშლიან არაფორმალურ ტანსაცმელს და საკუთარი ოფისების პერსონიფიცირებას. გეიტსმა ასევე დაამკვიდრა კომპანიის ისეთი ღონისძიებების ჩატარება, როგორიცაა ქალაქგარეთ ექსკურსიები, პიკნიკები და სპორტული ღონისძიებები თანამშრომლებისათვის, რათა გამოეკვეთა როგორც პიროვნებად, ასევე გუნდის წევრად ყოფნის მნიშვნელობა.

დროთა განმავლობაში, ორგანიზაციის წევრები ერთმანეთისაგან სწავლობენ, რომელი ფასეულობებია მნიშვნელოვანი და შესაფერისი ორგანიზაციაში. შედეგად, ორგანიზაციის წევრები იქცევიან ორგანიზაციის ღირებულებებისა და ნორმების შესაბამისად – ხშირად იმის გაუაზრებლად, რომ ისინი ამას აკეთებენ. **ორგანიზაციული სოციალიზაცია** არის პროცესი, რომლითაც ახლადმოსული თანამშრომლები სწავლობენ ორგანიზაციის ღირებულებებსა და ნორმებს და იძენენ სამუშაოს ეფექტურად შესრულებისათვის აუცილებელ სამუშაო ქცევებს. თანამშრომლები ითვისებენ ორგანიზაციის ღირებულებებსა და ნორმებს და იქცევიან მათ შესაბამისად, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფიქრობენ რომ ვალდებულები არიან, არამედ იმიტომ რომ ფიქრობენ, რომ აღნიშნული ღირებულებები და ნორმები აღწერს ქცევის სწორ და შესაფერის გზას.

ორგანიზაციების უმეტესობას აქვს სხვადასხვა ტიპის სოციალიზაციის პროგრამა ახალი თანამშრომლების ორ[illegible] დასახმარებლად. მაგალითად, [illegible] ცნობილი არიან სოციალიზაციის მკაცრი პროცესის გამო, რომლითაც ისინი იყენებენ ახალწვეულების გადასაქცევად გაწვრთნილ ჯარისკაცებად. ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა General Electric-ი და MicroSoft-ი, ასევე მკაცრ სასწავლო პროგრამას უტარებენ ახლად დაქირავებულ პირებს, რათა უზრუნველყონ ისინი არა მხოლოდ იმ ცოდნით, რომელიც სჭირდებათ მათი საქმის ეფექტურად შესასრულებლად, არამედ კომპანიის თავის კლიენტებთან წარსადგენად. ამდენად, ორგანიზაციის სოციალიზაციის პროგრამის მეშვეობით, ორგანიზაციის დამფუძნებელი და უმაღლესი რგოლის მენეჯერებს შეუძლიათ გადასცენ თანამშრომლებს კულტურული ღირებულებები და ნორმები, რომლებიც ორგანიზაციის წევრების ქცევას განაპირობებს.

კიდევ ერთი საშუალება, რომლითაც მენეჯერებს შეუძლიათ სცადონ შექმნან ან გავლენა მოახდინონ ორგანიზაციულ კულტურაზე, არის ორგანიზაციული ცერემონიებისა და რიტუალების დამკვიდრება – ფორმალური ღონისძიებები, რომლებიც აღნიშნავენ მთლიანად ორგანიზაციისათვის და კონკრეტული თანამშრომლებისათვის მნიშვნელოვან მოვლენებს. ყველაზე უფრო მიღებული რიტუალები, რომლებსაც ორგანიზაციები იყენებენ კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გადასაცემად, არის გადასვლის, ინტეგრაციისა და წახალისების რიტუალები (იხ. ცხრ.1).

ცხრილი 1[2]

ორგანიზაციული რიტუალები

| რიტუალის ტიპი | რიტუალის მაგალითი | რიტუალის მიზანი |
|---|---|---|
| გადასვლის რიტუალი | წარდგენა და საბაზისო ტრენინგი | ნორმებისა და ღირებულებების სწავლა და გათავისება |
| ინტეგრაციის რიტუალი | ოფისის სამუშაო წვეულება | საერთო ნორმებისა და ღირებულებების დამკვიდრება |
| წახალისების რიტუალი | ყოველწლიური დაჯილდოების პრეზენტაცია | ნორმებისა და ღირებულებებისადმი ერთგულების მოტივირება |

*გადასვლის რიტუალები* განსაზღვრავს თითოეული პირის ორგანიზაციაში შესვლას; მის ფარგლებში წინსვლას ან მის დატოვებას. სამხედრო ორგანიზაციების თუ მსხვილი პროგრამული უზრუნველყოფის ფირმების მიერ დამკვიდრებული სოციალიზაციის პროგრამები არის გადასვლის რიტუალები. მსგავსად, ორგანიზაციის მიერ ადამიანების დაწინაურების თუ პენსიისთვის მომზადების მეთოდები არის გადასვლის რიტუალები.

*ინტეგრაციის რიტუალები*, როგორებიცაა ორგანიზაციული წარმატებების ერთობლივი გამოცხადება, ოფისის წვეულებები, და კომპანიის ერთობლივი გასვლები, აყალიბებს და აძლიერებს ორგანიზაციის წევრების ურთიერთკავშირებს. Southwest Airlines-ი ცნობილია მისი ძალისხმევით,

დაჯილდოების ცერემონიები და რიტუალები, რითაც აკავშირებს თანამშრომლებს, უჩვენებს მათ, რომ ისინი დაფასებული წევრები არიან. Southwest-ი აწყობს პიკნიკებს დალასში მდებარე შტაბ-ბინის გარეთ, ხოლო ჰერბ კელეჰერი, მისი დამფუძნებელი, პირადად ესწრებოდა თითოეული თანამშრომლის საშობაო წვეულებას მთელს ქვეყანაში.

კომპანიაში ყოველწლიური შეხვედრა შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ინტეგრაციის რიტუალი, რომელიც იძლევა მენეჯერების, სხვა თანამშრომლებისა და აქციონერებისათვის კომუნიკაციის შესაძლებლობას. მაგალითად, Wal-Mart-ი თავისი აქციონერების ყოველწლიურ შეხვედრას ექსტრავაგანტულ ცერემონიად გარდაქმნის, რომელიც კომპანიის წარმატებას ზეიმობს. კომპანიას ხშირად ათასობით თანამშრომელი მიჰყავს თავის ყოველწლიურ შეკრებაზე ბენტონვილის, არკანზასის შტაბ-ბინაში დასვენების დღეებში გამართულ უზარმაზარ გასართობ ზეიმზე დასასწრებად, სადაც ქანთრის სტილისა და დასავლეთის ვარსკვლავები იღებენ მონაწილეობას. Wal-Mart-ის აზრით, გასართობი ღონისძიება, რომლითაც მისი თანამშრომლები დაჯილდოვდნენ, კიდევ უფრო აძლიერებს კომპანიის მაღალი ეფექტურობის ღირებულებებსა და კულტურას. ღონისძიების მიმდინარეობა პირდაპირ ეთერში გადაიცემა სატელიტური ტელევიზიით Wal-Mart-ის ყველა მაღაზიაში, რათა ყველა თანამშრომელს ჰქონდეს საშუალება, შეუერთდეს კომპანიის მიღწევების აღსანიშნავ რიტუალებს.

წახალისების რიტუალები, როგორიცაა: დაჯილდოვების ვახშამი, გაზეთების გამოშვება, თანამშრომელთა დაწინაურება და მსგავსი ღონისძიებები საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს, საჯაროდ აღნიშნონ თანამშრომელთა წვლილი, დააჯილდოვონ ისინი და ამით გააძლიერონ მათი ერთგულება ორგანიზაციული ღირებულებებისადმი. ორგანიზაციის ფარგლებში თანამშრომელთა წახალისების რიტუალები კლანურ კონტროლს უწყობს ხელს.

ისტორიები და ენა ასევე ორგანიზაციულ კულტურაზე მეტყველებს. ისტორიები (მართალი თუ გამოგონილი) ორგანიზაციის გმირებისა და ანტი-გმირების შესახებ და მათი ქმედებები კარგად მეტყველებს ღირებულებებსა და ნორმებზე. ასეთი ისტორიები წარმოაჩენს ქცევის სახეებს, რომელიც ღირებულია ორგანიზაციისათვის და პრაქტიკის სახეებს, რომელიც არ არის მოწონებული. მაკდონალდსი წარმოადგენს განსაკუთრებით კარგ მაგალითს ისეთი კომპანიისა, რომლის ისტორიები და ენა ქმნის მისი კულტურის განუყოფელ ნაწილს.

MacDonald's-ის კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ასობით ისტორია, რომლებიც ორგანიზაციის წევრები მისი დამფუძნებლის რეი კროკის შესახებ ყვებიან. კროკმა ცხოვრება მოუძღვნა სრულყოფილების მიღწევას ბიზნესში, მომსახურებაში, სისუფთავესა და ასევე ყველა შესაბამისი ღირებულების მიღწევაში; აღნიშნული 4 ღირებულებითაა გამსჭვალული MacDonald's-ის კულტურა. ერთხელ კროკი და მენეჯერების ჯგუფი ჰიუსტონის რეგიონიდან შემოვლაზე იყვნენ სხვადასხვა რესტორნებში. ერთ-ერთ რესტორანს წარუმატებელი დღე ჰქონდა ოპერაციული თვალსაზრისით. რეი განრისხებული იყო მომხმარებელთა გრძელი რიგების შემხედვარე და გაცოფდა, როდესაც გააცნობიერა, რომ პროდუქტი, რომელსაც იმ დღეს იღებდნენ მომხმარებლები, არ შეესაბამებოდა მის მაღალ სტანდარტებს. პრობლემის მოსაგვარებლად, ის მაგიდაზე ავიდა და მიიპყრო ყველა მომხმარებლისა და მომუშავე ცვლების თანამშრომლების ყურადღება. მან წარუდგინა თავი, ბოდიში მოიხადა დაყოვნებისა და ცუდი საკვებისათვის და უთხრა მომხმარებლებს, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ ახლად დამზადებული საკვები ან დაიბრუნონ ფული - არჩევანი მათ უნდა გაეკეთებინათ. შედეგად, მომხმარებლები კმაყოფილები დარჩნენ და როდესაც კროკმა მოგვიანებით შეამოწმა რესტორანი, მან დაინახა რომ მისმა მენეჯერებმა და გუნდმა გაითავისეს შეტყობინება – საქმიანობის ხარისხი გაუმჯობესდა. სხვა ისტორიები აღწერს კროკის მუდმივ ფოკუსს ტუალეტების სისუფთავეზე რიგში და ნაგვის მოგროვებაზე რესტორნის შიგნით და მის გარეთ. ასეთმა ისტორიებმა, რომლებსაც ყვებიან MacDonald's-ის თანამშრომლები ორგანიზაციის ნაწილებში, კროკს MacDonald's-ის გმირის სახელი დაუმკვიდრეს.

ვინაიდან სალაპარაკო ენა არის კომუნიკაციის მთავარი საშუალება ორგანიზაციებში, სპეციფიკური სლენგი თუ ჟარგონი (რაც არის ორგანიზაციისათვის სპეციფიკური სიტყვები და ფრაზები), რასაც იყენებენ ადამიანები მოვლენების სიტყვებით გამოსახატავად და აღწერის მიზნით, წარმოადგენს ნორმებისა და ღირებულებების მნიშვნელოვან გასაღებს. "MacDonald's-ის ენა" (McLanguage) მიღებულია ყველა დონეზე. MacDonald's-ის თანამშრომელი, რომელსაც ახასიათებენ როგორც „სისხლში კეჩუპის" მქონეს, არის MacDonald's-ის საქმიანობაში ჭეშმარიტად ერთგული ადამიანი – ადამიანი, რომელმაც მთლიანად შეითვისა მისი კულტურა. MacDonald's-ს აქვს ინტენსიური სასწავლო პროგრამა, სადაც

ახალ თანამშრომლებს ასწავლიან „MacDonald's-ის ენას".

ორგანიზაციული ენის კონცეფცია მოიცავს არამარტო სასაუბრო ენას, არამედ იმასაც, თუ როგორ იცვამენ ადამიანები, მათი ოფისების მოწყობას, მათ მანქანებს და ფორმალურობის დონეს, რასაც ისინი გამოიყენებენ ერთმანეთთან კავშირში. ყოველდღიური ტანსაცმელი წარმოადგენს და აძლიერებს MicroSoft-ის სამუშაო კულტურასა და ღირებულებებს. ფორმალური ბიზნეს-ტანსაცმელი წარმოადგენს ფინანსური კომპანიისა და საინვესტიციო ბანკების კონსერვატორულ კულტურას, რომელიც ხაზს უსვამს ორგანიზაციული ნორმების დაცვის მნიშვნელობას. Chicago Futures & Options-ის მაკლერები, რომლებიც სხვადასხვა საქონლით ვაჭრობენ, ხშირად ატარებენ მეტად მკვეთრ და თვალშისაცემ ჰალსტუხებს და კოსტიუმებს, რათა კარგად გამოირჩეოდნენ ბევრ ხალხში, რაც ეხმარება მაკლერებს, გამოირჩეოდნენ და მიიზიდონ მომხმარებლები. რამდენაც თანამშრომლები საუბრობენ თავიანთი ორგანიზაციული კულტურის ენაზე და ესმით იგი, მათ იციან, როგორ მოიქცნენ ორგანიზაციაში და როგორი მიდგომის მოელოდებათ მათ.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. მენეჯმენტის საფუძვლები. სახელმძღვანელო. თბ., "სოხუმის უნივერსიტეტი", 2010.

2. გარეთ რ. ჯონსი, ჯენიფერ მ. ჯორჯი, თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 2006

3. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ. მენეჯმენტის პრინციპები. სახელმძღვანელო. თბილისი, 2010.

4. ქოქიაური ლ. მენეჯმენტის საფუძვლები დამხმარე სახელმძღვანელო სქემებში. თბილისი, 2011.

5. Deepak lal, unintended cinsequences, The impact of Factor Endowrnents, Culture, and Politics on Long-Run Economic Performance, The MIT Press Cambridge, Massachusetts London, Enland, 1998.


## Management: Values, Culture, Organization


George Abashishvili
Asistent -Professor of Ilia university
Dali Sekhniashvili
Association Professor of GTU
Shota Veshapidze
full Professor of GTU



Rapidly changing and unstable business - environment is forcing managers to understand the peculiarities of the various forces, an understanding of the difficulties the current reality and the effective use of existing and offering them opportunities presented. Despite the extremely rapid pace of the integration processes, a variety of cultures are significantly different from each other. Different in their values, rules, knowledge, beliefs, moral principles, laws, customs and traditions - rules, etc. The national culture is often defined by an individual's behavior and interaction with others of its sensitivity.

The article highlights that values and attitudes is an important component of their understanding of ethical conduct for managers. Managers can influence the types of values and norms that are established within the organization. They can deliberately setting and maintaining organizational values and norms that best fits their objectives and the environment, strategy and technology.

The article notes, that organizational culture is spreading by the organization's values, socialization processes, rituals, and language, through the histories. Because of many organizations have a different kind of socialization program to assist in the orientation of new staff. In addition, managers can try to create or influence the organizational culture, organizational rituals establishing.

...ბიბლიოთეკა

# გამოვიყენოთ კლასტერები საქართველოს დეპრესირებული რეგიონების ასაღორძინებლად

ზაირა დუდუშაური
წმ. გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ელისაბედ ბალიაშვილი
წმ. გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორ

მანანა ხარხელი
სტუ ასოცირებული პროფესორი

ირინა ჯელია
სტუ დოქტორანტი

*სტატიაში დასმულია საქართველოს ეკონომიკის კლასტერებზე გადაწყობის საკითხი. კლასტერად განხილულია ეკონომიკური სუბიექტების თავმოყრა გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელიც შეიძლება იყოს ქალაქი, რაიონი ან სულაც რეგიონი, რომლებიც ერთმანეთისთვის დამხმარე ფუნქციას ასრულებენ და კოორდინირებულად თანამშრომლობენ. ამით ხდება ცოდნის და გამოცდილების გადაცემა, რაც ამცირებს ხარჯებს და ზრდის მწარმოებლურობას, მაღლდება ინოვაციებისკენ მისწრაფება, ხდება წარმოების ფაქტორების ყველაზე ეფექტიანი კომბინაცია.*

*სტატიაში კლასტერები მოხსენიებულია საქართველოს დეპრესირებული რეგიონების – რაჭა-ლეჩხუმის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის და ნაწილობრივ კახეთის რეგიონების – აღორძინების საშუალებად. თითოეული რეგიონისთვის სტატიაში დაწვრილებით მითითებულია საბაზო წარმოებები (მომსახურებები) და დაყენებულია საკითხი რათა საქართველოს ახალმა მთავრობამ ამ საბაზო წარმოებებზე დაყრდნობით შექმნას და დააფინანსოს კლასტერები. რაჭა-ლეჩხუმისთვის საბაზო დარგად მიჩნეულია – ტურიზმი, სამცხე-ჯავახეთისთვის – მესაქონლეობა და მისი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, ქვემო ქართლისთვის – ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო ბოსტნეული, მცხეთა-მთიანეთისთვის – ეკოლოგიურად სუფთა ქართული ჯიშის ხილბოსტნეული, კახეთისთვის კი მევენახეობა და ეკოლოგიურად სუფთა მისი პროდუქტები.*

საზოგადოების განვითარების ისტორია სამი თანამიმდევრული ფაზის ჭრილში განიხილება. ეს ფაზებია:

- ინდუსტრიულამდელი ფაზა;
- ინდუსტრიული ფაზა;
- პოსტინდუსტრიული ანუ გლობალიზაციის ფაზა.

საზოგადოების განვითარების გლობალიზაციის ფაზა, რომელშიც ამჟამად მთელი მსოფლიო იმყოფება, ხასიათდება ეკონომიკის გლობალური ინტეგრაციით, ერთიანი გლობალური ეკონომიკური სისტემისკენ, საერთოპლანეტარულ მეტა-სივრცისკენ მოძრაობით. ეს ნიშნავს დედამიწის რესურსების და მასზე განხორციელებულ, თუ განსახორციელებელი ეკონომიკური საქმიანობის გლობალური მართვისკენ მოძრაობას.

ქართველი მეცნიერი თ. აქუბარდია წერს: „კაცობრიობამ გადარჩენა რომ მოახწროს და გახანგრძლივის დედამიწაზე ყოფნის დრო, მან უნდა გამოიყენოს ცენტრალიზაციის შედეგად რესურსების მობილიზების და ერთიანი მართვის უნიკალური შესაძლებლობა" [1, გვ. 58]. დღეის პირობებში სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკებს შორის კავშირების სიმჭიდროვემ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ძნელია დასახელდეს ისეთი ქვეყანა, რომლის ეროვნული ეკონომიკა მეტად თუ ნაკლებად არ იყოს ჩართული მსოფლიო მეურნეობაში. ამან გამოიწვია ის ვითარება, რომ ეკონომიკის ძირითადმა კატეგორიებმა გადააბიჯეს ეროვნულ საზღვრებს და მსოფლიო სისტემის ჩარჩოში დაიწყეს ფორმირება. უკვე ასე ყალიბდება საქონლის ფასი, კრედიტის სარგებლის განაკვეთი, ვალუტის კურსი, მოგების ნორმა და ა. შ. საქმე ხდება მათი მართვის ერთიანი ნორმა-მოდელის არსებობაც.

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი განსაზღვრავს ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების სტრუქტურას, სტრუქტურულ მდგენელებს შორის პროპორციებს, მათი ურთიერთქმედების მექანიზმს, განვითარების მიმართულებებს, ეკონომიკური

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სუბიექტების ფუნქციონირების ნორმებს და სტანდარტებს და ა. შ.

გლობალიზაციის პროცესი აყალიბებს და აძლიერებს საერთაშორისო კონკურენციას, რის გამოც ეროვნულ ეკონომიკურ სუბიექტებს, ნებსით თუ უნებლიეთ, ადგილობრივ ეკონომიკურ პოლიტიკაზე უარის თქმა უხდებათ – ისინი ებმებიან საერთაშორისო კონკურენციაში, უმაღლესი, საერთაშორისო დონის სამეურნეო კავშირებში და ამ გზით უხილავ კონტაქტში შედიან თავის მსოფლიო კონკურენტებთან.

ასე რომ, გლობალიზაციის ფაზაში წინა პლანზე გამოდის ურთიერთკავშირები, მათი სიმტკიცე, მობილობა, მასშტაბი. იმარჯვებს ის, ვისი კავშირებიც ყოვლისმომცველია, საქმიანია, მობილური და მოქნილია, კოორდინირებულია, რესურსებით უზრუნველყოფილია, კეთილსინდისიერია, პარტნიორულია და ა. შ.

ამ მოთხოვნას ვეღარ უზრუნველყოფს ეკონომიკის დარგობრივი პოლიტიკა, იგი მოძველდა, მისი სისუსტე და მოუქნელობა ხელს უშლის მსოფლიო დონის კონკურენციის განვითარებას. ასეთ პირობებში, ცხადია, ეროვნული ეკონომიკების მომავალი განვითარება, მათი სამომავლო პოლიტიკა გლობალურ თვალთახედვით უნდა იქნეს განხილული და შედეგიც გლობალური გადმოსახედიდან უნდა შეფასდეს.

დღეისთვის სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება ის ფაქტი, რომ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება არა დარგობრივი სტრუქტურით, არამედ კლასტერიზაციით მიიღწევა. რას წარმოადგენს კლასტერები და დარგებთან შედარებით რა უპირატესობა აქვთ მათ?

ტერმინი "კლასტერი" ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ჯგუფს, ნაკრებს. ამიტომაც არის, რომ მუსიკაში კლასტერს უწოდებენ მრავალხმიანობას, ასტრონომიაში – ვარსკვლავების ჯგუფს, ლინგვისტიკაში მონათესავე ენების ჯგუფს და ა. შ. ასე რომ, ზოგადად კლასტერი არის რამდენიმე ერთგვაროვანი ელემენტების ერთობლიობა, რომელიც ფლობს გარკვეულ თვისებებს და რომელიც განიხილება როგორც დამოუკიდებელი ერთეული. ეკონომიკასთან მიმართებაში ეს ელემენტებია: საქონლის და მომსახურების მწარმოებელი კომპანიები, მასალა-ნედლეულის მომწოდებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სხვ. [2].

კლასტერში ეკონომიკური სუბიექტების გაერთიანების საფუძველი არის: ხარჯების ეკონომია (მიიღწევა რესურსების ერთობლივი გამოყენებით), მიწოდების სისწრაფე (მიიღწევა ეკონომიკური სუბიექტების გეოგრაფიული სიახლოვით) და ცოდნის და გამოცდილების ურთიერთგაცვლა (მიიღწევა ეკონომიკური სუბიექტების და სხვა შრომითი კოლექტივების გარკვეულ ტერიტორიულ საზღვრებში კონცენტრაციით).

დაინტერესებული პირების კითხვას, თუ რატომ უნდა მოვახდინოთ დარგობრივი ეკონომიკის გადაწყობა კლასტერებზე, სპეციალისტები, რომელთაც ჩვენც ვეთანხმებით, ასე პასუხობენ: „იმიტომ, რომ კლასტერები უფრო კარგად ეწყობიან კონკურენციის ხასიათს და კონკურენტული უპირატესობების მიღწევის წყაროებს [3. გვ. 265]. აქვე ისმება მეორე კითხვა: როგორ ახერხებენ ამას კლასტერები? კლასტერები ამას ახერხებენ [4]:

- ➢ ინოვაციებისადმი უნარის ამაღლებით;
- ➢ საწარმოთა ჯაჭვის საქმიანობის კომპლექსური, თანამიმდევრული და ეფექტიანი დაგეგმვით;
- ➢ კლასტერის წევრები ერთმანეთს არ უწევენ უშუალო კონკურენციას, სტიმულირდება შეჯიბრი;
- ➢ კლასტერის მონაწილეებს უფრო სწრაფად შეუძლიათ განსაზღვრონ სამომავლო მოთხოვნის ტენდენციები, ვიდრე მათ მეტოქე მარტოხელ ფირმებს;
- ➢ კლასტერი ამსუბუქებს ცვალებად გარემოსთან საწარმოთა მორგების პროცესს და ამით ამცირებს ეკონომიკურ რისკს;
- ➢ კლასტერში ტარდება ერთობლივი მარკეტინგული და სამეცნიერო გამოკვლევები;
- ➢ იზღუდება და ისპობა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია;
- ➢ ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია;
- ➢ მცირდება დანახარჯები ცოდნის და ტექნოლოგიების შექმნა-განვითარებაზე;
- ➢ ხდება წარმოების ფაქტორების ყველაზე ეფექტიანი კომბინაცია და ამ გზით მწარმოებლურობის ზრდა და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნული უპირატესობიდან გამომდინარე, ბევრი ეკონომისტი – ქართველიც (ნ. ბარათაშვილი, ე. ხელაშვილი, რ. ხანდროშვილი, ი. გაგნიძე, ს. გელაშვილი და სხვები) და არაქართველიც (ა. მარშალი, მ. პორტერი, ტ. ცისანი, მ. ბესტი, მ. ჯულატი, თ. სოლველი, ი. ლინდკვისტი და სხვები) თვლიან, რომ რადგან გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის სტრუქტურა რთულდება, მისი მაკრო და მიკროეკონომიკად დაყოფა მოძველებულია. ეკონომიკის დღევანდელ ვითარებას უფრო შეესაბამებიან არა დარგები თავისი ვიწრო სპეციალიზაციით, არამედ დარგთაშორისი

სამეურნეო გაერთიანებები – მეზოეკონომიკური სტრუქტურები, რომლებიც სტრატეგიულ მართვას ახორციელებენ ჯაჭვური პრინციპით – ნედლეულის მოპოვებიდან მზა პროდუქციის რეალიზაციამდე.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეზოეკონომიკური სტრუქტურებიდან წინა პლანზე წამოიწია კლასტერმა. მ. პორტერი ამას იმით ხსნის, რომ სამრეწველო პოლიტიკისგან განსხვავებით, რომლის შემუშავებისას მთავრობა რომელიღაც დარგებს ანიჭებს უპირატესობას (თუმცაღა მას არ ძალუძს სწორად შეაფასოს თუ რომელი დარგი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების გრძელვადიან პერიოდში), **კლასტერები „ბაზრის წილზე კი არ არიან ორიენტირებული, არამედ მის დინამიურ განვითარებაზე“** [3, გვ. 138]. მაშასადამე, თუ დარგობრივი ეკონომიკის დროს დარგები იყოფიან პრიორიტეტულ და არაპრიორიტეტულ დარგებად, კლასტერიზაციის დროს, ყველა კლასტერი – განვითარებულიც და განუვითარებელიც, პრიორიტეტულია.

კლასტერული ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზით გამოირკვა, რომ ის რაიონები და რეგიონები, რომლებშიც კლასტერები მუშაობენ, ეკონომიკური განვითარების ლიდერები არიან. ამის დამამტკიცებელი დიდი ინფორმაცია არის დაგროვილი ფინეთში, იტალიაში, შოტლანდიაში, აშშ-ში, გერმანიაში და სხვაგან. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ ქვეყნის მეცნიერები ინტენსიურად იკვლევენ ამ ფენომენს. კლასტერებისადმი მიძღვნილ თანამედროვე გამოკვლევებს შორის მეტად მნიშვნელოვანია „EVRPE INNOVA“,რომელიც ცდილობს გახდეს ყველა იმ საშუალებისა და ინსტრუმენტების ლაბორატორია,რომელიც ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას. ის თავს უყრის ინოვაციების ხელშემწყობ საზოგადოებრივ და კერძო პროვაიდერებს – ინოვაციების სააგენტოებს, ბიზნეს-ინკუბატორებს და სხვებს მთელი ევროპის მასშტაბით.

კლასტერული ინიციატივების კვლევები მეტად შედეგიანია სტოკჰოლმის ეკონომიკური სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ცენტრში, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ო. სოლველი. მან თავის კოლეგებთან ერთად გამოიკვლია 2000-მდე კლასტერული ინიციატივა და გამოსცა წიგნი სახელწოდებით – „კლასტერული ინიციატივები განვითარებად და გარდამავალ ეკონომიკებში“.

ამ ნაშრომში საქართველო არ არის მოხსენიებული, რადგან საქართველოში კლასტერები ჩანასახოვან მდგომარეობაშიც კი არ არიან. მათ შექმნაზე არც მთავრობის მხრიდან ტარდება რაიმე ღონისძიება. მართალია, საქართველოს კლასტერები ბუნებრივად შეიქმნან, მაგრამ „დროში მოგების“ მიზნით შესაძლებელია მათი „ზემოდან“ ე. ი. მთავრობის მხრიდან შექმნაც.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით საქართველოში ახალი მთავრობა მოვიდა. ახალმა მთავრობამ ძველისგან განსხვავებით ეკონომიკაში ახალი პრიორიტეტული დარგები – სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – დაასახელა და 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის გაზრდის ნაწილშიც სოლიდური სახსრები მათ განვითარებას დაუთმო. არც პარლამენტის და არც კომიტეტების სხდომებზე კლასტერები თეორიულადაც კი არ იყო ნახსენები.

მართალია, არა თუ ჩვენთან ნაკლებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც კი ეკონომიკა მთლიანად კლასტერებზე არსად არ არის გადაწყობილი, მაგრამ იქ ეს პროცესი დაწყებულია: იტალიაში მეწინავეა ფეხსაცმელების კლასტერი, გერმანიაში ქიმიური მრეწველობის კლასტერი, აშშ-ში – გასართობ დაწესებულებათა კლასტერი, „სილიკონის ველი“ და სხვ.

საქართველოს რამდენიმე რეგიონი დეპრესირებული რეგიონია. მათ შორისაა: ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ნაწილობრივ კახეთის რეგიონი. სპეციალისტები თვლიან, რომ დეპრესირებული რეგიონების განვითარება და სხვა რეგიონებთან გათანაბრება შეიძლება მათში რეგიონული კლასტერების განვითარებით [5, გვ. 91-95]. კარგი იქნება საქართველოს ახალმა მთავრობამ იფიქროს საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში კლასტერების შექმნაზე და ბიუჯეტიდან გარკვეული თანხები ამ მიზნითაც გამოყოს. ჩვენს მიერ ზემოთდასახელებულ დეპრესირებულ რეგიონებში კლასტერის ფორმირება რომელიმე ერთ პროდუქციაზე (მომსახურებაზე) უნდა მოხდეს. ანუ კლასტერის შიგნით უნდა გამოიყოს ბაზური წარმოება (მომსახურება). ამ გამოყოფის კრიტერიუმი უნდა იყოს რეგიონის მიერ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის ან მომსახურების წარმოების უნარი. ჩვენი აზრით, რაჭა-ლეჩხუმისთვის ეს უნდა იყოს ტურიზმი, სამცხე-ჯავახეთისთვის – მესაქონლეობა და მისი ეკონომიურად სუფთა პროდუქტები, ქვემო ქართლისთვის – ეკოლოგიურად სუფთა საადრეო ბოსტნეული, კახეთისთვის მევენახეობა და ეკოლოგიურად სუფთა მისი პროდუქტები, მცხეთა-

მთიანეთის – ეკოლოგიურად სუფთა ქართული ჯიშის ხილ-ბოსტნეული.

რა უნდა გააკეთოს საქართველოს ახალმა მთავრობამ ამ მიმართულებით? მან ამ რეგიონებში უნდა შექმნას დასახელებული სპეციალიზაციის კლასტერის მმართველობითი ორგანო, უზრუნველყოს სპეციალური სწავლება, ინფორმაციის მიღება, კვლევების ჩატარება, კლასტერში საფინანსო და სამთავრობო სტრუქტურების ჩართვა, დამხმარე პროდუქციის მწარმოებლების და ინფრასტრუქტურის პროვაიდერების ჩართვა, ტექნიკა-ტექნოლოგიური მხარდაჭერა, სერვისული მომსახურება, სხვა ქვეყნებთან და სხვ. რეგიონებთან კავშირები და ა. შ.

როცა ვამბობთ, რომ რაჭა-ლეჩხუმის კლასტერისთვის საბაზო მომსახურება უნდა იყოს ტურიზმი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვიფარგლებით მხოლოდ ამ დარგის განვითარებით. სრულიადაც არა. კლასტერის თავისებურება სწორედ იმაშია, რომ იგი ამ საქმეში ჩართავს მრავალ სხვა დარგებს. ტურიზმის განვითარებას სჭირდება მონათესავე, მომიჯნავე, და მხარდამჭერი სტრუქტურების განვითარება, კერძოდ: ტრანსპორტის განვითარება, საზოგადოებრივი კვების განვითარება, სასტუმრო მეურნეობის, კავშირგაბმულობის და სხვათა განვითარება. ერთი სიტყვით, რაჭა-ლეჩხუმის ტურიზმის კლასტერი არ იქნება ვიწრო გაგებით მხოლოდ ტურიზმის განვითარებაზე მიმართული, იგი მრავალდარგოვანი იქნება, რომელიც თავისი შემსრულებელი კერძო და სახელმწიფო კომპანიები (ან საერთოდ კერძო ფიზიკური პირები) ეყოლებათ. ამით რაჭა-ლეჩხუმის ყველა უბანზე დასაქმდება მოსახლეობა და რეგიონი გამოვა დეპრესიიდან.

ასე მოხდება სხვა რეგიონებშიც.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს ახალი მთავრობა უყურადღებოდ არ დატოვებს ასეთ ინიციატივებს, რადგან ისინი მიმართულია ეკონომიკის გაძლიერებისკენ და საბოლოო ჯამში, ქვეყანაში გამეფებული სიღარიბის დაძლევისკენ.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. თ. აქუბარდია, მომავლის ეკონომიკა, ჟურ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", 2009 წ. სექტემბერი, გვ 58.

2. http://ru Wikipedia.org/wiki/klaaster(Экономика).

3. М. Портер, "Конкуренция", М., изд. "Вильямс", 2006, с. 265.

4. ww.google.com – კლასტერი ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების საფუძველი.

5. ს. გელაშვილი, რეგიონის ეკონომიკური განვითარების კლასტერული მოდელი, თსუ პრაქტიკული ჟურ. „ეკონომიკა და ბიზნესი", №3, 2009, გვ. 91-95.


## Use Clusters To Restructure Georgian Depressed Regions


**Professors: Zaira Gudushauri**

**Elisabed Baliashvili,**

**Irina Jelia,**

**Manana Kharkheli,**



In the article Let's use Clusters for recreation of Georgian depressed regions written by professors : Zaira Gudushauri, E.Baliashvili, Irina, Jelia, M.Kharkheli, N.Katsitadze is raised a question to arrange Georgian economic Clusters. The Cluster is discussed as a collection of industrial objects in the certain territory which can be a city, a region or a country, which has a subsidiary function and shares the knowledge and experience which reduces outcomes and raises productiveness . It is increasing the tend to high innovations and happening the most effective combination of productive factors.

In the article Clusters are considered as a way of recreation in Georgian depressed regions : Racha - Lechkhumi, Samtskhe-Javakheti, Mthkheta-Mtianeti,Kartli and partly in Kakheti region. In the article it is talked about the market services in each region and is raised a question to create and pay Clusters in such way by Georgian new government on the basis of productiveness. In Racha- Lechkhumi tourism is considered as a marked field, in Samtskhe – Javakheti – stock -farming and it's ecologically fresh products in Kartli-ecologically fresh vegetables, in Mtkheta-Mtianeti Georgian ecologically fresh fruits and vegetables and in Kakheti-vine-growing and it's ecologically fresh products.

# სახელმწიფოებრივი კონტროლი და რეგულირება ფირმებში

ელისაბედ ბალიაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*სტატიაში – „სახელმწიფოებრივი კონტროლი და რეგულირება ფირმებში" განხილულია და კრიტიკულად შეფასებულია მენეჯმენტის ისეთი ფუნქციის განხორციელება საქართველოში, როგორიც არის კონტროლი. სტატია დამუშავებულია მხოლოდ სახელმწიფოებრივი კონტროლის კუთხით.*

*სტატიაში განხილულია კონტროლის საკანონმდებლო ბაზა საქართველოში, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და მოცემულია სრულყოფის რეკომენდაციები.*

კონტროლი არის „საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებული სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა, რომლის მიზანია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენა და შესაბამისი სანქციის დადება" [1, გვ. 1]. ამრიგად, კონტროლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დადგინდეს თუ რამდენად სწორად მუშაობს საწარმო, ხომ არ არღვევს იგი ეკონომიკურ ან სამართლებრივ ნორმებს, ხომ ასრულებს დასახულ მიზანს და ა. შ. „რეალურ ცხოვრებაში, – წერს ქართველი მეცნიერი თ. ხომერიკი, – გეგმები ყოველთვის არ ხორციელდება ისე, როგორც ჩაფიქრებულია. მათი რეალიზაციისას ადგილი აქვს მიზნისგან სავალი გზიდან გადახვევებს, რის აღმოსაფხვრელადაც ხორციელდება მარეგულირებელი ზემოქმედება" ანუ კონტროლი [2, გვ. 125].

ჩამტარებელი ორგანოს ნიშნის მიხედვით კონტროლი არის:

- ➢ საერთო-სახელმწიფოებრივი;
- ➢ საუწყებო;
- ➢ შიდასაფირმო;
- ➢ დამოუკიდებელი (გარე აუდიტი).

**საერთო სახელმწიფოებრივ კონტროლს** სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ, კერძოდ: ფინანსთა სამინისტრო, საგადასახადო ინსპექცია, სახელმწიფო კონტროლის პალატა. მათი მთავარი მიზანია საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის, გადასახადის გამოთვლის სისწორისა და ბიუჯეტში გადასახადის დროული შეტანის შემოწმება.

**საუწყებო კონტროლს** აწარმოებს უწყების (სამინისტროს) საკონტროლო-სარევიზიო სამსახური. იგი ამოწმებს დაქვემდებარებულ ორგანიზაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას.

**შიდასაფირმო კონტროლს** ახორციელებენ უშუალოდ ფირმის საფინანსო სამსახურები, კერძოდ საფინანსო განყოფილება, ბუღალტერია და სარევიზიო კომისია (ეს უკანასკნელი ყველა ფირმაში არ არის). ისინი ამოწმებენ როგორც თვით ფირმის, ისე მისი ქვედანაყოფების (მაგ., ფილიალები) სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას. შიდასაფირმო კონტროლი ეს ფაქტიურად არის შიდა აუდიტი. იგი ხორციელდება ფირმის ხელმძღვანელის დავალებით. შიდა აუდიტს მიზნობრივი დანიშნულება აქვს. იგი ეხება ფირმის საქმიანობის ყველა მხარეს და აქვს უწყვეტი ხასიათი.

**დამოუკიდებელ ფინანსურ კონტროლს** ანუ გარე აუდიტს ახორციელებენ აუდიტორული ფირმები ან ცალკეული აუდიტორები. მათი კონტროლის ობიექტია ფირმების საქმიანობა. გარე აუდიტი ამოწმებს ფირმაში ფინანსური ანგარიშგების სისწორეს, საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებთან მათ შესაბამისობას, ატარებს საფინანსო სამეურნეო საქმიანობის ექსპერტიზას, ადგენს ფირმის გადამხდელ-უნარიანობას და ბოლოს იძლევა რეკომენდაციებს სამეურნეო-საფინანსო საქმის მოწესრიგების მიმართულებით.

კომპანიაში კონტროლის განსახორციელებლად მაკონტროლებელი ორგანოს სჭირდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. პირადი დაკვირვებით მიღებული;
2. სტატისტიკურ-ბუღალტრული;
3. ზეპირი;
4. წერილობითი.

თითოეულ ინფორმაციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები (ცხრ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, ზეპირი ინფორმაციის დადებითი მხარე ის არის, რომ იგი სწრაფია, უარყოფითი კი ის, რომ იგი იფილტრება. პირადი დაკვირვებით მიღებულ ინფორმაციას არ სჭირდება გაფილტვრა და ეს მისი დადებითი მხარეა, მაგრამ ამ ინფორმაციის მოპოვებას რომ დროის დიდი ხარჯი სჭირდება, ეს უკვე არის მისი უარყოფითი მხარე და ა. შ.

ასეთი პროგრამის მიხედვით მეორე ეტაპზე კონტროლიორს ეძლევა ინფორმაციის ამ წყაროებით მოპოვებული მასალების დაგროვება, შეჯერება და დარღვევების დადგენის მიზნით ნორმებთან და სტანდარტებთან შედარება. გადახრის დადგენისას მნიშვნელოვანია გადახრის მისაღები დიაპაზონი, ისიც პროგრამით უნდა იყოს გათვალისწინებული. ამ დიაპაზონიდან გასული გადახრა, ითვლება დარღვევად და კონტროლიორმა მას უნდა მიაქციოს ყურადღება.

ცხრილი 1

კონტროლის პროცესში გამოსაყენებელი საპროგრამო ინფორმაცია [3, გვ. 878]

| ინფორმაციის სახეები | დადებითი მხარეები | უარყოფითი მხარეები |
|---|---|---|
| პირადი დაკვირვებით მიღებული | 1. ინფორმაციის მიღება პირველი პირიდან 2. ინფორმაციას არ სჭირდება გაფილტვრა 3. ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის ყველა სახეს | 1. სუბიექტური შეფასების შესაძლებლობა 2. დროის დიდი ხარჯი 3. აღმასრულებს შეიძლება ასეთი დაკვირვება ჩაითვალოს თავსმოხვეულად |
| ბუღალტრულ-სტატისტიკური ანგარიშგებით მიღებული | 1. სიტუაციის ვიზუალური ასახვის შესაძლებლობა 2. საქმიანობის ცალკეულ მხარეებს შორის კავშირის გამომსახველობა | 1. ინფორმაციის შეზღუდულობა 2. სუბიექტური ფაქტორების აღურიცხველობა |
| ზეპირი ინფორმაცია | 1. ინფორმაციის მიღების სისწრაფე 2. ვერბალური და არავერბალური უკუკავშირის აქტიური გამოყენება | 1. ინფორმაცია იფილტრება 2. შეუძლებელია ინფორმაციის დოკუმენტირება |
| წერილობითი ინფორმაცია | 1. ყოვლისმომცველობა 2. ფორმალურობა (ოფიციალურობა) 3. შენახვის საიმედოობა (მომავალში გამოსაყენებლად) | 4. ინფორმაციის მომზადება მოითხოვს დიდ დროს |

კონტროლის მესამე ეტაპზე ხდება ნორმებიდან და სტანდარტებიდან ფაქტიური გადახრის აღმოფხვრის მაკორექტირებელი ღონისძიებების შემუშავება. ამ შემთხვევაში კონტროლიორი ან არაფერს აკეთებს, თუ გადახრას თვლის უმნიშვნელოდ, ან გადასინჯავს და შეასწორებს ნორმებს (პრაქტიკაში ასეთიც ხდება), იღებს ღონისძიებებს ფაქტიური მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კონტროლიორ-მენეჯერის პირველი ქცევა ახსნას არ საჭიროებს. პრაქტიკაში ძირითადად მეორე და მესამე შემთხვევებს აქვს ადგილი. მეორე შემთხვევაში დარღვევას იწვევს ნორმის და სტანდარტის არარეალურობა. ასეთ დროს კორექტირება სჭირდება არა საქმიანობის პროცესს, არამედ ნორმას, ან სტანდარტს. თუ ეს არ შესრულდა, მაშინ მიზანი მუდმივად მიუღწეველი იქნება. მესამე შემთხვევაში, კონტროლიორ-მენეჯერი თვლის რა, რომ ფაქტიური მაჩვენებლები არადამაკმაყოფილებელია, პროგრამით მას ეძლევა „ჩააქროს ხანძარი" ან სწრაფი, მაგრამ დროებითი ღონისძიებების გატარებით, ანდა მდგომარეობის დეტალური შესწავლით და ფუნდამენტალური ღონისძიებების გატარებით.

ბიზნესის სახელმწიფოებრივი კონტროლი ხდება შემდეგი ნორმატიული აქტებით:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი;
2. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ";
3. საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ";

4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი კონტროლის საკითხთან მიმართებაში:

**საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის** მე-VII¹ თავი იწოდება „ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით" და მისი 21¹, 21² და 21³ მუხლები მთლიანად ეძღვნება ამ საკითხს. როგორც ამ კოდექსიდან ჩანს, საწარმოს გაკონტროლების შესახებ სასამართლოსთან შუამდგომლობას აღძრავს მაკონტროლებელი ორგანო. კოდექსში ისიც არის აღნიშნული, რომ შუამდგომლობა მაკონტროლებელმა ორგანიზაციამ უნდა დაასაბუთოს კონტროლის აუცილებლობა. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, რომ ამ კოდექსში დაფიქსირებული იყოს თუ რა ინფორმაციის წარდგენა მოეთხოვება შუამდგომელ ორგანიზაციას ამის დასადასტურებლად. ამის გარდა, კოდექსის 21³ მუხლის მე-4 პუნქტში ვკითხულობთ, რომ მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას. ჩვენი აზრით, ეს შუამდგომელი მაკონტროლებელი ორგანიზაციის დასწრება სავალდებულო უნდა იყოს, რადგან მან უნდა დაადასტუროს მიწოდებული ინფორმაციის სარწმუნოება.

**საქართველოს კანონის – „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“** – მეორე და მესამე თავები (მუხლები 3-6) უშუალოდ ეხება სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს საქართველოში. ამ კანონის მესამე მუხლში ვკითხულობთ, რომ მეწარმის შემოწმების წინადადებით სხვა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოს ან სასამართლოს. საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსით კი ამის უფლება მიცემული ჰქონდა მხოლოდ მაკონტროლებელ ორგანოს (მაგალითად, კონტროლის პალატას, საგადასახადო ინსპექციას და ა. შ.). ჩვენი აზრით, ეს ორი საკანონმდებლო აქტი ურთიერთთავსებადი უნდა იყოს რისთვისაც მათ გადამუშავება სჭირდებათ. ამის გარდა, ამ კანონის მე-6 მუხლით მაკონტროლებელი ორგანო ვალდებულია ყოველი წლის 25 იანვრამდე ქვეყნის პრეზიდენტს და პარლამენტს შემოწმების შედეგების შესახებ წარუდგინოს ინფორმაცია. ჩვენი აზრით, ეს ინფორმაცია საჭიროა მიეწოდოს მოსახლეობასაც. მოსახლეობამ უნდა იცოდეს თუ რომელი კომპანიები არღვევენ კანონებს საქართველოში.

**საქართველოს კანონის – „კონტროლის პალატის შესახებ“** – მე-5 თავი (მუხლები 17-26) ეძღვნება კონტროლის პალატის ძირითად მიმართულებას – აუდიტს. კონტროლის პალატის აუდიტორული უფლებამოსილება ვრცელდება „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, საქართველოს ბანკზე, სახელმწიფოს ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ 50 პროცენტი და მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, სხვა იურიდიულ პირებზე, ფიზიკურ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე" [4]. ჩვენი აზრით, კანონში ჩამოთვლილი უნდა იყოს ვინ შედიან „სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებში" და რა პირობებში შეიძლება მათთან აუდიტის ჩატარება.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, პერიოდულად, როგორც წესი, წლის ბოლოს პარლამენტში ისმება კონტროლის პალატის წლიური ანგარიში. სასურველია ამ ანგარიშის ძირითადი პუნქტები, მაგალითად, სახელმწიფო ვალის შემოწმების შედეგები, სახელმწიფო კრედიტების გაცემის შედეგების კანონიერება, ცალკეული მერიების და გამგეობების მიერ ქონების ხარჯვის შემოწმების შედეგები ეცნობოს საზოგადოებასაც.

**საქართველოს საგადასახადო კოდექსში** კონტროლის საკითხს დათმობილი აქვს მე-12 თავის 95-ე მუხლი – „მცირე და მიკრობიზნესის საგადასახადო კონტროლი" და კარი XII-ის (საგადასახადო კონტროლი) 36-ე, 37-ე და 38-ე თავები. კოდექსის ამ ნაწილში (მუხლი 261) ვკითხულობთ, რომ „საინვენტარიზაციო კომისიაში უნდა შევიდნენ ის პირები, რომლებიც კარგად იცნობენ საინვენტარიზაციო ქონებას" [5], ე. ი. შესამოწმებელი საწარმოს თანამშრომლები. ჩვენი ღრმა რწმენით კომისია უნდა დაკომპლექტდეს მაკონტროლებელი ორგანიზაციის სპეციალისტებისაგან, ხოლო რაც შეეხება შესამოწმებელ საწარმოს, მისი თანამშრომლები მხოლოდ უნდა ესწრებოდნენ შემოწმებას, ზოგიერთ საკითხზე ახსნა-განმარტების მიცემის მიზნით.

კონტროლის მიზანი არის დასახული მიზნის მიღწევის ან გეგმის შესრულების მსვლელობის შემოწმება. კონტროლი ორიენტირებული უნდა იყოს შედეგზე, სხვა შემთხვევაში მის ჩატარებას აზრი არა აქვს. კონტროლი კი მაშინ არის შედეგიანი, „როცა ორგანიზაცია ფაქტიურად აღწევს თავის მიზნებს" [6, გვ. 410].

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს კანონი "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ", თბ., 2010;
2. ნ. პაიჭაძე, თ. ხომერიკი და სხვები, მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2005;
3. Стивен П. Роббинз, Мэри Коултер, Менеджмент, М., Вильямс, 2010;
4. საქართველოს კანონი 'კონტროლის პალატის შესახებ";
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2012;
6. М. Мескон, М. Альберт, Ф. Хедоури. Основы менеджмента, М., 1992.


## State Control and State Regulation in Firms

**Elisabed Baliashvli**
**Doctor of Economics**

Elisabed Baliashvili's Article "State Control and State Regulation in Firms" considers and assess critically practice of such management function as control in Georgia. The article is developed only in terms of state control.

The article considers the legislative base in Georgia. The advantages and disadvantages, and provides recommendations for improvement.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მენეჯერის კარიერის სულიერი ასპექტები



ომარ შუდრა,
აკადემიური დოქტორი

„შთამომავლები გაიხსენებენ არა პოლიტიკაში გამარჯვებებს, არამედ თუ რა გავაკეთეთ ჩვენ ადამიანის სულიერი განვითარებისათვის"

ჯონ კენედი

შევხედოთ „საჭირო" ადამიანებს, „დავაქსეროქსოთ" აუცილებელი ქაღალდები, შევიტანოთ კომპიუტერში დილიდან დაგეგმილი ინფორმაცია, გადავიხადოთ ყველა კანონიერი (თუ უკანონო) გადასახადი...

ძილის წინ სულ ათიოდე წუთი საკუთარ თავთან მარტო დავრჩით. თითქოს ბევრს მივაღწიეთ ცხოვრებაში, მაგრამ მაინც უკმარისობის, შინაგანი სიცარიელის გრძნობით ვემშვიდობებით დღეს. თითქოს რაღაც მთავარი გვერდზე დაგვრჩა... იქნებ ერთად გამოვიკვლიოთ ამის მიზეზი.

მე-20 საუკუნის ცხოვრებიდან თანამედროვეში ცვლილებები ძალიან სწრაფია და ჩვენ ვერ ვასწრებთ ცხოვრების ახალ წესზე გადასვლას.

21-ე საუკუნე არნახული ტემპის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, დიდი გამოწვევების წინაშეა. მომავლის საზოგადოების ნიშნები უკვე ჩანს – რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კი გვექნება ახალი რეალობა: გლობალიზაციის ყოფას ე.წ. ტექნოლოგიური სინგულარობის ეპოქა[1] შეცვლის, ადამიანის კონტროლიდან გამოსული უახლესი ტექნოლოგიებით.

თანამედროვე საქართველო წარმოადგენს სისტემას, რომელშიც ერთდროულად იქმნება უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ქვესისტემები: სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციოკულტურული და სხვ., რომლებიც განსაკუთრებულ გარდამავალ მოდელს ქმნიან. შესაბამისად, ის ეთიკური ნორმები და პრინციპები, რომლებიც ხორციელდება თანამედროვე ქართულ სამეწარმეო სფეროში, ახალი ჩამოყალიბების პროცესშია, გარდამავალია. ეს ნორმები ტოტალიტარული ეკონომიკიდან და დასავლეთის საქმიანი კულტურიდან გადმოღებული ქცევის სტერეოტიპების თავისებური ნაზავია. თუმცა ბაზარს არ აქვს ზნეობა, ის სარგებლით ირჩევს მისი მონაწილეების ზნეობას თუ უზნეობას.

ამჟამად ჩვენს რეალობაში, ბიზნესით დასაქმებულ ადამიანების უმეტესობას დაბალი საერთო კულტურა აქვს, ამიტომ არაა გამორიცხული, რომ ბაზრის იდეა დისკრედიტირებული იქნება და ჩამოვა ბაზრის ცნებამდე (ამ სიტყვის უარყოფითი მნიშვნელობით). ეთიკის და კულტურის საკითხები პრიორიტეტულია ეკონომიკასთან მიმართებაში, მაგრამ მეწარმეთა ძირითად მასას არ სურს ეთიკური ნორმებით თავის შეზღუდვა. თვით სახელმწიფოს ჯერჯერობით არ შეუქმნია ისეთი პირობები, რომ „მორალური" ბიზნესი უფრო მომგებიანი იყოს, ვიდრე „ამორალური".

ნებისმიერ საქმიანობაში მთავარი საზომი ადამიანი უნდა იყოს და საბოლოოდ ეკონომიკურადაც ყველაზე მომგებიანი ეს იქნება. დღევანდელ პირობებში, ენთუზიაზმი თუ არაა აღჭურვილი ცოდნით, ეთიკით, მას ბარიერების მიტანა უფრო შეუძლია.[2]

როცა წარმოება და მოხმარება იქცევა ცხოვრების აზრად, მიზეზები უნდა ვეძებოთ არა ეკონომიკაში, არამედ იმაში, რომ შესუსტდა სოციოკულტურული გარემო.[3] ყველა ბოროტების და სიკეთის სათავე ადამიანის სულში უნდა ვეძებოთ.

ფული მორალი ფასეულობაა. „მორალი სიხარულით" გატაცებული ადამიანი ფლანგავს

[1] აშშ-ში 2009 წელს შეიქმნა სინგულარობის უნივერსიტეტი, რომელშიც ამზადებენ სპეციალისტებს მომავალი გლობალური პრობლემებისათვის, ხელოვნური (მანქანური) ინტელექტის გაჩენისათვის.

[2] ამიტომ, ზოგჯერ ის, ვინც უსაქმურად გვეჩვენება, უფრო მნიშვნელოვანი ადამიანური, „ღვთიური" საქმითაა დაკავებული.

[3] მაგალითად, საქართველოში ბოლო წლებში გაურკვევლობა და დაბნეულობა ცხოვრების წესად იქცა.

პირველად ღირებულებებს, რომლებსაც მიეკუთვნება საკუთარი ღირსების გრძნობა (რომლის დაცვა თვით სიცოცხლეზე უფრო საჭიროა), ადამიანის სულის სილამაზე, ღვთიური (მამობრივი) გრძნობა, მშობლის სიყვარული, საკუთარი სულიერი სახე („მე", რომელიც არ უნდა გაფლანგო საკუთრისთვის ბრძოლაშიც კი), სირცხვილის გრძნობა, შემოქმედების სურვილი, სინდისი და სხვ. განვითარებულ ქვეყნებში კი პირველად ღირებულებებს დაემატა... დრო.

მატერიალური ნივთების (აგარაკი, მანქანა და სხვ.) ფლობა შესანიშნავია, მაგრამ ისინი მეორადი ფასეულობებია. როცა მათ ვცვლით პირველადზე, ეს იგივეა, რომ მზის, სინათლის სხივი გაცვალოთ... ხელოვნურ განათებაზე.

ადამიანს სჭირდება რაღაც, რაც მას მოაგონებს ბრძოლას, რაღაც, უფრო მეტს, ვიდრე ეს მას სჭირდება (და რასაც ის ღრმად იწამებს).

გაჭრილი ცივილიზაცია კი ადამიანებს ოჯახშიც კი ეგოისტად აქცევს და ესაა ტრაგედია.

არაჯანსაღ საზოგადოებას მორალიც არაჯანსაღი აქვს: ყველაფერი, რასაც მოაქვს მოგება, მოაქვს მოგება მონოპოლიებისთვის – ითვლება ზნეობრივად.

ყოფაცხოვრების, პირადი მიზნების გაძლიერება (როცა მოხმარება პარტნიორული განვითარებიდან არ გამომდინარეობს), მომხმარებლური ფსიქოლოგია, წარმოადგენს მკვებავ გარემოს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისთვის, უპრინციპობისთვის, კონფორმიზმისთვის. რეკლამა აძლიერებს ჩვენში "ჯოგურ" ინსტინქტს – არა ნამდვილ ცხოვრებას! ერთდროულად, სახელმწიფოსათვის დაბალი კულტურის დონე ზოგადად მომგებიანია, ადვილია ადამიანის დარწმუნება, რომ მისთვის ნივთის შეძენა აუცილებელია.

ნივთების საშუალებით თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ სხვების (და არა საკუთარი თავის) მოწონება. საკუთრების, სიმდიდრის, მოაქვს ტანჯვაც (მხოლოდ ნამდვილი ადამიანისთვისაა ფული შემოქმედების „სისხლი"). მდიდრებიც, ძლიერნი ამა ქვეყნისა, ტანჯავენ რა სხვებს, ტანჯავენ თავის თავსაც.

დღეს ინფორმაციული სივრცის და სოციუმში ლიბერალური საბაზრო ფასეულობების გავრცელების პირობებში აქტუალური ხდება სოციალურ-ეკონომიკური ქცევის რეგულირების ეთიკურ-რელიგიური ბერკეტების გამოყენება.

საბაზრო რეფორმების ეფექტიანი ნაბიჯების აუცილებელია საბაზრო სისტემის ბაზისის ინსტიტუციურ-სოციოკულტურულ მოთხოვნებთან ადაპტაციის უნარი, ყურადღების გამახვილება სოციალურ–ეკონომიკური ქცევის ტრადიციულ ფაქტორებზე, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მართლმადიდებლური ღირებულებები.

ის ფაქტი, რომ ჩვენი ბოლო წლების "რეფორმები" აღმოჩნდა მხოლოდ საკუთრების გრანდიოზული გადანაწილების საფარველი, მიზეზი მეტწილად ძევს რელიგიურ, სულიერ სფეროში, ე.ი. ამ რეფორმის ავტორების მსოფლმხედველობის თავისებურებაში.

ეკონომიკის ორგანიზაციის მართლმადიდებლური პრინციპები წითელ ზოლად გასდევს ქართველი ერის მთელ ისტორიას. საქართველოს მთელი მოსახლეობის და სამეფოს ეთიკა გაჯერებულია მართლმადიდებლური მორალით. ეკონომიკური ცხოვრება მოითხოვს პირველ რიგში, პირადი პასუხისმგებლობის და თვითდისციპლინის, ადამიანთა სულიერი სიჯანსაღის გაზრდას, რაც გულისხმობს პროფესიული შრომის სფეროში უმაღლესი ეთიკური და რელიგიური ღირებულებების, ზნეობრივი მოვალეობების აღიარებას.

უახლესი ტექნოლოგიების სწრაფი ცვლილებების ფონზე, როცა დიდი მნიშვნელობა აქვს კომპიუტერის ცხოვრების ინფორმატიულ რიტმს და ადამიანებს შორის, პროფესიული სიმწიფის მაჩვენებელი ხდება ზნეობა. უნაყოფოა პრაქტიკული ცოდნა, რომელიც არაა დაბალანსებული მორალით.[4] განათლებამ არა მარტო ცოდნა უნდა გადასცეს, არამედ აღზარდოს სინდისიც (უნივერსალური აზრი, რომელიც ღირებულებათა რეესტრს არ შეხებია). „ცოდნა სინდისის გარეშე – სულის დაღუპვაა", წერდა რაბლე.

ჩვენთან ჯერ კიდევ ბევრია ამორფული, „ლოკოკინა" ადამიანები (ინტელიგენტობის გარეგანი ატრიბუტებით), რომლებიც თავს „წესიერად" თვლიან მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდს არ აკეთებენ. სიკეთისთვისაც მათ არ იცლიან, ამიტომ არც გულწრფელი სიყვარული შეუძლიათ. მათი წარმოდგენების უმეტესობა მოიცავს მრავალ სარკის ანარეკლს. შთაგონებულია მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებით და საბჭოთა სკოლის სისტემით.[5]

---

[1] ამის გამო, რომ უკულტურო ადამიანს ტექნიკა იმონებს.

[2] ინფორმაციის თავისუფლებამ კრიზისი განიცადა–ადამიანები არაფერზე აღარ რეაგირებენ. ტელევიზია, გაზეთები რა ყურადღებით მოაწოდებენ მომხმარებლისათვის, არ ... ზოგჯერ ... საშუალებას, საბჭოთა ... კი ინფორმაციული ... [illegible]

ბევრს არ უყვარს არც საკუთარი თავი, არც სხვები. რობოტივით მილბურანში ცხოვრობს, როგორც სამუშაო ძალა და არა ადამიანი (მცირე მოთხოვნილებისას არც ნებისყოფის მობილიზაციაა). ისინი გვაგონებენ მეზავრს, რომელიც მატარებელს ჩამორჩა. მათი ცხოვრება, რომელიც დიდ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მიზნებს არ ემსახურება, მძიმეა. ასეთი ადამიანი პრეტენზიულია, სხვას აკრიტიკებს იმის შიშით, რომ ის უფრო თავხედმა არ

დაამციროს. მისი უარყოფითი ემოციები სიხარულის ნაკლებობითაა გამოწვეული. ერთდროულად, შეცდომაა „სერიოზული" მიზნების დასახვა და მისკენ „იდეების გამოყენებით" სწრაფვა. როგორც წესი, მთელ ცხოვრებას ჩვენ ვხარჯავთ არა იმ საქმეებზე, რომლებიც მართლა მნიშვნელოვანია, ხოლო სულიერ ძალებს, სულიერ განვითარებას კი შემდგომისთვის გადავდებთ. პირადი, დროებითი მიზნების გარდა, საჭიროა ვიქონიოთ დიდი, ზეპიროვნული მიზანი (მაშინ წარუმატებლობის რისკი მინიმალური იქნება). სუსტი ადამიანის მოქმედება განისაზღვრება უახლოესი პერსპექტივით. უფრო ძლიერია ადამიანი, რომლის პერსპექტივა პირადულია, მაგრამ მაინც შორეულია. ყველაზე მაღლა კი დგას ადამიანი, რომლის შორეული პერსპექტივა უპირველესად, საზოგადოებრივია. ამრიგად, დიდ ნებისყოფას მხოლოდ დიდი მიზანი ბადებს.

ადამიანები ცუდად არიან მხოლოდ იმის გამო, რომ თვითონ ცხოვრობენ უგუნურად (არ აქვთ შინაგანი „საყრდენი წერტილი") და არა გარეშე მიზეზებით. ჭეშმარიტად, კარგად ვერ იქნება ის, ვინც მხოლოდ აღება იცის (და არა გაცემა).

სამწუხაროდ, დღეს სამყაროს, ძირითადად, შურის გრძნობა მართავს. ადამიანებს ჰგონიათ ისინი ნაკლებად წარმატებულნი, ვიდრე, თუნდაც შეძლებული მეზობელი (მაშინ, როცა, რაც ნაკლებს ფიქრობ წარმატებაზე, მით მეტია მისი ალბათობა). კერკეგორი მართალი იყო: „ბედნიერების კარი მხოლოდ ჩვენსკენ იღება, ვინც წინ იწრაფვის, მხოლოდ უფრო მჭიდროდ ხურავს მას". სლოგანი „წარმატება ნებისმიერ ფასად" ყოველთვის ცუდად მთავრდება.

ამრიგად, ჩვენთან დაბალია სოციალური კაპიტალი (ნდობის კოეფიციენტი, თანამშრომლობა, „გამჭვირვალობა"), რომელიც მნიშვნელობით ფინანსურ კაპიტალზე უფრო მეტია – ფულიერით სავსე საზოგადოებაში ყველაფერი მალე იყიდება.

ჩვენს საუკუნეში გაიზარდა მენეჯერის სოციალური როლების რაოდენობა (მეზავრი, საქმიანი პარტნიორი, სხვადასხვა ჯგუფის წევრი და ა.შ.), რაც წინა საუკუნისაგან განსხვავებით ანელებს „ინტეგრაციას" (რაიმეს შექმნა მეტ აქტიურობას მოითხოვს). ამიტომ, სამუშაო დღემ შეიძლება ისე არეულად და ფუჭად ჩაიაროს, რომ დაიღალოთ არა მუშაობით, არამედ უაზრო ქაოსით. კარგი თანამშრომლები ნაკლებია, ვიდრე ნიჭიერი ადამიანები. ცხოვრების რაციონალიზაცია (თუნდაც სამსახურებრივი სუბორდინაცია),[6] ადამიანს ბუმერანგივით უბრუნდება საკუთარი „მე"-ს დაკარგვით: ერთიანი წესრიგი საზოგადოებაში ნეიტრალდება ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო „წესრიგით პირიქით".

საპასუხისმგებლო, დაძაბული მუშაობისგან წარმოიშვა გრძნობებისგან დაცლილი ადამიანის, კონფორმისტის ახალი ტიპი („გარინდებული მლოქვნელი", „სტიუარდესის სინდრომით",[7] „საქმიანი ტიპი" და ა.შ.), რომელიც თავის თავს საშუალებად აქცევს დიდ ქალაქში, თვითკმაყოფილი და გულგრილის ნიღბით ყოფნა (განსაკუთრებით, მამაკაცებში) ჩვეულებაში გადადის. ხშირი შენიღბვისგან მენეჯერი კარგავს კონტაქტს თავის გრძნობებთან, რაც იწვევს სტრესს. საერთოდ ეგოცენტრული პიროვნება უფრო ადვილად ექცევა სტრესის ქვეშ. კარგი მენეჯერი კი ნიღბის გარეშეც თავს მშვენიერად გრძნობს. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანებს ცნობიერების რაციონალური მხარე[8] განუვითარა, მაგრამ მეორე, გრძნობა – ემოციურ მხარეს ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს (საერთოდ, რაღაც მომენტის შემდეგ, ადამიანის განვითარება არასწორად მიდის – ვითარდება გონება და უგულებელყოფილია გრძნობები). ამრიგად, რაც უფრო სულიერია, „მაღალი სინჯისაა" ადამიანი, მით უფრო ადვილად უმკლავდება სტრესს, ფსიქოტრავმას, ცხოვრებისეულ გამოცდას.

---

[6] სუბორდინაციაში ნაგებულია გარკვეული ზეწოლა ადამიანის ღირსების გრძნობაზე და ზოგ თანამშრომელში ეს ეიფორიას იწვევს.

[7] ყალბი, „კეთილგანწყობილი" ღიმილით.

[8] არსებობს თავის ტვინის მიერ ინფორმაციის გადამუშავების ორი სისტემა: თუ ამერიკელების და ევროპელების აზროვნების სისტემა და კულტურა უპირატესად თავის ტვინის მარცხენა („პრაქტიკულ") ნახევარსფეროს განვითარებას იწვევს, აღმოსავლეთის ხალხებში უპირატესობა მარჯვენა (ან ორივე) ნახევარსფეროს ეძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის დიდების შეგრძნების სულიერი, ამბიციების ძალა, ნებისყოფის სიმტკიცე. დიდ მენეჯერის ნებისყოფის თვისებები ვლინდება ხელქვეითების მიმართ მის თავდაჭერილობაში. იდეალში, მენეჯერი პატიოსანი უნდა იყოს და ცხოვრობდეს რაინდულად, უშიშრად განსჯიდეს, ჭეშმარიტი თავისუფლებით და ქცევის. ნაცვლად „თამაშის".

ნიჭიერმა, კრეატიულმა ადამიანმა მხოლოდ თვითონ იცის, რა შეეძლო მას მიეცა ადამიანებისთვის და ვერ მისცა, ამიტომაც განიცდის უკმაყოფილებას, ხარჯავს რა თავის ენერგიას ჩვენი ცხოვრებით ნაზარდ, ასეთივე ურჩხულთან ბრძოლაში. ჭკვიანს უმრავ ცრუ ცნობიერება, თუ უწევს ფიქრი უნიჭოს ნაცვლად, რადგან როგორც შიდეურმა თქვა, ასეთია თვით ღმერთის უმწეო... ესაა კაცობრიობის უბედურება. „ორთოსნების" საზოგადოებაში მეუღლის როლის თამაშის მეტი გამოსავალი არაა...

ბოლო წლების გლობალურმა ეკონომიკურმა პრობლემებმა საზოგადოებრივ და პირად ურთიერთობებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ავიღოთ თუნდაც მენეჯერი, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებულ როლშია. ის მუდმივ „ფორმაში" უნდა იყოს, ზიდოს თავისი ჯვარი. მაგრამ მაინც, არავის ძალუძს ყოველდღე იყოს თავის საუკეთესო ფორმაში.

შეუძლებელია გაიგო სამსახურში (ან პირად ცხოვრებაში, ოჯახში) მიღწევა. თავდება, რომ სხვების უმნიშვნელო გადაცდენაც კი არღვევს წონასწორობას ჯგუფში, ოჯახში („და იქვე უკმაყოფილოდ ვიხილით)..

პატივმოყვარეობის ავადმყოფი მენეჯერი ცხოვრობს, ასე ვთქვათ, არასტრატეგიული ცხოვრებით – მას აზრის კონცენტრაციისთვის, დაფიქრებისთვის დრო არ რჩება. ასეთი ბრძოლით კი მუდამ დაღლილი ვართ და ნამდვილ ცხოვრებას ვგრძნობთ მხოლოდ... ავადმყოფობის დროს.

ყველას მოეწონება „კარგი სახე ცუდ თამაშზე". გვხვდება მხოლოდ უბრალოება და სიმართლე. შეცდომის, სხვისი ეჭვი, რომ სცენაზე „არ შეიწყნარებენ ფეხებს".

ერთდროულად, რეკორდებზე ორიენტირებულ საზოგადოებაში სხვის სიცოცხლეზე ზრუნვის გვიჩნდება ძალის მოწყენებითი შეგრძნება, არაჯანსაღი სიმშვიდე.

სიცოცხლის უფლება (ჩვენი და სხვისი) მთავარია ღირებული მმართველობის პროფესიონალიზმში (როცა ვგულისხმობ სხვებს, მათ სამუშაოს ვაძლევთ გახდეს უფრო ძლიერი). უფრო ზუსტად, ადამიანი სუსტი კი არაა, გულწრფელი და ბუნებრივია თავის ქცევაში. ის ნამდვილია (და ეს მისი საუკეთესო თვისებაა).

სიმართლე, ცხოვრების თანამედროვე რიტმის, გრძნობათა ადამიანური გამოვლენა სუსტებს უნდა ვისწავლოთ: ადამიანი სუსტია, ზოგჯერ მოსდის შეცდომა, მას გამოსწორების საშუალების მიცემა სჭირდება (ეს უკვე სხვებმა თავად უნდა გააკეთონ). ამასთან შეიძლება გავუგოთ სისუსტეები, მაგრამ არ უნდა გავხდეთ უმწეო.

როგორც მეტროში სხვის ნიღაბს იცვლის, ასევე შესაძლოა ნიღაბი გადარჩენისთვის, რადგან ილუზიები ადრე თუ გვიან ქრება და წარმოიქმნება კონფლიქტი. ეს კი ვნებს ჩვენს ფსიქიკას, ფიზიკურ „ემხიარებას" სიმართლე, შესაძლებელი ადამიანების აზროვნების წესია.

ცხადია, როგორც ყველა ფუნქცია, სიცოცხლის ფუნქცია მიუღებლობებით, პასუხისმგებლობით შემოფარგლულია და იწვევს სხვაზე ზრუნვას.

ფიქრობს, სიმართლე, არ კონცენტრირდება არც კარგს, არც ცუდს, მის კარგ ან ცუდ მხარეს ხედავს წარმართავდეს – მასიური ხელი დაქვემდებარებულ უფლისწულს მიმართავს. სიმართლე, სხვისი პიროვნების ნებისმიერ დამცირებული, მისი ცხრილი თუ თავისუფალი ადამიანი.

ადრე თუ გვიან, ყოველმა ადამიანმა უნდა გაარკვიოს ცხოვრების ძირითადი საკითხი – რომელია უკეთესი, იყო ბედნიერება, თუ ამაღლებული ქორთაანდები? უნდა გაიგოთ არჩევანი მოვალეობა და პატივისცემის, ერთგულების და ზრუნვის შორის. ეს გადაწყვეტილება წარმატებულმა მენეჯერებმა მიიღეს უკვე ახალგაზრდობაში, რამაც განსაზღვრა მათი ცხოვრება – ყოველდღიური უმნიშვნელო ქცევა პიროვნების ქმნის ან არღვევს.

სისტემასთან პირველი კომპრომისი ახლა მეორეს, და პირადობის დათმობა ზედმეტი აზრდება. ამიტომ დგას „საკმაოდ ძვირი" პრაქტიკან ადამიანად დარჩენა.

მენეჯერი კარიერის დასაწყისში. ადამიანთა ურთიერთობა მხოლოდ მენეჯერის ნაწილი შეიძლება, სიცოცხლის ბოლო წლებში ხდება, რომ ცხოვრობდა, მაინც კი ის სიცოცხლის ცხოვრების ფუნქციაა.

შრომის მოთხოვნილება პიროვნული კულტურის ძირითადი ნიშანია: განათლებულების ერთი დიდი „უფრო ხანგრძლივია", ვიდრე უცოდინარი სიცოცხლე. სიმართლე ყოველდღიური წამალი ხომ შრომაა.

ახალგაზრდა მენეჯერი ვერ თავისუფლების მოვალეობებისგან, ზედმეტი შრომისგან, მაგრამ სწორედ ამან გაუძლოს ჩვენ ადამიანებს. გარდა

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისა, მას „დამოუკიდებლად მუშაობის" კომპლექსი აქვს – ზედმეტად ზრუნავს გარეგან ატრიბუტიკაზე. მენეჯერი საკუთარ თავს სხვისი თვალით უყურებს – საზოგადოება თვალებია. ამდენად სხვები მასზე გავლენას ახდენენ. ჩვენს ნამდვილ სახეს კი სარკეშიც კი ვერ ვხედავთ (მაშინვე ვასწორებთ მიმიკას).

ჩვენი უარყოფითი თვისების გამო (რასაც სხვა ძნელად ეგუება), საჭიროა დისტანცია ურთიერთობებში.

ოფისში ჩვენ შევხვდებით, ძირითადად პიროვნების ორ ტიპს: „გამარჯვებულს", „რეალიზებულს" (მაგ. თვითკმაყოფილი ჩინოვნიკი) და „წარუმატებელს," „არარეალიზებულს" (შინაგანი უკმაყოფილებით), რაც ბავშვობის ასაკიდანაა ჩამოყალიბებული.

„რეალიზებულთა" თავდაჯერება ზოგჯერ მათი შეზღუდული ბუნების გამოვლენაა, როცა უცხოა ძლიერი ვნებები, ხოლო „საღი აზრის" უკან ხშირად იმალება მხდალი, ყალბი ადამიანი. მართალია, ზოგი მათგანი კომუნიკაბელურია, იძენს ბევრ ამხანაგს,[9] მაგრამ ზოგჯერ ამის უკან „ხეირის" მიღება დგას.

„არარეალიზებულთა" სუსტ ნერვულ სისტემას კი ხშირად მეტი შემოქმედებითი შედეგები მოაქვს ხოლმე.

ნამდვილი ადამიანი მატერიალურზე მაღლა მორალურ ღირებულებებს აყენებს. ის არავისგან არ ელის მადლობას, თვითონ გრძნობს ყველას მიმართ თავს ვალში, თავისუფალია სულიერად, სიკეთეს არ აქცევს საქონლად („მე შენ, შენ მე"), ცდილობს იყოს გაწონასწორებული, ერთგული, სულგრძელი, იმეგობროს მტერთანაც კი, არ აჩენებს თავის ცოდნას. ის შინიდან დილით გამოდის მშვიდად (და არა როგორც „მგელი" ან „ბატკანი"). როგორც წერდა ლ. ტოლსტოი, საუკეთესოა ადამიანი, რომელიც ცხოვრობს თავისი აზრებით და სხვისი გრძნობებით (თავისი გრძნობებით მხოლოდ ცუდი ადამიანი ცხოვრობს).

მართალია, ადამიანი უნდა ისწრაფვოდეს იდეალისკენ, მაგრამ, უნდა დაკმაყოფილდეს მიზნისკენ მიახლოების ეტაპობრივი, თანდათანობითი პროცესით, თავისი განსაცდელებით და გულაცრუებით. ნიჭი (ისევე, როგორც სიმართლე), თავისით, ბრძოლის გარეშე, თვითდინებით გზას ვერ გამონახავს. ბუნების ეს კანონი ხშირად ავიწყდებათ, რაც ბევრი ცხოვრებისეული ტრაგედიის მიზეზი ხდება.

ურთიერთობა ხელმძღვანელთან. ხელმძღვანელის თვისებების ნამოხათვლის ანალიზი (მიზანმიმართული, ჯიუტი, ცვალებადი ხასიათის და სხვ.) წარუმატებელი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ხასიათი – ეს ადამიანის ბედია, მთავარი აღმოჩნდა არა პირადი თვისებები, არამედ მისი მოქმედებები.

დიდი დაწესებულების ხელმძღვანელი ხშირად წამებულის როლშია, რომელსაც მოწიწებით, მდაბიური მაამებლობით შეჰყურებენ ხელქვეითები და „ტყავს აძრობენ" ზემდგომები. ალბათ ამიტომაა, რომ მათში ერთდროულად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო არსებაა, ძნელად ასახსნელი დაპირისპირებით.[10] ხელმძღვანელი, ხშირად, ზედმეტად დარწმუნებულია თავის თავში, რომ დასაყრდენი სხვებში ეძებოს, ამიტომ „რეფორმატორ" თანამშრომლებზე უფრო ურთიერთობას მლიქვნელებთან და მომსახურე პერსონალთან ამჯობინებს.

ჩვენს სინამდვილეში, ხელმძღვანელს პატრიარქალური გლეხური მეურნეობის მართვის სტილი აქვს: საქმეებში ჩარევა, დიქტატი და სხვ. მის ყოველ გონივრულ იდეას კი მრჩევლები აუფასურებენ. ისინი მხოლოდ მის სისუსტეზე თამაშობენ და იბრძვიან (ხშირად, ადვილად აღგზნებად) ხელმძღვანელის სულზე და „ყურზე" მონოპოლიისთვის. ასე იწყებს ხელმძღვანელი რეალობის იმ მოდელის დაჯერებას, რომელსაც სხვები უქმნიან (ერთდროულად, ეს მისთვის... მოსახერხებელი პოზიციაა).

მაღალი თანამდებობის სპეციფიკაა მუშაობის გარკვეულ ეტაპზე ნაკლოვანებთან შეგუება, „თვალის სიმახვილის" დაქვეითება.

რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მით უფრო მეტია მასზე ფარული კონტროლი, მით ნაკლებად გულახდილია ხელმძღვანელი. ამიტომ, მენეჯერი არ უნდა იყოს პრიმიტიული, გულუბრყვილო: ხელმძღვანელს უყვარს ხოლმე ხელქვეითთა (ძირითადად, რიგითი მუშაკების) გარემოცვაში „სულიერი" დასვენება, როცა ხელქვეითისგან ელის თანაგრძნობას და არა ფამილარობას და არადელიკატურ შეკითხვებს.

წოდებებსა და ჯილდოებზე ბევრად მნიშვნელოვანია ხელმძღვანელის

[9] საერთოდ, ადამიანს მიდრეკილება აქვს ამხანაგის მიმართ, ვინც ნაკლებად ფხიზელია, მასზე დაბლა დგას. მაშინ ის რაღაცას წარმოადგენს და დაცულია არასრულფასოვნების კომპლექსისგან.

[10] ძლიერი, ცნობილი ადამიანები ყოველთვის ასეთები იყვნენ. ეს მათი პიროვნებისთვის უკვალოდ როდი ქრება, იწვევს ადრეულ სიბერეს.

[11] ამიტომ გაჩნდა სნობიზმის ახალი ფორმა–ინფორმაცია, როგორც პრესტიჟის სიმბოლო.

განსაკუთრებული ნიშნით. ვინც „მეფის" ნიშნებს კარგავს, მაგი საქმის იმედად რჩება ხოლმე...

მენეჯერი უნდა ცდილობდეს, რომ მუდამ საინტერესო იყოს. ადამიანის ინფორმაციულობის შემცირებისას[1] კონფლიქტების რიცხვი იზრდება. ერთდროულად, უნდა გაახსოვდეს, რომ საუბარში უფრო ჭკვიანი და საინტერესო მაშინ ჩანხარ, როცა მოსაუბრეს საკუთარი თავის ჭკვიანად გამოჩენის...

კონფლიქტის დროს მეტად უსიამოვნებებს მოთმინებით უნდა მოეკიდოთ (სწრაფად დაივიწყოთ), რადგან, როგორც ფსიქოლოგები განსწავლიან, ბრაზდება არა ადამიანი, არამედ მისი „მდგომარეობა", რომელსაც არც ახსოვს, რას ლაპარაკობდა ერთი წუთის წინ (თუმცა, პრაქტიკაში, ყველა ადამიანს აქვს უსიამოვნების „გადახარშვის" გარკვეული დრო). როცა მენეჯერის ფსიქიკური ენერგია არ იფანტება გარემოცვაზე (რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ), ის ინარჩუნებს ძლიერ მეხსიერებას და ანალიტიკურ გონებას.

ხელმძღვანელთან კონფლიქტისას უნდა გავიხსენოთ ჩვენი სტატუსი – „ინტელექტუალური" მორიგება და მოვიქცეთ ისე, როგორც მოითხოვს საქმის ინტერესები. აქ მენეჯერი შეიძლება შეადაროთ ბავშვს, რომლის „ეგო", ინდივიდუალობა იზრდება მაშინ, როცა ეწინააღმდეგება მშობლებს.

„ცხელ გულზე" ვერაფერს გაარკვევთ – საკითხის სიმწვავე უნდა შეამციროს თავის თავის შეუვალობას. საკუთარი ღირსების გრძნობის უქონლობას იწვევს ხოლმე მუდამ „დამლუპველი" ხელმძღვანელის არაგულისხმიერი დამოკიდებულება, ხელმძღვანელისა, რომლისთვისაც ადამიანები მხოლოდ თვითრეალიზაციის საშუალებაა.

ხელმძღვანელის ჯიუტობა ვიწრო აზროვნების პროდუქტია. ზოგჯერ ხელმძღვანელის უხეშობა (ან თავხედობა) შეიძლება მხოლოდ გარეგნული იყოს, რაც უფრო ფორმას, ვიდრე შინაარსს გამოხატავს.

თუ ხელმძღვანელი ქალია, ხელქვეითთან ურთიერთობაში ხშირად ისაა დამნაშავე, როცა არ ითვალისწინებს მამაკაცის აზრს და მას ეკამათება, როგორც კაცი კაცს (რასაც კონფლიქტამდე მივყავართ). საერთოდ მენეჯერ-ქალს სოციალური ორიენტირები უბიძგებენ, რომ გახდეს „კაცი", მაგრამ საზოგადოება ეთაყვანება მათ, ვინც იცის პატივი, ლოგიკა და ბევრს თავისი ხელით ძერწავს.

რადგან მომენტიდან ხელმძღვანელს, რომლისთვისაც ყველაფერი ახალი მიზნის მისაღწევი ტრამპლინია, ბუნებრივია კონფლიქტი, რომელიც უფრო ხელს უშლის მას მიზნისკენ – პროგრესული, რომელსაც თავისი აზრი და მიზანი თავისი აქვს. აქ ძალაშია უძველესი დევიზი: „მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრი უნდა წავიდეს".

ერთდროულად, წლობით ერთად მუშაობის შემდეგ მენეჯერის უმეტესი (ქვეცნობიერად მაინც), „ძირფასი იქნის ფონდის" – ხელმძღვანელის „პირადი საქმეების," დაცვას მეგობრებს და სიცოცხლის შენახვის საფუძველი, რომელსაც ის წარუდგენს პირამიდის მწვერვალზე ასვლის, რათა მასაც დაუთმონ იქ ადგილი...

**ურთიერთობა ხელქვეითთან.** უდიდესი ფაქტორია მორალური სული იყოს მი. უდიდესი ძალაა ხელქვეითის კარგი განწყობა. საჭიროა მისი მხარდაჭერა ხოტბით, პატივისცემით, დახმარების სურვილით, რათა მან არ დაკარგოს რწმენა თავის ძალებში. ის „დაბალ დონეზე" კი არაა, უბრალოდ ნაკლები გამოცდილება აქვს. ხელქვეითმა უნდა იცოდეს, რომ ის ნეიტრალური კი არაა მდინარეში, არამედ „ძლიერი გემის მეზღვაურია", ამიტომ საჭიროა მისი სისტემატური ინფორმირება (დრამატიზაციის გარეშე). როცა ხელქვეითი პატივს გცემს, ურთიერთობა გულახდილდება, უფრო ინფორმირებული ხართ და პირიქით. მის ნებისყოფაში ჩვენს ძალას გრძნობთ.

მარკეტინგულ-მარკეტინგული სტილით მომუშავე ჭკვიანი მენეჯერი ყოველთვის ეძებს თავის მარჯვენა მუშაკებზე. ის ხელქვეითთა ბევრს პირად წყენაზე მაღლა აყენებს. მენეჯერს უნდა უყვარდეს ხელქვეითები (ზოგი მათგანი ხომ ცუდი გარემოების მსხვერპლია). საბოლოოდ, ყველა მათგანი განსაკუთრებული სამყაროა, რომელშიც ერთდროულად არსებობს კარგიც და ცუდიც. თუ ხელქვეითი თქვენი მეგობარია, ანგარიში გაუწიეთ მის თავმოყვარეობას – შეხვდებით არაფორმალური კონტაქტები.

სხვის (ისევე როგორც ჩვენს) პიროვნებაზე იმუქრება[2] მხოლოდ დროებით ყველაზე გავლენას, ამიტომ სხვის მიმართ უნდა ვიყოთ ლოიალური, თუმცა შეურიგებელი პრინციპულობით.

ხელქვეითის დასჯისას, უფრო ეფექტურია გამოვიყენოთ კომპლიმენტი,[3] რომელიც მის თავმოყვარეობაზეა გათვლილი. საერთოდ, შეუძლებელია სხვისი საჭირო, რომ სხვისი

---

[1] თუმცა, იდეების ინსტრუმენტის გარეშე ადამიანი დარჩენილია ცხოვრებად

[2] მაგალითად, ი. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტში აკად. ა. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით შექმნილმა ხელმისაწვდომ ბიუჯეტი. რომ როცა კოლეგა წარმატებულია, ქვეცნობიერად, ავტომატურად ჩნდება შურის გრძნობა.

კრიტიკის მორალური უფლება ჰქონდეს, ბოლო მუშაკს კი ზოგი ადამიანური ხასიათი ეპატიება.

საჭიროა გაახსოვდეს ადამიანის თვისება – დაქვემდებარებულის ძლიერი, გამოცდილი ადამიანი თავის გაგებაშიც („ფეხქვეშ" გათელის იგი), ამიტომ, ახალ კოლექტივში მოხვედრისას, პირველ დღეებში ხშირად ეფექტურია „ფსიქოლოგიური ყურების" გამოყენება (თავიდანვე „საქმის დაყენება"). საერთოდ კი, მენეჯერი ფსიქოლოგიის ხელქვეითში დარსების გრძნობის ჩამოყალიბება თვრილიულ თანასწორობაზე ძნელია.

შემოქმედებითი მუშაობა (სტატიები, წიგნები, ლექციები, პრეზენტაციები და სხვ.) მენეჯერს უდიდეს სიხარულს ანიჭებს, ხელს უწყობს კომუნიკაბელობას. შემოქმედებითი შრომა, როგორც საიუბლო აქტიურობის ფორმა, ორგანიზაციის ავტომოდერნიზაციაში წინააღმდეგობის ფაქტორიცაა. ამრიგად, მას აქვს არა მარტო სოციალური, არამედ ბიოლოგიური მნიშვნელობაც. ამავე მიზნით, სასურველია „საზარმაცო" ყოველ 3-5 წელიწადში გამოცვლილით – იკარგება მუშაობის სურვილი და აღქმის სიმძაფრე, საწყისიდან, ცვილებისცის ხშირადვე განსაიდრების შედეგად, შემოქმედი მწარმოებლობა შეცვალა (ამიტომაც ნაქრა ინტერესი წიგნისადმი).

**მენეჯერი კარიერის ზენიტში.** მენეჯერის ნიჭის ერთ-ერთი ნიშანია ინტელექტი. მაღალი ინტელექტის თვისებებია: ნათელი გონება (პატიოსნების, აზრის პირდაპირობის, პასუხისმგებლობის გრძნობის მანიფესტელი), გონების სიღრმე (უმნიშვნელოების დანახვა ფაქტების იქით), გონების ძალა (აზრის კონკრეტულობა, მოქნილობა) და ა.შ.

მენეჯერის კარიერა შედეგმა მაშინ, თუ ის სიმხედლებს არ გაურბის, მეხლნავსრული აყყოფს თავის საქმეს და შეუძლია ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა. მათი სიმართლის მიღწევით იქმნება მაქსიმალური ფსიქოლოგიური კომფორტი და წარმატების საფუძველი.

„სტრატეგ" მენეჯერს მასვილმასშტაბიანი აზროვნება აქვს (ასეთია ადამიანთა 20%) და მას ღირსეული ცხოვრებისეული გზა აქვს გავლილი. მიაღწევდე პრესტიჟს კი კონფლიქტური თვისება აქვს, რაც მეტი გაქვთ, მით მეტს იქნია. სისტემატიური წარმატებები მას ახალ ენერგიას აძლევს – ელიტის სოციალური შესაძლებლობები მას დიდ რწმენის აძლევს.

საერთოდ, წარმატებული, პროგრესული ადამიანი უნდა იბრძოდეს, რათა გააუმჯობესოს

გარშემომყოფთა ცხოვრება, იბრძოდეს ამის წინააღმდეგ, რაც ამცირებს ადამიანის ღირსებას.

კარიერის ამ ეტაპზე მენეჯერში გამოიხატება ადამიანი, რომელიც ცხოვრობს საკუთარი სულიერი ცხოვრებით. ხელის სიმსუქე კი დამახასიათებელია ადამიანისთვის, რომელიც გრძნობს თავის კავშირს სამყაროსთან, აქვს დინამიკური ინფორმაცია (მრავალფეროვანი შთაბეჭდილებები) და ესმის თავისი – ქაოსთან მებრძოლის როლი.

გამობრძმედილი მენეჯერისთვის ნაცნობია ცხოვრების ემპირიული სიმუხთლეები. ის შეგუებულია, რომ ცხოვრებაში ხშირად უღირსები მოიგებენ, რომლებსაც ვერ გაუგებენ. ძლიერი ადამიანიც კი ვერ აცერხებს წარმართვის იმ მოვლენათა მსვლელობას, რომელიც პირადად მას ეხება.

მენეჯერის ბედი კარიერის ზენიტში ცვლილიზე სამომ მდგომარეობაშია („ულიზისი შორის დიჩენის ვეირვეინში"). წარმატება, მშვიდი სიტუაცია მას ადუნებს. მახინჯი მოვლენაა მენეჯერის უშიშრად გაზრდილი პრეტენზიაც. ის ბევრზე დუმს. მარტოსულობისგან, სიტყვამეუწყობისგან უკიდურესობა ნიშნებში და (სულის სიღრმეში) ადამიანისადმი გულგრილობაა – ის ძალიან შორს წავიდა მათგან და სულის მეჩხუთ-უე ცოდვლიურობაში დიამბულად ისქირება ყველაზე მთავარისკენ"...

როცა მენეჯერზე ბევრი ადამიანის ბედია დამოკიდებული, როცა საქმით გართული, ყველაფერში საშუალებას ხედავს, ის, როგორც პიროვნება, დეგრადირებს. ძალაუფლება რეკნის ხელს, წარმოიშვება „ცოტური ამბარტავნობა,"[8] თავის თავის ზედმეტი სიყვარული, პატივმოყვარეობა მას უბიძგებს „უბრალო ადამიანისადმი" ინტერესის დაკარგვისკენ, იწყება კონფლიქტი ადამიანურისა და პროფესიულის შორის.

ცხოვრების კი მერეჯე ვერ გადაწერ. ადამიანი ერთხელ, პირველად წერს თავის ცხოვრების სუფთა წერილ: „დიდებულია ადამიანი, რომელიც თავის შეცდომებს იყენებს ისეთ, როგორც ვერცხლისას. მაგრამ, არანაკლებ დიდებულია ის, ვინც ვერცხლის შეცდომებს როგორც თავის, ისე იყენებს. სუსტი სულისაა ის, ვინც ვერ უძლებს საკუთარი გამოცდას".

დიდი შეცდომაა მიღწეული კმაყოფილება შემოქმედებაში (ისევე, როგორც გრძნობებში) შეწყვეტა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშვება „მიღწევის (ვერსაველაგური) დაავადებები", ეფემერული წარმატების მწვერვალზე

---

[8] თავმდაბლობა უნდა იყოს პიროვნების სიძლიერის, და არა სისუსტის, სიღარიბის შედეგი.

ბევრისთვის წარუმატებლობის გრძნობა, რადგან თავს დაცულად მაინც ვერ გრძნობთ – ყველა ძალა ხომ საკუთარი თავის ბიზნესზე დაიხარჯება და ხშირად უშედეგოდ, გასართობის დროც არ გვაქვს.

ამრიგად, დამოუკიდებლობის და ძლიერი ტვინის მქონეს მეორე მხარეც აქვს – აუტორიზებული ხელი და მარტოობის გრძნობა. ამიტომ იყო მარტოსული, ეული ყველა დიდი ადამიანი, შემოქმედი.

„მარსველიანური დაავადება" იწვევს ეგოცენტრიზმს, სხვების დაკარგვას, პიროვნების დეფორმაციას და შემოქმედებაზეც მოქმედებს. მისი ერთადერთი წამალია ისევ პატიოსნება საკუთარი თავის მიმართ, თვითკრიტიკა.

საერთოდ კი, მენეჯერს რამდენიმე ასაკობრივი კრიზისი ელის. პირველი იწყება დაახლოებით 27-30 წლის, უკვე მოწიფულ ასაკში, როცა ის ხვდება, რომ დროა, წარმატებული მენეჯერების მსგავსად, ცხოვრებაში თავისი ადგილი დაიკავოს. აქ სასარგებლოა გავიხსენოთ, რომ კრიდიოუსის ცნობილი ოკეანე-ლაინერი 40 წლის ასაკში დაიწყო, გოგენმა კი 38 წლის ასაკში ხატვა დაიწყო...

მეორე, საშუალო ასაკის კრიზისი იწყება 40-45 წლის ასაკში, ისევე შეკითხვებით თავის თავის მიმართ (ვინ ვარ? რას მივაღწიე?), მაგრამ ამჯერად უფრო მძაფრი ფორმით.

მესამე (50 წლის ასაკში), ვერ შეედრება საპენსიო ასაკის კრიზისს, რომელსაც უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

ყოველდღიურობის რუტინაში, ვიდრე ჩვენ „გამორჩეთ ცხოვრებას", ცხოვრებაც გადის (რომლის პირველი ნახევარი უკვე გვაქვს, რადგან რაღაცის იმედი გვაქვს). მენეჯერი შვილის ასაკში, ამიტომ სულ უფრო უძნელდება ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვებთან გამკლავება. ის ცდილობს გადადგეს უფრო მშვიდ, დამოუკიდებელ სამუშაოზე, მცირე კოლექტივებში. იზრდება პედანტური ელემენტების როლი მის მუშაობაში.[15] ხოლო, თუ ამას სოციალური მდგომარეობის შეცვლაც მოჰყვება (უმუშევრობა, საპენსიო ასაკი და სხვ.), ვითარდება ნევროზი, სტრესი – ადამიანის განწყობა და სოციალურ-კულტურული პირობები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან. სტრესი იმდენად ძლიერია, რომ მისი დონე მიახლოებულია ახლობლის გარდაცვალებასთან.

საერთოდ, მენეჯერისთვის არაფერი არ უნდა იყოს მოულოდნელი, მუდამ უნდა გაითვალისწინოს, ივარაუდოს, თუ რა შეიძლება შეემთხვეს (წარუმატებლები ხომ ყველა ... გამორჩება). ადამიანმა უნდა მართოს საკუთარი ... და ეროვნულად, დარწმუნებულად და მოთმინებით მიიღოს ბედის უკუღმართობაც (მით უმეტეს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხშირად ამ დროს ხდება). ცხოვრების კრიტიკულ მომენტში საჭიროა ყველაფერზე ხაზის გადასმა და თამამად „ცუდი დინების საწინააღმდეგოდ".

უსამართლობის, გულგატეხილობის შეგრძნება თუ ნებისყოფა არ მოგაღუნეთ, სიმართლე და სამართლიანობა ბოლოს თქვენსკენ შემობრუნდება.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რიგი პრობლემების ორიენტირით შეხედოთ, ანუ მაშინვე გამოჩნდება. მუდამ ყველაფრის კრიტიკა კი ცუდი ადამიანური თვისებაა, დიდხანს კი თვით ასეთიც ვერ ცოცხლობს.[16]

ასაკგაზრდილი კომპრომისებისგან განსხვავებით, ასაკოვანი ცხოვრება მოთმინებას და ინტერესიანობას აწვდის. წასვლის წინ „მეგობრისთვის" ყველაფრის თქმას აზრი არ აქვს, ის მაინც ვერ გამოსწორდება...

თუ „რეორგანიზაციის" გამო მენეჯერი უმუშევარი დარჩა (მიზეზის დაუდგენელის თვითონაა), შეეცადოს, რომ ცხოვრების აზრს მიეცეს სამსახური ან არასამუშაოებელი საშუალება წარმოადგენს. ცხოვრება არ უდრის დასაქმებას. ცხოვრების აზრის დაკარგვის შემდეგ ფიზიკური „ჩაცვეთისკენ", ხშირად დაბრუნებისკენ (ქალაქის გარემოდან თავისი კომფორტით ისინი გადიქცევიან ...). ტკბილი ბინაგშიც კი, დიდი შეწყვეტილი სულიერი დაძაბულობა – იღუპებიან. საერთოდ კი, რაც უფრო მეტყველებს, განათლებული სამი, ... რომ სიკვდილი არ არსებობს.

საინტერესოა, „პენსიონერის მცნება" სამსახურის გარეშე დარჩენილი პროფესიონალი მენეჯერის ძალის ერთეული: 1. არ უნდა აწყენო ეპოქებს, 2. არ მოქრათ უკანასკნელი ეკა (ვასისუხეთ ნაწყენს, წყრომებს), 3. სამსახურიდან ისაუბრეთ თავდაჯერებით, ეფექტით მომავალზე, 4. რეპუტაციის შენარჩუნების მიზნით გაიხსენეთ, რომ „დუმილი ოქროა", 5. გამოძებნეთ სხვა კოლეგებისთვის, დაეხმარეთ მათ საწყენებში, ტელეფონის ნომრების გაცვლით, რათა არ დაივიწყოთ ერთმანეთი.

[15] პედანტიზმი კეთილსინდისიერების კარიკატურაა, ცხოვრებისეულ ურთიერთობათა ...ების მიმართ სქემატური დაყვანით ის არ ითვალისწინებს ცხოვრების მრავალფეროვნებას.

[16] მაგალითად, კუბაში, სადაც სიზარმაცის და ტროტუარების კულტია, სიცოცხლის ხანგრძლივობა 70 წელს აღწევს.

ყოველივე ეს (ანროვენების პოზიტიური წყობა) დაგეხმარებათ მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნაში.

ცხოვრების „მარათონიდან" გათიშვის, პენსიაზე გასვლის შემდეგ, მენეჯერს უჩნდება გრძნობა, რომ ის არავის აღარ სჭირდება. როცა ვინმეს სჭირდები, ცხოვრება არ მიედინება ფუჭად, ის შინაარსიანი ხდება. მენეჯერი გრძნობს, რომ აქვს ცოდნა, გამოცდილება, რომელსაც ყველაფერში იყენებს. სოციალური კავშირების ნაკლებობა მას ტანჯავს.

ასაკთან ერთად იზრდება ინტერესი ისტორიისადმი და ახალგაზრდული ეგოცენტრიზმი იცვლება „ისტორიოცენტრიზმით" – პასუხისმგებლობით მომავალი თაობის მიმართ.

ერთდროულად, თავისუფალ დროს მოჰყვება სევდა, დარდი (ცხადია, უშედეგო) გაფლანგულ ცხოვრებაზე, ოჯახზე, საყვარელზე, ძველ მეგობრებზე, შთამომავლობის, ერის მომავალზე.

ოჯახს, ზოგადად საყვარელს მეტი ადგილი უკავია მენეჯერის ცხოვრებაში, ვიდრე ეს მორიდან ჩანს. „საყვარელი ინახავს გულს, ისევე როგორც მარილი ხორცს" – წერდა გ. ჰოუგი. ყველას უნდა, რომ საყვარლის ობიექტი იყოს. თავის თავის რწმენა, ღირსების გრძნობის განვითარება პროფესიულ წარმატებას კი არ მოჰყვება, არამედ დამოკიდებულია, არის თუ არა ადამიანი გულწრფელი საყვარლის ობიექტი და პირიქით, მარტოობა ძალიან ძნელია, როცა მარტო ხართ, თქვენი მნიშვნელობა ქრება (ამიტომ ეძებთ, თუნდაც უცხოს გამოხედვას). ოჯახი, საიმედო „ზურგი" მნიშვნელოვანია ნებისმიერი ადამიანისთვის, განსაკუთრებით კი – შემოქმედი, საქმიანი ადამიანისთვის. ამავე დროს, ბედნიერი ოჯახი ძალიან ცოტაა. ძირითადად, მეუღლეები ვერ უგებენ ერთმანეთს (და ეს მთელ მსოფლიოში ჩვეულებრივი მოვლენაა).

რაც შეეხება დასვენებას, დღეს, ცხოვრების დაძაბული რითმის გამო, უპირატესობას აძლევენ ცენტრიდანული სტილის დასვენებას – თავის თავიდან გაქცევას.[17] ეფექტურ დასვენებას სჭირდება მრავალფეროვნება, კეთილგანწყობილი გარემო, მუსიკა, სრულფასოვანი პირადი ცხოვრება. ადამიანის ნამდვილი ფასი განისაზღვრება იმით, თუ როგორ იყენებს ის თავისუფალ დროს, საღამოს საათებს, ვისთან მეგობრობს.

ახალგაზრდა მენეჯერის არა მარტო კარიერა, არამედ ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავება, „ჩავარდნებისგან" თავის დაღწევა და ასე განსაკუთ, თვით ჯანმრთელობის შენარჩუნებაც კი მეგობრების და ამხანაგების გარეშე შეუძლებელია. პოლიტიკურ ქარტეხილებს და საომარ მოქმედებებს შმან ყუძლებელია მეგობრების გარეშე გაუძლოს.

საერთოდ, ბუნებაში ცოცხალი რჩება ის სახეობა, რომელშიც ურთიერთმხარდაჭერის გრძნობა ძლიერაა განვითარებული.

არისტოტელე თვლიდა, რომ არსებობს სამი სახის მეგობრობა: სარგებლისთვის, სიამოვნებისა და თვით მეგობრობისთვის.

ნამდვილი მეგობარი ყოველთვის ცოტა ჰყავს (რადგან უანგარო მეგობრობა საკმაოდ იშვიათია). ის მზადაა ჩვენც გაგვყიდოს – სიკეთე, ზრუნვა და ა.შ. უნაკლო მეგობრის მაძიებელი კი უმეგობროდ რჩება. ბევრი მეგობარი კი მას ჰყავს, ვინც სარგებელზე ფიქრობს (მაგრამ ისინი დროებითი მეგობრები არიან).

მეგობარი რომ გყავდეს – შენ თვითონ უნდა შეგეძლოს მეგობრობა. ეს კი დიდი ხელოვნებაა, შრომაა, რომელიც მოითხოვს დროის, ძალის და გრძნობების ხარჯვას, გაცემას.

ინტერნეტის ეპოქამ ახალი თავისი კორექტივები შეიტანა... ევროპასა და ამერიკაში მეგობრებისადმი უფრო გულგრილი დამოკიდებულებაა, ვიდრე ჩვენთან, ან მაგალითად, რუსეთში.

ასაკთან ერთად მეგობარ-ამხანაგების ფართო წრიდან სულ უფრო თავს ვიკავებთ. მოხმარების დონის შეცვლა იწვევს სიძნელეებს ძველი კონტაქტების, მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებაში. კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმის, შინაგანი კულტურის და თავის თავში რწმენის ზრდასთან ერთად, აღარ გჭირდებათ დამატებითი საყრდენები. თუ სუსტი ადამიანი თავის ახლობლების წრეში იკეტება, წარმატებული მენეჯერი ისწრაფვის „ელიტისკენ", სხვადასხვა წოდებებისაკენ. სულ უფრო ძნელდება საბავშვო ბაღის, ეზოს თუ სკოლის მეგობართან ძველი, „სავალდებულო" ურთიერთობების შენარჩუნება, მით უმეტეს, თუ მეგობარი თავის თავზე მუშაობას არც აპირებს, ძველ სოციალურ საფეხურზე „გაიჭედა" და თქვენი წარმატებები აღიზიანებს...

როცა მეგობრობას საფუძვლად უდევს არა უანგარობა, არამედ საკუთარი მდგომარეობა, ფსიქოლოგიური კომფორტი, ეს ბუნებრივია. ტრაგედიად ეს არც უნდა აღვიქვათ, რადგან ჩადებულია თვით მეგობრობის „თეორიაში": ყველაზე მტკიცე მეგობრობასაც კი ურთიერთობის გაცვეთის „შავი ზოლი" ელოდება. საქმეში

[17] დიდ ქალაქში კვირა დღე – ყველაზე ნაცვლიანია. „კვირა დღის ნევროზის" მიზეზია სული, რომელიც მუშაობს „ფუჭ ბრუნებზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივია, რომ სკოლის მეგობრებს ცვლიან უმაღლესი სასწავლებლის, ხოლო შემდგომ, შრომითი მეგობრებით.

მაგრამ, როგორი კარიერაც უნდა გაიკეთოთ, ძველ მეგობრებთან ურთიერთობას მაინც თავისი ხიბლი აქვს („ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურც ძველსა მეგობარსა"). ეს ხიბლი თავისით არ მოდის... აქაც სულიერი შრომაა საჭირო, თანაც ორივე მხრიდან, რათა თქვენი ძველი ურთიერთობები, დროის ულმობელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ახალ დონეზე, ახალ ნორმებში გადაიყვანოთ. ცხადია, ეს ყველას როდი ძალუძს... ამიტომაც ხშირად ვეძებთ პრიმიტიულ ახსნას „გაიზვიადა და აღარ გვშორდება".

ევროპას არ აქვს უფლება დაიკვეხნოს თავისი კულტუროსნობით, სანამ მის პასპორტში ბართლომეს ღამე სწერია.
შალვა ნუცუბიძე

როგორია ქართველი მენეჯერის სულიერი მხარე, რით განსხვავდება ის, მაგალითად, გერმანელისგან ან იაპონელისგან? საერთოდ გვაქვს კი უფლება შემოვიტანოთ 'ქართველი მენეჯმენტის' ცნება? ეს კითხვები მჭიდრო კავშირშია ქართული ხასიათის თვისებებთან. ჩვენი მომავალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ეროვნული ფენომენიდან უნდა ამოიზარდოს, რადგან სხვა კულტურის მექანიკური გადმოტანა, სხვა ქვეყნისათვის, სულ მცირე, საინტერესო აღარ იქნება.

ქართულ კულტურაში არასდროს არ ყოფილა ზეციურსა და მიწიერს შორის დაპირისპირება (რაც ევროპული კულტურის მთავარი გასაჭირი იყო).

ქართველი არაა ფანატიკოსი. ის იყო ზომიერი, სულგრძელი და ჭკვიანი მოქმედი. ამიტომ, საერთაშორისო ეტიკეტის ცოდნა სულაც არ ნიშნავს მსოფლიოში აღიარებულ ტრადიციული ქართული ღირებულებების იგნორირებას – იშვიათი ადამიანური სითბო და ალტრუიზმი, შემწყნარებლობა და დიპლომატიურობა, შემოქმედებითი, ხელგაშლილი და რაინდული სული, ცნობისმოყვარეობა, სწრაფვა თავისუფლებისკენ, სრულყოფისკენ, სიახლისკენ და სხვ. საერთოდ კი ქართველი ზომიერ გაჭირვებას უფრო აიტანს, ვიდრე საკუთარი მეგობრის გაუთავებელ ნაზმობას.

დასასრულს, გავიხსენოთ ქართული ხასიათის უარყოფითი თვისებები[18]

1. „ქართველისათვის კაცი თავადია და ნადიმ თავადება მისი გვარი... ვინც ჩვენი ნათესავი არ არის, იმას კაცად არ ვთვლით, ის უცხოა" (სერგო დანელია). დიდი ეგოიზმი და ინდივიდუალიზმი, დაქსაქსულობა და გათითოკაცება (მაშინ, როდესაც საერთო საფრთხის წინააღმდეგ ცხოველებიც კი ერთიანდებიან).

2. „სკამის" პატივისცემა: მენეჯერობას, „უფროსობის" გარდა სხვა, „შავი" საქმისადმი ამპარტავნული, სნობისტური დამოკიდებულება, რაც ხელს უწყობს არაპროფესიონალიზმის დამკვიდრებას, აბსურდამდე თავმოყვარეობას" და მოშურნეობას. ქართველი მარტო თავის კი არა, სხვის ღირსებას არ უფრთხილდება, რაც იწვევს სამეურნეო ცხოვრების მოუწესრიგებლობას, უპასუხისმგებლობას.

3. „თუ დიდი კაცი გამოგვერია, ისე დავკბინეთ, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები" (კონსტანტინე გამსახურდია). ჩვენთან აქებენ ემოციურს („გულწრფელია") და უნდობლობა ჭკვიანისადმი („რაღაცას მალავს").

კარიერისათვის და სამოქალაქო ცხოვრების წესისათვის იშვიათი უპასუხისმგებლობა, დაბალი საზოგადოებრივი შეგნება, უწესრიგობა.

4. „ყველა ერთი, ყველა ცოტა მეფე, დიდი, ყველა ფილოსოფოსი, ფეხბურთელი და მინისტრი" (ილია ჭავჭავაძე). პიროვნული უპირატესობის განცდა, ცუდმადლიერობა, სიზანტე, აქედან გამომდინარე, ოპორტუნიზმი, „უფროსის" (მთავრობის) იმედი.

ეს მგონია, ნამდვილად საკმარისია...

... ჰოლანდიაში, ჩვენზე ორჯერ ნაკლებ ტერიტორიაზე, სამჯერ მეტი მოსახლეობა ცხოვრობს, ისრაელს კი ჩვენზე სამჯერ ნაკლები ტერიტორია აქვს... თუმცა ქვეყნის 'მეტრიკის' განვითარების ჩვენზე გაცილებით მაღალი მაჩვენებლები აქვს.

რუსთაველის ქვეყანას ეს არ ეკადრება.

როცა **ნიკო ნიკოლაძეს** შეეკითხნენ „რა არის თქვენი ცხოვრების მიზანი?" მან უპასუხა: „**მე ვარ ქართველი და მინდა ვიყო უკეთესი ქართველი**"...

ამით ყველაფერია ნათქვამი.

---

[18] ნაწილობრივ, ამის მიზეზია ის, რომ რამდენიმე საუკუნე ჩვენ წესიერი სახელმწიფოებრიობა არ გვქონია, მაშინ, როდესაც მრავალი ათეული თაობა ევროპელისთვის სახელმწიფო იყო საზოგადოებრივი, წესრიგის, პირადი ქონების და უფლებების დამცველი. უცხო ძალის ბატონობის პირობებში შეუძლებელი გახდა ჩვენი შრომის ნაყოფის, შრომის წესების და ნორმების დაცვა და თაობიდან თაობაში გადაცემა.

[19] ცნობილი გამოთქმაა: გერმანელს, ებრაელს, იაპონელს რომ ასწავლო, უსმენს, ქართველს რომ ასწავლო – სწყინს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. დანელია, ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, 1927წ.
2. სკოლის დირექტორი, №1, 1998წ.
3. თ. შუდრა, მენეჯერი პრობლემების მარწუხებში, მაკრომიკროეკონომიკა, №5, 2007წ.
4. ნ. თეხიანიკოვა, როგორ სახელმწიფო მოხელე თანამდებობას ტოვებს, საქართველოს ეკონომიკა, №5, 2008წ.
5. კ. ბაქრაძე, დაწუნებული გზა, 1995წ.
6. გ.ბანძელაძე, სინდისის ცნება ეთიკაში, 1975წ.
7. В. Франкл, Человек в поисках смысла, 1990 г.
8. Сенека, Нравственные письма к Луцилию, 1986 г.
9. Ю. Рагозин, Фехтование на нервах, 1990 г.
10. Е. Мелибруа, Я – ты – мы, 1986 г.
11. Э. Берн, Игры, которые играют люди, 1992г.
12. Ф. Бурлацкий, Вожди и советники, 1990 г.
13. А.Швейцер, Культура и этика, 1973г.
14. Ю. Рогозин, Секреты общения, 1991 г.
15. Г. Штоль , Генрих Шлиман, 1991 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები საქართველოში



მარიამ ქუთელია

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
მე-4 კურსის სტუდენტი

*აგრარული სექტორის განვითარებას საქართველოს ეკონომიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს მოსახლეობის 46.8% სოფლის მაცხოვრებელია და აწარმოებს მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9.3%-ს. რაც ამ სექტორში არსებული პრობლემებითაა გამოწვეული, რომელთაგანაც აღსანიშნავია: სექტორის უნაყოფობა, აგრო-და ხელვის ხელმისაწვდომობა, ტექნიკის პარკის განახლება, შესაბამისი საგანმანათლებლო ბაზის არ არსებობა, სასოფლო-სამეურნეო მიწების დანაწევრება, ფერმერთა შორის კოოპერაციის ნაკლებობა და ა.შ. ეს და სხვა მრავალი ფაქტორი იწვევს იმას, რომ სოფლის მეურნეობა ვერ და ვერ ხდება კონკურენტუნარიანი. მდგომარეობის გამოსწორებისთვის აუცილებელია სახელმწიფო და სახელმწიფო სექტორების კოორდინირებული მოქმედება. უნდა შემუშავდეს გრძელვადიანი სტრატეგია და მაქსიმალური ძალისხმევა იქნეს მიმართული მის განხორციელებაზე, რათა საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის რეალიზებით მიღწეულ იქნეს მდგრადი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ქვეყანაში.*

სოფლის მეურნეობის განვითარების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის უკვე დიდი ხანია არის საჯარო დისკუსიის ერთ-ერთი მთავარი საკითხი. სოფლიდან დაკავშირებულმა პრობლემებმა და გადასაჭრელმა ამოცანებმა განსაკუთრებით წინა პლანზე წამოიწია წინასაარჩევნო პერიოდში. „ძლიერი სოფლის" შესახებ დაპირებები თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის მთავარ ლოზუნგში ჟღერდა. რეალურად რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში, რა საჭიროებები და პერსპექტივები არსებობს ამ მხრივ, რამდენად მნიშვნელოვანია სოფლის სიძლიერე ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა - მკვლევრებისთვის საინტერესო თემაა.

დავიწყოთ არსებული მდგომარეობის განხილვით. საქართველოს მოსახლეობა 2012 წლის იანვრისთვის შეადგენს 4497,6 ათას ადამიანს, საიდანაც სოფლის მოსახლეობაა 2105,9 ათასი, რაც პროცენტულად შეადგენს მთელი მოსახლეობის 46,8 %-ს. ანუ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლის მაცხოვრებელია. ამ პირობებში, 2011 წლის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ შეადგინა 2 809,0 მილიონი ლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 9,3 %-ია. [7]

2006 წლიდან დღემდე სტატისტიკას შემდეგი სახე აქვს:




დიაგრამა 1: სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 2006-2011 წ.წ.
(წყარო www.geostat.ge )

აქედან გამომდინარე მარტივად დავასკვნით, რომ საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, ანუ მთელი მოსახლეობის ნახევარი გამოიმუშავებს მშპ-ს ზედმეტად მცირე ნაწილს. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის კოორდინატორის ნინო ევგენიძის შეფასებით: "დასაქმებულთა 50% დღეს სოფლის მეურნეობაშია, მათი 17-18% დღეში იღებს 1 აშშ დოლარზე ნაკლებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობა ზედმეტად უმნიშვნელო როლს ასრულებს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში." [1, გვ.7]

2012 წლის მე–2 კვარტლის მონაცემებით ქვეყნის პროდუქციის მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში შეადგენს 9 461.8 მილიონ ლარს. აგრობიზნესის პროდუქციის მთლიანი გამოშვება კი – 1 561,0 მილიონი ლარია, რაც მთელი გამოშვების 16,5 %–ს შეადგენს. 2011 წლის ბოლოს ეს მონაცემი 17,7% იყო. როგორც ვიცით, ტურიზმის განვითარება ბოლო წლების განმავლობაში ეკონომიკური განვითარების მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ტურიზმის წილი შედარებით დაბალი - 7,1%-ია. ამ ფონზე ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ სახელმწიფო ხარჯები, რომლებიც ტურიზმის განვითარებას ხმარდებოდა, მიზანმიმართულად სოფლის მეურნეობის სასარგებლოდ რომ გადანაწილებულიყო, დღეს არსებითად უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, მით უმეტეს, რომ სოფლის მეურნეობის ნორმალურ მდგომარეობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ექსპერტების აზრით, ნებისმიერი ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის მაჩვენებელი მინიმუმ 0,5 უნდა იყოს, მაშინ როცა საქართველოსთვის ის 0,3–0,4 შუალედშია. [2, გვ.5 ] ეს ციფრი კი კრიტიკულ ნიშნულზე დაბალია, ამდენად საფრთხე აშკარაა. მართალია, ტურიზმი უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი, მაგრამ არა ყველაზე პრიორიტეტული, მაშინ როცა საკუთარი სურსათით თვითუზრუნველყოფის დეფიციტს ეხება. ამაზე მეტყველებს არაერთი ქვეყნის მაგალითი.

საქართველოს ექსპორტმა 2011 წელს შეადგინა 2 189,1 მილიონი აშშ დოლარი, იმპორტმა კი – 7 057,8 მილიონი დოლარი. ამ პირობებში საგარეო სავაჭრო სალდო -4868.6 მილიონი აშშ დოლარია. [7] და ეს მონაცემი წინა წლებთან შედარებით მაღალია. იმპორტის ამ დონით სიჭარბე აუცილებლად აყენებს საკითხს იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარების შესახებ. ამ კონტექსტში სოფლის მეურნეობის სექტორის განხილვა აუცილებელია. საქართველოს, ისტორიულად აგრარულ ქვეყანას, შესაბამისი ხელშეწყობის შედეგად აქვს პოტენციალი ჩაანაცვლოს ამ სახის იმპორტი. თუმცა, ეკონომისტების ნაწილი არ ეთანხმება აღნიშნულს. მათი აზრით, სიღარიბის ზღვარზე მყოფი ქვეყნისთვის შიდა მოთხოვნაზე ორიენტაცია გაუმართლებელია და ამდენად ინვესტიციები მიმართული უნდა იყოს საექსპორტო დარგების განვითარებისაკენ. ეს სტრატეგია კი აუცილებელს ხდის არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში წარმოების ზრდის სტიმულირებას, არამედ ნაწარმის რეალიზაციის პროცესების ხელშეწყობას, მარკეტინგული კვლევების ჩატარებას და უცხოურ ბაზარზე საკუთარი სეგმენტის მოპოვების შრომატევადი და ძვირადღირებული ოპერაციების განხორციელებას. ამ ორი განსხვავებული სტრატეგიის შეჯამების შედეგად, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ იმპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ადგილობრივი ნაწარმით ჩანაცვლებას ეკონომიკური გამართლება რომ ჰქონდეს, მას უნდა შეეძლოს კონკურენცია გაუწიოს შემოტანილს არა მხოლოდ ხარისხის და კვებითი ღირებულებითი მახასიათებლების, არამედ, პირველ რიგში, ფასის მიხედვით. ვინაიდან ფასი ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე მოთხოვნის მთავარი განმსაზღვრელია. აგრობიზნესის განვითარებისათვის, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოურ ინვესტიციებსაც. თუმცა, ჯერ-ჯერობით ეს სექტორი საქართველოში ინვესტორებისათვის არამიმზიდველი რჩება (სოფლის მეურნეობაზე მთლიანი უცხოური ნვესტიციების მხოლოდ 1% მოდის). [3, გვ. 129] სამწუხაროდ, უკანასკნელი წლების მანძილზე უცხოურ ინვესტიციებში უცხოელების მიერ მიწების შეძენა იგულისხმებოდა, რაც სულაც არ არის დადებითი მოვლენა. შედარებით სამართლიანი იქნებოდა უცხოელებზე მიწის გრძელვადიანი იჯარით გაცემა. მიწის პრივატიზაციის ის წესი, როგორიც ჩვენთან დღემდე ხორციელდებოდა, ძალიან სახიფათოა ისეთი ქვეყნისთვის, რომლისთვისაც მიწა წარმოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ასევე აუცილებელია აღრიცხვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, განხორციელდეს მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი მონიტორინგი.

საქართველოში სამი ტიპის მეურნეობა შეიძლება გამოვყოთ: 1. მცირემასშტაბიანები, რომლების პროდუქციას მხოლოდ თვითმოხმარებისთვის აწარმოებენ; 2. საშუალო მასშტაბიანები, რომლებიც აწარმოებენ, როგორც

თვითმოხმარებისთვის, ისე ბაზრისთვისაც; 3. მსხვილმასშტაბიანები, რომლებიც პროდუქციას მხოლოდ ბაზრისთვის აწარმოებენ.

ამათგან უდიდეს ნაწილს, 98.4%-ს პირველი ორი ჯგუფი შეადგენს. 2005 წლის ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო მიწების აღწერა და გამოვლინდა, რომ 726 021 პირს აქვს მფლობელობაში მიწა, რომლის საშუალო ფართობია 1,37ჰა. [4; გვ. 11] პატარ-პატარა ნაკვეთები არაეფექტურია წარმოების თვალსაზრისით, წვრილი ფერმერებისთვის ტექნიკის და სამეურნეო ნივთიერების შეძენა არარენტაბელურია. სწორედ აქ იჩენს თავს მთავარი გამოწვევა – კოოპერაციის აუცილებლობა. არაერთი ფაქტორის გამო, გლეხები დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ ძალების კოორდინაციას და წლების განმავლობაში ვერ ხერხდება სოფლის მეურნეობის ნაწარმის აგრობიზნესის პროდუქციად ჩამოყალიბება. ამ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ ის არასასიამოვნო ასოციაცია, რომელიც თანამედროვე კოოპერაციას პოსტსაბჭოთა ფერმერის ცნობიერებაში საბჭოთა კოლმეურნეობებთან აკავშირებს. ასევე, საგადასახადო შეღავათები, [5, მუხლი 206] როგორიცაა მაგალითად 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთის გათავისუფლება გადასახადისგან, რაც უკარგავს მფლობელს მოტივაციას იჯარით გასცეს ან თავად გამოიყენოს მიწის ნაკვეთი, შედეგად დიდი ნაწილი მიწებისა მოცდენილია. ამას ემატება ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირი გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან, თუ წლიური შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს. [5, მუხლი 82] ეს შეღავათი არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე, რაც კიდევ უფრო ამცირებს კოოპერაციების შექმნის მოტივაციას. ამ ფაქტორების ზეგავლენით ვერ ხერხდება აგრობიზნესის ჩამოყალიბება. დღეს გლეხებისთვის მიწა წარმოადგენს არა ბიზნეს საქმიანობის განსახორციელებელ საშუალებას, არამედ ლუკმა პურის წყაროს. შედეგად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი მოსახლეობის ფულად შემოსავლებში მხოლოდ 6%-ია. ამის მიზეზია ის, რომ ძალიან დაბალია შინამეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის დასაქონლიანების დონე-18%. ეს მაჩვენებელი საბჭოთა პერიოდში დაახლოებით 80% იყო. ეკონომისტების აზრით, საბჭოთა პერიოდში – „ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაში" პირადი დამხმარე მეურნეობებში უფრო მეტად იყო ბაზარზე ორიენტირებული, ვიდრე დღეს, საქმე გვაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნატურალიზაციასთან, რაც მისი დეგრადირების maCvenebel ia■. [6, გვ.107]

შედეგად დაქსაქსულ, მცირემიწიან გლეხებს ფინანსური ინსტიტუტები უმეტეს შემთხვევაში უარს ეუბნებიან სესხით დაფინანსებაზე. ამდენად სექტორის არსებობის შემთხვევაშიც კი რადგან გლეხს არ აქვს არც ფინანსური მხარდაჭერა წარმოების წამოწყებისა ან გაფართოებისთვის. თუ გადავხედავთ კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების სტრუქტურას საქმიანობის სახეების მიხედვით, ვნახავთ, რომ 2012 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში სოფლის მეურნეობაზე გაიცა მხოლოდ 11 586 ათასი ლარის ოდენობის თანხა, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. [ 8 ]




დიაგრამა2 : კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით 2012 წლის პირველი 8 თვის მონაცემებით (ათას ლარებში)

წყარო: www.nbg.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრედიტების ხელმისაწვდომობა საერთო სიტუაციის გამოსწორებას შესაძლებელს ხდის. სავარაუდოდ, საკრედიტო ინსტიტუტების ნდობის მოპოვებას ფერმერთა გაერთიანებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ არსებული მდგომარეობის მონიტორინგს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის როლზე განსაკუთრებულად მიუთითებენ და იძლევიან გარკვეულ რეკომენდაციებს. 2012 წლის 21 ივნისს ამერიკის სავაჭრო პალატამ (AmCham), CARE საერთაშორისო კავკასიაში (CIC), ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში (EU), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (SDC) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) გამართეს ერთობლივი კონფერენცია თემაზე „სოფლის განვითარების პერსპექტივები მცირე ფერმერებისთვის". მოხსენებებში სხვა რეკომენდაციებთან ერთად, არაერთმა წარმომადგენელმა სამთავრობო და საკრედიტო სექტორებს მოუწოდა კოოპერაციული პროცესების ხელშეწყობისკენ.

დღეს აგრობიზნესის განვითარება პირდაპირ კავშირშია ინფრასტრუქტურულ განვითარებასთან: მომსახურების ცენტრების შექმნა, ლოგისტიკური სტრუქტურების სრულყოფა, პროდუქციის შენახვის, დახარისხების, ლაბორატორიული კვლევისა და სასაწყობო სტრუქტურების მოწყობა ის აუცილებელი ინფრასტრუქტურული ცვლილებებია, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია სასურველი შედეგის მიღწევა. თავის მხრივ, ზემოთ ნახსენები ცვლილებები მოითხოვს საკმაოდ დიდ ხარჯებს, რომელთა გაწევა სოფლის მეურნეებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ. მნიშვნელოვანი პრობლემაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკის განუვითარებლობა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება წარმოუდგენელია სპეციფიკური ტექნიკის გამოყენების გარეშე, რომლის ხელმისაწვდომობა გლეხისთვის ძალიან დაბალია, პირველ რიგში, მაღალი ღირებულების გამო, რასაც ემატება ისიც, რომ სოფლის საკუთრებაში არსებული ტექნიკა მოძველებულია. სახელმწიფო პროგრამებით შეძენილი ტრაქტორების რაოდენობა კი – არასაკმარისი. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ბიუჯეტში 50 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული სოფლის პირველი რიგის საჭიროებების უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციისთვის, დაგეგმილი იყო ტექნიკის პარკის გაფართოებისა და მექცენტრების მშენებლობა. [ 9 ]

ამორტიზებული ტექნიკური ბაზის არსებობის პირდაპირი შედეგია მწარმოებლურობის დაბალი დონე. ეს მაჩვენებელი 1990-2011 წ.წ. საქართველოში შედარებით მცირდება და დღეისთვის ჩამორჩება არათუ განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს, არამედ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მაჩვენებლებსაც. [3, გვ. 135 ] მწარმოებლურობის დაბალი დონის სხვა მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის მეთოდები, რომლითაც დღეს სოფლებში უმეტესად ხდება მიწის დამუშავება, სასუქების შეტანა და ა.შ. აუცილებელია აგრარული საქმიანობის ტრადიციული მეთოდებიდან მეცნიერულ მეთოდებზე გადასვლა, წარმოების პროცესში ნიადაგმცოდნის, აგრონომის, და სხვა შესაბამისი ცოდნის მქონე სპეციალისტების პოტენციალის გამოყენება. უნდა არსებობდეს ლაბორატორიული ცენტრები და საცდელი (სადემონსტრაციო) ნაკვეთები. როგორც ვხედავთ, აქ დაბრკოლდება შესაბამისი საგანმანათლებლო ბაზის არასრულყოფილების გამო. თუ მომავალში სოფლის მეურნეობის დარგი სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტად იქნება მიჩნეული, აუცილებლად უნდა დაიძლეს აღნიშნული პრობლემის მოგვარების საკითხი.

სხვა ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ დაზღვევის არარსებობაც. მართალია, რამდენიმე კომპანიას გააჩნია აგრარული სადაზღვევო პაკეტი, მაგრამ მას თითქმის ვერავინ იყენებს. [10] სოფლის მეურნეობაში რისკ ფაქტორები მოიცავს როგორც კლიმატურ და ბიოლოგიურ, ასევე ფინანსურ რისკებს, მათი პროგნოზირება საკმაოდ რთულია, თუმცა, როგორც სადაზღვევო კომპანიები აცხადებენ, მთავარი მიზეზი აგრო-დაზღვევის განუვითარებლობისა არის არა მაღალი რისკიანობა, არამედ ის, რომ სოფლის მეურნეობა აგრობიზნესად არ არის ჩამოყალიბებული, ფერმერებს კი არც ბუღალტრული აღრიცხვის და არც დოკუმენტების წარმოების უნარი არ აქვთ, რაც სადაზღვევო ურთიერთობებს აბრკოლებს.

როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული პრობლემები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათ მოგვარებაში უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს როლი. ამისთვის უნდა ჩამოყალიბდეს სტრატეგიული

აგრარული პოლიტიკა, რომელიც არ იქნება მხოლოდ ერთჯერადი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელთაც გრძელვადიანი შედეგი არ აქვთ. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კერძო ინიციატივებს, კრედიტები გახადოს უფრო ხელმისაწვდომი, წაახალისოს კოოპერაციული პროცესები, გააუმჯობესოს შესაბამისი საგანმანათლებლო ბაზა და ყველა არსებული ბერკეტის გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის სრულად ათვისება.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ლალიაშვილი; "იაფი საკვების პროდუქტების ეპოქა დასრულდა", ჟურ. "საქართველოს ეკონომიკა", №3; 2012
2. ქ. ხარაიშვილი; "კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოში", "უნივერსალი", თბილისი; 2009.
3. მ. ტაბატაძე; "ქართული სოფლის აღორძინებისათვის", ჟურ. "ბიზნესი და ეკონომიკა"; N3; 2012.
4. მ. ღვინიაშვილი; "უშედეგო მიწის რეფორმა"; ჟურ. "საქართველოს ეკონომიკა"; №4; 2012.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
6. ი. არჩვაძე; ე. მექვაბიშვილი 'საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები", ჟურ. „ეკონომიკა და ბიზნესი", №6, 2010.
7. www.geostat.ge
8. www.nbg.gov.ge
9. www.maf.ge
10. www.agro.ge


## The Problems of Agricuture in Georgia


**Mariam Kutelia**

**The fourth-year student**
**at I. Javakhishvili Tbilisi State University**
**Faculty of Economics and Business**


Development of agriculture is of vital importance for Georgian economy. Nowadays it faces numerous problems and challenges; there are many things that must be improved. 46,8% of Georgian population lives in rural areas, but it produces only 9,3% of GDP . There are some main reasons causing this, such as lack of motivation to expand production, high interest rates, limited access to credit, lack of development of technology, insufficient knowledge of new production methods. The greatest problem is that lands in agriculture sector are divided into many small peaces. It is important to support the state to promote new technology among them. It is also important to develop agriculture insurance and make it available to take long-term low-rate loans for small farmers. According to most experts, Georgia has a significant agriculture potential, where estimates indicate that both farm production and agro-industrial production could increase from current, depressed levels. A developed agriculture can be an engine to drive economic growth. Growth in agriculture would also have a very positive social impact. Further development of the sector is thus critical in terms of the country's security and stability.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს გზა ევროპული ბაზრისკენ





მარიამ კახიძე
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

თინათინ შენგელია
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

*ევროკავშირის ეკონომიკაში თანმიმდევრულ ინტეგრაციას რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაპირობა უდევს. მათი წარმატებით დაძლევა განაპირობებს მომავალში სავაჭრო ბარიერების შემსუბუქებას, საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას და ქვეყნისთვის მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღებას.*

*საქართველოსთვის ევროპის ბაზარი საინტერესოა, რადგან საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის 1/3 სწორედ ევროკავშირზე მოდის.*

*მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სარგებლობს GSP პრეფერენციებით, ექსპორტის ტენდენცია და მისი შემადგენლობა პრეფერენციების ამ სისტემის ამოქმედების შემდეგ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. როგორც ჩანს, მხოლოდ სატარიფო ბარიერები ევროპის ერთიან ბაზარზე შესვლის უმთავრესი ბარიერი არ არის.*

*დღეისათვის მნიშვნელოვანია, რომ სელექციურად ნათლად ჩამოყალიბდეს არა მხოლოდ სტრატეგია, არამედ ამ სტრატეგიის რეალური განხორციელება დაიწყოს. ეს უპირველეს ყოვლისა ისეთ ინსტიტუციურ რეფორმებს ეხება, რომლებიც უზრუნველყოფენ არასატარიფო ბარიერების მოხსნას და საქართველოს ერთიან ევროპულ ბაზარზე შესვლას.*

*განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სტანდარტიზაციის, ტექნიკური მოთხოვნების, საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციას.*

ევროკავშირი (EU) მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკურ ბლოკს წარმოადგენს, საქართველო კი მცირე მაგრამ დინამიურად განვითარებადი საბაზრო სივრცეა კავკასიის რეგიონში. EU ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის და ქვეყნის მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 31.7% სწორედ ევროკავშირზე მოდის.

ევროკავშირის ბაზრებზე საქართველოში წარმოებული პროდუქციის თავისუფალი შეღწევადობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის, ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი და წინაპირობაა.

დღეისთვის საქართველო ინვესტიციურ შიმშილს განიცდის, მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია,მაღალია უმუშევრობა და სიღარიბე. ინვესტიციების მოზიდვის რეალური ფაქტორი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარება და მსოფლიო ბაზრებზე საკუთარი ნიშის მოძებნაა.

საქართველოსთვის ტრადიციული დიდი ბაზრებიდან, ყველაზე დიდი - რუსეთის ბაზარი საქართველოსთვის დახურულია და უკვე 6 წელია ქვეყანა სხვა ალტერნატიული ბაზრების მოძიების პროცესშია. მსოფლიო ეკონომიკის გადასახედიდან, თვალსაჩინოა, რომ ევროპულ ბაზრებს - ევროკავშირს ალტერნატივა არ გააჩნია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ევროსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ასეთი სურათი იხატება: ევროკავშირის მოსახლეობა 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 502,5 მლნ ადამიანია, 2010 წლის მშპ 16,3 ტრლნ. დოლარი, რაც ერთ სულზე 32 500 დოლარს შეადგენს. საოჯახო მეურნეობების მოხმარებამ 2008 წელს 7,2 ტრლნ. ევრო შეადგინა, დანაზოგები მშპ-ს 11,3%, ხოლო ინვესტიციები კი 18,4%-ია, მაშინ როდესაც აშშ-ს მშპ – 14,7 ტრლნ. დოლარია, ჩინეთის მშპ – 5,9 ტრლნ. დოლარი (ერთ სულზე 4300დოლარი), ინდოეთის მშპ – 1,5 ტრლნ. დოლარი

THE NEW ECONOMIST ახალი ეკონომისტი

რუსეთის მშპ – 1,5 ტრლნ. დოლარი, ხოლო საქართველოს მშპ -11,3 მლრდ. დოლარია.[5]

მხოლოდ ამ ზოგადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გადახედვითაც ცხადია, რომ საქართველოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ყოველმხრივი თანამშრომლობა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA) ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა. იგი თავდაპირველად ათი წლის ვადით იყო მიღებული, თუმცა შემდეგ ყოველ წელს ავტომატურად ერთი წლით გრძელდება. ეს შეთანხმება აუქმებს კვოტებს ვაჭრობის სფეროში და იცავს ინტელექტუალური, სამრეწველო და კომერციული საკუთრების უფლებას.

2003-2004 წლებში ევროკომისიამ შეიმუშავა ევროკავშირის ახალი საგარეო პოლიტიკის მიმართულება – ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP), რომლის მიზანი იყო გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილება და ყველასათვის კეთილდღეობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 2004 წლის 14 ნოემბერს საქართველოც ჩაერთო ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში.[1, გვ. 24]

2005 წლიდან EU-ს სავაჭრო პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ფარგლებში საქართველო მდგრადი განვითარებისა და ეფექტური მმართველობისთვის განსაკუთრებული შეღავათით სარგებლობს და მინიჭებული აქვს ეგრეთ წოდებული GSP+-ს სტატუსი. ეს სტატუსი უადვილებს ქართული წარმოშობის პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე შეღწევას, ვინაიდან 7200 დასახელების პროდუქცია სარგებლობს ნულოვანი საბაჟო განაკვეთით. ამგვარი შეღავათით კი მხოლოდ 14 სხვა ქვეყანა სარგებლობს მსოფლიო მასშტაბით. ამჟამინდელი GSP რეგულაციის მოქმედების ვადა, რომელიც თავდაპირველად 2011 წლის ბოლომდე იყო გათვალისწინებული, 2013 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

მიუხედავად არსებული სატარიფო შეღავათებისა, ამგვარი შეღავათებით საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის მხოლოდ 34 დასახელება სარგებლობს. საქართველო ევროკავშირის ბაზარზე საერთოდ ვერ ახორციელებს ისეთი პროდუქტების ექსპორტს, რომლებიც მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიმართებაში საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტების მნიშვნელოვან წილს შეადგენს.

საქართველოს საექსპორტო საქონელი, რომელიც არ არის ჩართული ევროკავშირთან ვაჭრობაში (2010 წ.)

| კოდი | საქონლის დასახელება | ექსპორტი მსოფლიოსთან (ათასი აშშ დოლარი) |
|---|---|---|
| 0102 | მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ცოცხალი | 15 932.39 |
| 0805 | ციტრუსების ნაყოფი ახალი ან გამხმარი | 12 142.93 |
| 0104 | ცხვრები და თხები ცოცხალი | 7 842.90 |
| 1001 | ხორბალი ან მესლინი | 7 256.89 |
| 0302 | თევზი ახალი ან გაცივებული | 4 113.55 |
| 1005 | სიმინდი | 2650.29 |
| 0701 | კარტოფილი ახალი ან გაცივებული | 1 238.06 |

წყარო: საქსტატი, www.geostat.ge

საქართველო არასრულად იყენებს არსებულ სავაჭრო პოტენციალს. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული პრობლემები არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვისაც იჩენს თავს. ევროკავშირთან ვაჭრობაში მესამე ქვეყნები თუმცა მაქსიმალურად გათავისუფლებულნი არიან სატარიფო ბარიერებისაგან, მათ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები ექმნებათ არასატარიფო ბარიერების დაძლევის პროცესში. ამ შემთხვევაში, არასატარიფო ბარიერებში იგულისხმება ის ტექნიკური (მათ შორის სანიტარული და ფიტოსანიტარული) სტანდარტები, რომლებსაც პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის ბაზარზე მისასვლელად. მათში ასევე მოიაზრება სერტიფიცირებისა და პროდუქციის წარმოშობის მოთხოვნები და სხვა.

ექსპორტიორებისას ევროკავშირი არ აღიარებს ხარისხის სერტიფიკატს და იქ ხელახლა ხდება ლაბორატორიული შემოწმება. შემოწმებას სჭირდება რამდენიმე დღე, რაც განსაკუთრებით ცუდად აისახება მალფუჭებად პროდუქტებზე.

ევროკავშირის ბაზარზე რომ შევიდეს, ქართულმა საექსპორტო საქონელმა ევროპის ან მესამე ქვეყნების საერთაშორისო აღიარების მქონე სასერტიფიკაციო ცენტრებში სერტიფიცირების

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცესი უნდა გაიაროს, საწარმოებში კი ევროკავშირთან ჰარმონიზებული სტანდარტები უნდა დაინერგოს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA) ხშირად არასატარიფო ბარიერების მოხსნაზე აკეთებს აქცენტს. ამ ხელშეკრულების გაფორმებისთვის მოლაპარაკების დასაწყებად, საქართველომ უნდა შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით აქვს აღებული. საქართველოს მოუწევს ევროკავშირის ტიპის რეგულაციების შემოღება (შრომის კოდექსთან მიმართებაში, კონკურენციის რეგულირების სფეროში, სურსათის უვნებლობის სფეროში და ა.შ), რადგანაც ეს ასოცირების ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების ნაწილია. საინტერესოა რამდენად იქნება საქართველოსთვის სარგებლობის მომტანი DCFTA-სთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება.

DCFTA -ს ეკონომიკური, სოციალური, ადამიანის უფლებათა და გარემოსთან დაკავშირებულ გავლენათა შეფასებისთვის ევროკომისიამ დაავალა ecorys-სა (ჰოლანდია) და CASE-ს (პოლონეთი და საქართველო) განეხორციელებინათ კვლევა ამ განხრით. კვლევის მიხედვით, მოკლევადიან პერსპექტივაში DCFTA-სთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება გამოიწვევს დანახარჯებს როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციისთვის, ასევე კერძო სექტორისთვის. მეორეს მხრივ, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ხელშეკრულება დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს. ექსპერტების შეფასებით, DCFTA-ის გაფორმებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი 2.3 მლრ. აშშ დოლარიდან (2008 წ.) გაიზრდება 11.36 მლრ-მდე (2020 წ.) და ასევე გაიზრდება საქართველოს ექსპორტი 13.3%-ით ყოველ ხუთ წელიწადში.[1,გვ.21]

კვლევის მიხედვითაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეთა მყიდველობითი უნარი გაიზრდება, რადგან ნავარაუდებია ხელფასების 3.7 %-ით ზრდა და სამომხმარებლო ფასების 0.6 %-ით შემცირება. თუმცა, სურსათზე ფასის მატებაა მოსალოდნელი. აქედან გამომდინარე, ზემოთხსენებულ შეთანხმებას ქვეყნისთვის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ეფექტი ექნება, რადგან მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი კატეგორია, რომელიც შემოსავლის დიდ ნაწილს სწორედ საკვებზე ხარჯავს, ამ ცვლილებების შედეგად ნაკლებ სარგებელს მიიღებს, რაც შემოსავლების უთანასწორობის ზრდას გამოიწვევს.[2]

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) თაობაზე ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებათა მოსამზადებელი ეტაპი 2008 წლის ოქტომბერში დაიწყო, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის საბჭომ დაავალა ევროკომისიას, შეეფასებინა საქართველოს მზადყოფნა ამ მოლაპარაკებათა დასაწყებად. 2009 წლის მარტში ევროკომისიამ დაასრულა და ქართულ მხარეს გადასცა DCFTA-ის მოლაპარაკებებისათვის საქართველოს მზადყოფნის შეფასების დოკუმენტი და მისგან გამომდინარე რეკომენდაციების პაკეტი. შეფასების დოკუმენტმა და შესაბამისმა რეკომენდაციებმა თავდაპირველად 11 სფერო მოიცვა, მაგრამ 2010 წლის დასაწყისისთვის გამოიკვეთა 4 საკვანძო სფერო, რომელთაც ევროკავშირი DCFT -ის მოლაპარაკებების დასაწყებად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს:

- ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები;
- სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლი;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები
- კონკურენციის პოლიტიკა.

ევროპის კავშირის მიერ წამოყენებული პირობები ძალიან მომთხოვნი და შესასრულებლად რთულია ევროკავშირის ზოგიერთი წევრისთვისაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ გაცილებით მცირე ეკონომიკის მქონე საქართველოზე.

"ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს" ვიცე-პრეზიდენტის გია ჯანდიერის განცხადებით, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება დიდ ზიანს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას. სანიმუშოდ გია ჯანდიერი საკვების უვნებლობის შესახებ საუბრობს:

„რომელსაც ობიექტი ეწოდება, ვთქვათ, მაწონი ან ხორცი, ამას უნდა ჰქონდეს სრულყოფილი ისტორია, რომ ეს ძროხა სად ცხოვრობდა, სად დაიკლა და ვინ ჩამოიტანა და რამდენი დღის არის.. ამისთვის უნდა გაკონტროლდეს დაახლოებით 600 ათასი ოჯახი, რომელიც ცხოვრობს სოფლად. თითოეულს ჰყავს ხან ორი ძროხა, ხან ხუთი ღორი, სამი ქათამი და ასე შემდეგ. ლაპარაკია, რომ ყველა ეს ცხოველი უნდა გაკონტროლდეს. მაგრამ როგორ, ამაზე წარმოდგენა არავის აქვს."

გია ჯანდიერის განცხადებით, ასეთი კონტროლი საქართველოს დაახლოებით 700 მილიონი ლარი დაუჯდება. ამდენივე თანხა გახდება საჭირო სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად, რადგან მათთვის ხელმისაწვდომი იაფფასიანი სურსათი, რომელიც ბაზარში, გარე

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო ობიექტებში თუ მცირე ზომის მაღაზიებში იყიდება, უბრალოდ, სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო აკრძალება.

ექსპერტთა დასკვნით, ამ ეტაპზე სურსათის უვნებლობის მოთხოვნის დაკმაყოფილება მინიმუმამდე შეამცირებს სურსათის სფეროში მომუშავე საწარმოების რიცხვსაც, რაც უმუშევრობის ზრდას და ეკონომიკის შემცირებას განაპირობებს. კონტროლის მექანიზმების გამკაცრება-გაფართოებასთან ერთად აქტუალური ხდება კორუფციის ზრდის პრობლემატიკაც. [3]

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება (DCFTA) თავის მხრივ, ქმნის უპირატეს შესაძლებლობებს:

• საქონლისა და მომსახურებისათვის ახალი ბაზრების გახსნით;

• გაზრდილი საინვესტიციო შესაძლებლობებით;

• ვაჭრობის პროცესის გაიაფებით - ყველა მომსახურების ვალდებულებათა მოხსნით;

• ვაჭრობის პროცესის დაჩქარებით - საერთო ნორმების დაწესებით ტექნიკურ და სანიტარულსტანდარტებზე;

• სავაჭრო პოლიტიკის უფრო განჭვრეტადობით - საერთო რეგულირებათა მექანიზმების შემოღებით ვაჭრობაზე გავლენის მომხდენ სფეროებში: ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, კონკურენციისნორმები და სავაჭრო შესყიდვების გადაწყვეტილებათა ნორმა-პროგრამა. თუმცა, სანამ შეთანხმება მიიღწევდეს, საქართველოს მოსაწესრიგებელი აქვს მთელი რიგი სავაჭრო საკითხები.

საქართველოს მთავრობამ, მართალია, დაამტკიცა ევროკომისიის რეკომენდაციების შესაბამისი სამოქმედო პროგრამა და სტრატეგია, მაგრამ ვერ შეძლო ევროკომისიისთვის საკმარისად დამაჯერებელი ნაბიჯების დემონსტრირება ინსტიტუციური მოწყობის ნაწილში მათი განხორციელების მიმართულებით. აუცილებელია ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების სფეროში, უფრო ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა ინსტიტუციური ცვლილებების მიმართულებით; უწინარესად, სტანდარტიზაციის, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ქმედუნარიანობის გაძლიერების კუთხით.

იმისთვის, რომ მომზადდეს DFTA-ის მოლაპარაკებების ეტაპი საჭიროა მთავრობამ გადადგას შემდეგი ნაბიჯები: აჩვენოს გარკვეული პროგრესი სურსათის უვნებლობის კონტროლის რეალური მექანიზმების დანერგვის მიმართ; გააძლიეროს საინფორმაციო კამპანიები განსაკუთრებით რეგიონებში კანონმდებლობის მოთხოვნათა შესახებ ინფორმირების მიზნით; გაზარდოს სურსათის უვნებლობის სამსახურის შესაძლებლობები (ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები); გააძლიეროს სურსათის უვნებლობის ლაბორატორიები; უზრუნველყოს პოლიტიკის შემუშავების გამჭვირვალობა და ამ პროცესში ბიზნეს წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების მეტი ჩართულობა.

იმისთვის, რომ ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების ჩატარება; არსებული მდგომარეობის სიღრმისეული კვლევა და მისი ანალიზი. კონკურენციის პოლიტიკის სფეროს გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: ეფექტიანი საგამოძიებო სისტემის შექმნა; ეფექტიანი კონკურენციის კანონის შემუშავება, ანტიტრესტული რეგულირების ჩართვა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მმოქმედებაში მოყვანა;

ქართული ოცნების" განცხადებით, ახალი მთავრობა რეალურად იმოქმედებს იმისთვის, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს და ამერიკა–ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმდეს. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული კოალიციის ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი "კომერსანტთან" საუბარში აცხადებს, რომ ხელისუფლება აქამდე მხოლოდ ფორმალურად უდგებოდა ამ საკითხს, რადგან რეალურად კანონმდებლობის მიხედვით მათ მოთხოვნებს არ ასრულებდა. ნიდარ ხაღური ასეთ საკითხებად შრომის კოდექსს, ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასა და ხარისხის კონტროლს ასახელებს. მისი თქმით, შრომის კანონმდებლობა და ანტიმონოპოლიური სამსახური ევროპულ სტანდარტებს დაექვემდებარება, ამოქმედდება ხარისხის კონტროლი და ამით რეალურად მოხდება ევროკავშირსა და ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. [4]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებული ლიტერატურა:

1."აღმოსავლეთ პარტნიორობა" და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, თბილისი, 2011

2. თეა გურგენიძე, "ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა შემოსავლების უთანასწორობას გაზრდის" "Georgian Business and Political Insight http://www.bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=5353%3A2012-06-14-12-12-16&catid=936%3A2011-11-06-17-06-59&lang=ka

3. კახა მჭედლიძე, ხატია რადიო თავისუფლებაში "ევროკავშირი საქართველოსთან სავაჭრო მოლაპარაკებებს აჩქარებს" http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2328766.html

4. რადიო კომერსანტი: http://commersant.ge/index.php?id=11836

5. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, www.imf.org; მსოფლიო ბანკი, www.worldbank.org; ევროსტატი, www.epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/product_details/publication?p_product_code=CH_01_2010_XLSwww.mfa.gov.ge

6. www.geostat.ge

7. http://eu-integration.gov.ge/index.php?que=geo/georgia_and_the_eu/georgia_and_eu_partnershiTp

## Georgian Path owards the European Market

**Mariam Kakhidze**
**The fourth-year student**
of the Faculty of Economics and Business at Tbilisi State University
**Tinatin Shengelia**
**The fourth-year student**
of the Faculty of Economics and Business at Tbilisi State University

While successive process of integration in the European Union Economy there are some important conditions to conform to. The accomplishment of the requirements will enable the reduction of barriers, intensifying the business relationship and gain of more benefits for the country's economy.

The European market is extremely important to Georgia, as the one third of its foreign relations is relatec to the Europian Union.

Despite the fact that Georgia benefits from the EU's Generalized System of Preferences (GSP), the structure of export hasn't changed significantly. Apparently the non-tariff barriers play immensely more important role.

It is crucial that the government not only formulate the strategies but also translate it into reality and make the step forward to European integration. It is mainly concerned to the Institutional reforms which provide removal of all the non-tariff barriers to entry in European market for Georgia.

The process of standardization, the issue of technical requirements and harmonization of customs legislation are of great importance.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბირჟის ჩამოყალიბების ისტორია საქართველოში



ბერიკა წიბნაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

*აღნიშნულ სტატიაში განხილულია საქართველოში საფონდო ბირჟის წარმოშობა, განვითარება და ამჟამინდელი მდგომარეობა. ჩამოყალიბებულია მისი მოქმედების წესები და მეთოდები. ასევე მოყვანილია და შედარებულია საქართველოს საფონდო ბირჟის ვაჭრობის რაოდენობრივი მონაცემები 2011 და 2012 წლის მდგომარეობით. ხაზგასმულია შემუშავდეს კანონი, რომელიც გამჭვირვალეს გახდის საფონდო ბირჟაზე დადებულ ფიქსირებულ გარიგებას და უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს შესაძლებლობას მთელის მონაწილეობა საფონდო ბირჟაზე მიმდინარე ვაჭრობაში. ასევე სსბ-ს სრულყოფისთვის აუცილებელია მარეგულირებელი ორგანოების სრულყოფა, რათა სსბ მიუახლოვდეს და გაუტოლდეს საერთაშორისო სტანდარტებს.*

სახელწოდება "ბირჟა" წარმოდგება ლათინური სიტყვისგან "burse", რაც ნიშნავს საფულეს, კოშელოკის სადარის. მის წარმოშობას უკავშირებენ ქალაქ ბრიუგეში არსებულ de burse-ს მოედანს, სადაც ხშირად ხვდებოდნენ ვაჭრები და იდებოდა სავაჭრო გარიგებები.

პირველი საერთაშორისო ბირჟა ჩამოყალიბდა 1531 წელს ანტვერპენში, რომლის შენობაზეც იყო წარწერა: "ყველა ერისა და ენის სავაჭრო სარგებლისთვის." მე–16 საუკუნეში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა გავრცელდა ევროპის არაერთ ქვეყანაში. მე–18 საუკუნეში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ცენტრი გახდა ლონდონის ბირჟა, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც საფონდო ბირჟა. ბირჟების განვითარება დაიწყო აშშ-შიც, კერძოდ ნიუიორკში "უოლსტრიტ" ბაზრობაზე პირველი ვაჭრობა გარიგება დაიდო ხორბლის მიწოდებაზე. 1730 წელს. რუსეთის პირველი ბირჟა დაარსდა 1703 წელს, იმპერატორ პეტრე პირველის თაოსნობით.

საქართველოში პირველი ბირჟები შეიქმნა XX საუკუნის დასაწყისში. თუმცა მნიშვნელოვანი განვითარება ვერ შეძლო გასაბჭოების გამო. საბირჟო საქმიანობის მეორე გამოცოცხლება საქართველოში XX საუკუნის 90–იანი წლებში დაიწყო, რომელიც ორ ეტაპს მოიცავს: პირველი ეტაპი (1991–1993წწ) შეიძლება დახასიათდეს, როგორც "საბირჟო ბუმი" და უკავშირდება მთელ საბჭოთა სივრცეში კერძო მეწარმეების გაჩენასა და განვითარებას. მეორე ეტაპი (1995–1996წწ) უკავშირდება საქართველოში პრივატიზაციის პროცესის დაწყებას და ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველი ელემენტების გაჩენას.

პირველი ბირჟების შექმნის ინიციატივა საქართველოში ხელში აიღეს საშუამავლო და საბანკო ბიზნესში დაინტერესებულმა სამეწარმეო ჯგუფებმა, რომლებმაც ჩამოაყალიბეს "კავკასიის ბირჟა". ბირჟების სიცოცხლისუნარიანობამ და მომგებიანობამ ცალკეულ მეწარმეთა ჯგუფებს აღუძრა სურვილი ბირჟების შექმნის გზით დაიპატრონებოდნენ რეგიონალურ ბაზრებს, რის გამოც მალე საქართველოში ბირჟების რაოდენობამ 20–ს გადააჭარბა. ახალი ტენდენცია ეკონომიკური თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელი იყო, რაც იმ დროისათვის საქართველოში სამეწარმეო რეგულირების კანონის არარსებობით აიხსნება. ბირჟების სიმრავლის გამო ძალიან გაიზარდა კონკურენცია, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა თითოეული მათგანის შემოსავალი, რომელიც კი მთლიანად მათ საკუთრებაში არსებული საბროკერო კომპანიების შემოსავლით განისაზღვრებოდა. თუმცა კონკურენციის მაღალი დონის გამო ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამიტომ ბირჟები დადგნენ არჩევანის წინაშე–ან უარი ეთქვათ საბირჟო საქმიანობაზე და გარდაქმნილიყვნენ კომერციულ ფირმებად, ან უნდა გარდაქმნილიყვნენ არამომგებიან, უფლებრივად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციებთ, რომლებიც მთელ შემოსავლებს საბირჟო ოპერაციების წარსამართად გამოიყენებდნენ.

"კავკასიის ბირჟა" პირველი იყო, რომელიც გარდაიქმნა არამომგებიან, უდივიდენდო ორგანიზაციად. 1991–1993 წწ-ში მხოლოდ ამ ბირჟაზე ტარდებოდა რეგულარულად საბირჟო ვაჭრობები, ამიტომ საქართველოში საბირჟო საქმიანობის განვითარების პირველი ეტაპი სწორედ მასთანაა დაკავშირებული. "კავკასიის ბირჟის" წარმატება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

- პირველი თავისებურება იყო "კავკასიის ბირჟის" შექმნამდე საქართველოში იურიდიული საბროკერო ფირმების არარსებობა. როგორც წესი საბროკერო კომპანიების აქტიური ოპერაციები წინ უსწრებს ბირჟის ჩამოყალიბებას, საქართველოში კი ეს წესი დაირღვა;
- მეორე თავისებურებას წარმოადგენდა "კავკასიის ბირჟასთან" საბროკერო ფირმების საქმიანობის ხელშემწყობი სტრუქტურების ჩამოყალიბება და ეფექტური ფუნქციონირება. ამ მხრივ აღსანიშნავია "საბირჟო ბანკი", რომელიც ასრულებდა საბირჟო ოპერაციების დროს საბროკერო ფირმებისათვის ერთიანი საანგარიშსწორებო ცენტრის მოვალეობას;
- მესამე თავისებურება იყო საბროკერო ფირმების აქტიური მონაწილეობა "კავკასიის ბირჟის" ვაჭრობის წესების შექმნასა და სრულყოფაში;
- მეოთხე და ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა 1992 წელს "კავკასიის ბირჟაზე" სასაქონლო სექციის პარალელურად საფონდო სექციის ამოქმედება, რამაც საფუძველი ჩაუყარა "კავკასიის ბირჟის" გარდაქმნას პირველ ორგანიზებულ ბაზრად საქართველოში, რომელზეც ვაჭრობა მიმდინარეობდა აქციებით, ობლიგაციებით და სხვადასხვა ფასიანი ქაღალდებით. ამ პერიოდში "კავკასიის ბირჟაზე" კოტირდებოდა: "კავკასიის ბანკის", "ინტერბანკის", "ივერობანკის", ბანკი "ქართულის", კონცერნი "პერმესის" და სხვა კომპანიათა ფასიანი ქაღალდები.

"კავკასიის ბირჟაზე" 1992 წლის დაიწყო საკრედიტო რესურსებითა და უცხოური ვალუტით ვაჭრობა. საკრედიტო რესურსებით ვაჭრობამ ვერ მოიკიდა ფეხი მარეგულირებელი კანონისა და რესურსების უკან დაბრუნების გარანტიის არარსებობის გამო, ხოლო უცხოური ვალუტით ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაძლიერდა და საქართველო უცხოური ვალუტის კოტირების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებებმა და ქვეყანაში სოციალური და კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესებამ ეკონომიკის ყველა სფეროს დიდი ზარალი მიაყენა. პარალიზებული აღმოჩნდა სამეწარმეო დარგების უმეტესობა, ბევრმა მეწარმეებმა, მათ შორის საბროკერო ფირმებმაც საქმიანობა გაიტანეს საქართველოს საზღვრებს გარეთ ან გადავიდნენ ე.წ. "შავ ბაზრებზე", ცივილიზებული ბიზნესი ფაქტიურად ჩაკვდა ქვეყანაში. "კავკასიის ბირჟაზე" მუშაობას განაგრძობდა მხოლოდ სასაქონლო სექცია, სავალუტო სექციამ კი ფუნქციონირება შეწყვიტა მისთვის ლიცენზიის ჩამორთმევის შედეგად. საფონდო სექცია ვეღარ ვითარდებოდა, რადგან ისედაც მცირე ფასიანი ქაღალდების ბაზარი კიდევ მეტად შემცირდა. ამ პერიოდში ამოქმედდა "თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟა", თუმცა მან მდგომარეობის გამოსწორება ვერ მოახერხა, რადგან მისი უმთავრესი ამოცანა იყო ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია.

საქართველოში საბირჟო საქმიანობის მეორე ეტაპი უკავშირდება ხელისუფლების მიერ ეკონომიკური სტაბილიზაციის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს და პრივატიზაციის პროცესის დაწყებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახმარებით შეჩერდა ინფლაცია, აგრეთვე შემოღებული იქნა ახალი ქართული ეროვნული ვალუტა –"ლარი". გამოუშვეს პირველად დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები –"საპრივატიზაციო ბარათები". ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებული იქნა ორგანიზაციული ბაზრის რეგულირების დებულებები, რომელთა შორის აღსანიშნავია "კანონი მეწარმეთა საქმიანობის შესახებ", რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საქართველოს ორგანიზებული საფონდო ბირჟა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბირჟა", "თბილისის საფონდო ბირჟა" და "საქართველოს მთავარი საფონდო ბირჟა". საქართველოს ბირჟებზე დაიწყო ვაჭრობის ახალი ფორმები, 1995 წელს "კავკასიის ბირჟაზე" მომზადდა და ჩატარდა ფიუჩერსული კონტრაქტებით ვაჭრობა. მნიშვნელოვნად შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება ბირჟებისადმი, რაც გამოიხატებოდა საბირჟო ვაჭრობის წესების დადგენასა და კონკრეტული ბირჟების მხარდაჭერაში.[1, გვ 3–14]

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სასაქონლო ბირჟა.** დღეს საქართველოში მოქმედებს ერთადერთი სასაქონლო ბირჟა და ეს არის "საქართველოს სასაქონლო ბირჟა". "საქართველოს სასაქონლო ბირჟა" არის ერთადერთი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში, რომელიც ჩამოყალიბდა USAID-ის დახმარებით და მოქმედებს ამერიკელი ექსპერტების დახმარებით შემუშავებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში, პასუხობს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკის საბაზისო მოთხოვნებს. იგი სთავაზობს ეფექტურ საინვესტიციო მექანიზმს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორებს. სსბ-ს ელექტრონული სავაჭრო სისტემა ბროკერებს ათასობით სხვადასხვა ფასიანი ქაღალდით ვაჭრობის შესაძლებლობას აძლევს სამუშაო ადგილებიდან, რომელიც განლაგებულია როგორც სსბ-ის სავაჭრო დარბაზში, ისე დისტანციური წვდომის დახმარებით– საბროკერო კომპანიათა ოფისებში. 2012 წლის 1 აგვისტოს მონაცემებით 133 კომპანიის ფასიანი ქაღალდია დაშვებული სსბ–ს სავაჭრო სისტემაში, რომელთა სრულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ მიაღწია 0.86 მილიარდ დოლარს, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 4.29 ათასი ლარი. [3]

"საქართველოს სასაქონლო ბირჟის" საბაზრო პროცესების რეგულირებასა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. სსბ საკუთარ საბირჟო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონით "მეწარმეთა შესახებ" და კანონით "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ". თავისი სტატუსით სააქციო საზოგადოება "საქართველოს სასაქონლო ბირჟა" არის იურიდიული პირი, რომელსაც უფლება აქვს საწესდებო ამოცანების შესასრულებლად შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. მას გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საქართველოს და უცხოურ ბანკებში, ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა. ბირჟის საქმიანობის ძირითადი მიზანი არის საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, საერთაშორისო სტანდარტების სავაჭრო მექანიზმის შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ბირჟის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 30000 ლარს, რომელიც დაყოფილია 3 მილიონ აქციად, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 0.01 ლარს [3].

„საქართველოს სასაქონლო ბირჟის" უმაღლესი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში. აქციონერთა საერთო კრების მიერ ხდება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა, რომელიც 2 წევრისგან შედგება და 4 წლის ვადით აირჩევა. მისი სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ, რომელზეც გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. ბირჟის საქმიანობის მართვა ევალება გენერალურ დირექტორსა და დირექტორებს, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. ბირჟასთან მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს, რეკომენდაციებს აძლევს და გადასცემს სამეთვალყურეო საბჭოს.

**ვაჭრობა საქართველოს სასაქონლო ბირჟაზე.** "საქართველოს სასაქონლო ბირჟაზე" ფასიანი ქაღალდებით დადებული ყოველი გარიგება აღრიცხვა ხდება "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის შესაბამისად. თუ გარიგება განხორციელდა ბროკერის მეშვეობით, ეს უკანასკნელი ვალდებულია გარიგების დადებიდან მეორე სამუშაო დღის ბოლომდე მოახდინოს ფასიანი ქაღალდების მოცულობისა და ფასის დაფიქსირება კანონის შესაბამისად. ამ შემთხვევაში თუ გარიგება შემსრულებლის გარეშე განხორციელდა, ფასიანი ქაღალდების მოცულობისა და ფასის დაფიქსირებას ახდენს რეგისტრატორი. სსბ–ზე ამ დროისათვის ფუნქციონირებენ შემდეგი რეგისტრატორები: "კავკასრეესტრი" და "თბილისის რეესტრი". რაც შეეხება საბროკერო ფირმებს, მათი რიცხვი შვიდს აღწევს დღევანდელი მონაცემებით: სს "ბი ჯი კაპიტალი", შპს "თიბისი ბროკერი", შპს "კავკასიის ფაინენშიალ სერვისი", სს "კავკასიის კაპიტალ ჯგუფი", შპს "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი+", შპს "ქართუ ბროკერი" და შპს "ლიბერთი სეკურითიზ".

საქართველოს სასაქონლო ბირჟაზე გამყიდველი უხდის მომსახურების გასამრჯელოს ბირჟას, რომლის სიდიდე განისაზღვრება სპეციალური ფორმულების მეშვეობით:

| | | |
|---|---|---|
| როდესაც | $P < P_0 - 0.03 \cdot P$ | $R_p = v \cdot (P - P_0)$ |
| როდესაც | $P \geq P_0 - 0.03 \cdot P$ | $R_p = 0.03 \cdot P \cdot v$ |

[2]

მოცემულ ცხრილში ასახულია ბირჟისათვის მომხმარებლის გასამრჯელოს სიდიდის განსაზღვრის ფორმულები, სადაც: $P_1$–არის ერთი აქციის ფასი; O-არის გარიგების დროს არსებული ერთი აქციის ფასი; V-არის გარიგების მოცულობა; $R_p$–არის გამყიდველის გადასახდელი ბირჟის კუთვნილი მომსახურების გასამრჯელო.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობაში ჩაშვებული ფასიანი ქაღალდებისთვის ხდება ფასთა დერეფნის დაწესება. ყოველი ახალი სესიისთვის ფასთა დერეფანი აითვლება ფასიანი ქაღალდების პრიორიტეტული ფასიდან, კერძოდ თუ პრიორიტეტული ფასია და განაცხადის ფასი, მაშინ უნდა დაკმაყოფილდეს პირობები:

- შესყიდვის განაცხადის ფასისთვის – P<(1+a)*PP
- გაყიდვის განაცხადის ფასისთვის – P>(1+a)*PP

მოცემულ ფორმულებში a–არის დერეფნის სიდიდე, რომელიც შეიძლება იყოს განსხვავებული ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა ჯგუფისთვის.

„საქართველოს საფონდო ბირჟაზე" ვაჭრობა ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დადებას და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვას. ბირჟის მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება სპეციალურად გამოთვლილი ინდექსი–GSX ინდექსი, რომელიც არის ბირჟის სავაჭრო სისტემის ოფიციალური ინდიკატორი და რომლის გაანგარიშება ხდება ინდექსის ბაზის საფუძველზე, რომელიც შედგება სავაჭრო სისტემის ლისტინგში დაშვებული ფასიანი ქაღალდებისგან. GSX-ის გაანგარიშება ხდება აშშ დოლარებში. მოცემული ინდექსი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ბირჟის მდგომარეობის შესაფასებლად, ამიტომ მის გამოთვლას ახორციელებენ როგორც ყოველი წლის, ასევე ყოველი თვის ბოლოს და გამოთვლების საფუძველზე აგებენ შესაბამის გრაფიკებს, რომლებიც ასახავს GSX ინდექსის დინამიკას დროში:



[3]

მოცემულ გრაფიკზე ასახულია GSX ინდექსის ცვალებადობა ბოლო ერთი თვის მანძილზე: ნოემბრის თვის დასაწყისში მისი მნიშვნელობა უტოლდებოდა 92.05 ერთეულს და ეს მნიშვნელობა ნარჩუნდებოდა დაახლოებით ერთი 1 კვირის მანძილზე, ხოლო ნოემბრის 7 რიცხვისთვის მისი მნიშვნელობა მკვეთრად დაეცა ჯერ 85.33-მდე, ხოლო 9 ნოემბერს კი 75.26-მდე შემცირდა. ასეთი დინამიკა იყო შენარჩუნებული 20 ნოემბრამდე, ხოლო 21 ნოემბერს მისი მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა 81.31 ერთეულამდე, თვის ბოლოს კი მისი მნიშვნელობა 83.98 უტოლდებოდა. ასეთი ცვლილებები შეიძლება აეხსნათ საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის გარკვეულწილად შემცირებით, რის ერთ-ერთი მიზეზიც ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენები შეიძლება მივიჩნიოთ.

დეკემბრის თვის დასაწყისში GSX მნიშვნელობა კვლავ დაეცა და 18 დეკემბრის მონაცემებით 74 ერთეულს გაუტოლდა.

GSX–ის დინამიკის შესახებ უფრო ნათელი სურათის შესაქმნელად აგებენ მის წლიურ გამოთვლებს და შესაბამისი გრაფიკის აგებით ახდენენ მის შესწავლას.



[3]

GSX ინდექსის წლიური ანგარიშით უფრო ნათლად ჩანს რამდენად ცვალებადი და დინამიკურია ეს მაჩვენებელი, რაც ბაზარზე მიმდინარე ვაჭრობის არასტაბილურობაზე მეტყველებს. გრაფიკზე ნათლად ჩანს რომ გარკვეული თვეების განმავლობაში ინდექსი

მკვეთრად იზრდება და შემდეგ მკვეთრად ეცემა, რაც საფონდო ბირჟის მონაწილეებს აიძულებს, რომ ფაქტობისას მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა გამოიჩინონ.

ბოლო წლებში სსბ-მ განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ განვითარების პროცესი კვლავაც აქტიურად გრძელდება. ამის დასტურად, შეგვიძლია განვიხილოთ სსბ-ს ბოლო ორი წლის მონაცემების რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე:

**სესია № 1275 - 1309/ 2011 წლის 1 თებერვალი - 1 მაისი 2011 წელი**

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | წილი % | [illegible] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სს "საქართველოს ბანკი" | BANK | 0,032 | 3695779 | 138 662 | 3113923609 | 100865051 | **0,119** | 0,141 | 0,01 |
| სს "[illegible] ბანკი" | GEB | 33,166 | 22 660 | 751 538 | 43 308 125 | [illegible] | **0,052** | 67,00 | 0,500 |
| სს "[illegible]" | GTC | 0,170 | 15 165 | 2 578 | 60 995 844 | [illegible] | **0,025** | 3,10 | 0,050 |
| სს "[illegible]" | NRGY | 1,400 | 8 531 | 11 613 | 70 000 000 | 97996718 | **0,012** | 1,74 | 0,167 |
| სს "საქწყალპროექტი" | STSP | 8,403 | 910 | 7 647 | 392 139 | 3295260 | **0,232** | 14,20 | 0,850 |
| სს "თბილაერმშენი" | TABR | 1,500 | 58 892 | 88 338 | 2 431 676 | 3647505 | **2,422** | 1,50 | 0,010 |
| სს "[illegible]" | UTC | 0,145 | 1 150 | 167 | 103 256 684 | 14981762 | **0,001** | 2,138 | 0,170 |
| სს "[illegible]" | WINE | 0,183 | 90 773 | 16 655 | 53 457 760 | 9808412 | **0,170** | 1,420 | 0,070 |
| *სულ* | | | 3 891 860 | 997 528 | | | | | |

2011წლის აპრილსა და მაისში მთლიანად დაიდო დაახლოებით 298 გარიგება, ჯამურმა ბრუნვამ შეადგინა 3891860 აქცია, ხოლო ფულადმა ბრუნვამ შეადგინა 997528 ლარი. აქციების ბრუნვის აბსოლუტური უმრავლესობა (95%) ლიბერთი ბანკზე მოდის, ფულადი ბრუნვის მხრივ ლიდერობდა "საქართველოს ბანკი" , მისმა ბრუნვამ შეადგინა მთლიანი ბრუნვის 75%. რაც შეეხება წილობრივ გასხვისებას, ამ მხრივ ლიდერობდა სს "თბილაერმშენი (ცისარტყელა)", რომელმაც გაასხვისა აქციების 2,422%. სსბ-ზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა შეიძლება როგორც საბირჟო სესიებზე, ისე გარესაბირჟო ფიქსინგის მეშვეობით.

გარესაბირჟო ფიქსინგით გასული პერიოდის განმავლობაში დაიდო 72 გარიგება, გასხვისდა 27133707 აქცია, ხოლო თანხობრივმა ბრუნვამ შეადგინა 2677127 ლარი. გარიგებებს შორის აღსანიშნავია სს " თბილაერმშენი (ცისარტყელას)" აქციების ფასი. თუ ბირჟის სავაჭრო სისტემაში გასხვისდა 58892 აქცია და თითო 1.5 ლარად, ამავე პერიოდში ბირჟის გარეთ გასხვისდა 8891 აქცია და თითო 0.3 ლარად, უცნობია 500%-იანი ფასდაკლება რის გამო მოხდა. ასევე შედარებით დაბალ ფასად გასხვისდა სს "საქტრანსპროექტი მწვანე ოფისი"- 10.5 ლარი თითო აქცია,რომელიც რეალური ფასწარმოქმნით გაცილებით მეტი ღირს. ანალოგიური ვითარებაა სს "საქწყალპროექტის" აქციაზე-დაფიქსირებული ფასია 3 და 4 ლარი ერთ აქციაზე, რაც ბირჟაზე დადებულ გარიგებებს 2-ჯერ ჩამორჩება(8.403 საშუალო ფასი). ანალოგიური სურათია დაფიქსირებული სს "ბაკურიანი სამყარო"- მიმოქცევაში გამოშვებულია 5402 აქცია და არსებული ფასწარმოქმნით გამოდის, რომ სადგურის მიმდებარე ეს შენობა და მიწა ღირს რაღაც 650000 ლარი ღირს.

2012 წლის 1 იანვრიდან 1 მარტამდე საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაიდო 145 გარიგება, ჯამურმა ბრუნვამ შეადგინა 1454099 აქცია შეადგინა, ხოლო ფულადმა ბრუნვამ 304871 ლარი შეადგინა. აქციების აბსოლუტური უმრავლესობა წინა წლის მსგავსად „ლიბერთი ბანკზე" მოდის (99%), კვლავ შეინიშნება ფასის კლება (0.014-0.017 ლარის ფარგლებში). ფულადი ბრუნვის მხრივ კი კვლავ "საქართველოს ბანკი" ლიდერობს(85%),რომლის ფასი 20 ლარის დიაპაზონშია მოქცეული:

**სესია № 1275 - 1309/ 2012 წლის 1 იანვარი - 1 მარტი**

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სს "საქართველოს ბანკი" | BANK | 0,016 | 1216148 | 19,932 | 3114913609 | 31056882 | **0,039** | 0,141 | 0,01 |
| სს "[illegible] ბანკი" | GEB | 20,204 | 12,864 | 259,908 | 43,308,125 | [illegible] | **0,030** | 67,00 | 0,500 |
| სს "[illegible]" | GTC | 0,027 | 129,908 | 10,151 | 60,995,844 | [illegible] | **0,215** | 3,10 | 0,050 |
| სს "[illegible]" | NRGY | 1,011 | 910 | 920 | 70,000,000 | [illegible] | **0,001** | 1,74 | 0,167 |
| სს "[illegible]" | WINE | 0,146 | 91,369 | 13,363 | 53,457,760 | [illegible] | **0,177** | 1,420 | 0,070 |
| *სულ* | | | 1454099 | 304,871 | | | | | |

[5]

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | AKAT | 1,000 | 1,750 | 6689 | 8962 | 294767 | 2,371 |
| [illegible] | BANA | 1,776 | 1,809 | 438 | 782 | [illegible] | 0,061 |
| [illegible] | BANK | 9,025 | 0,025 | 24750019 | 622457 | [illegible] | 0,795 |
| [illegible] | ELAY | 2,646 | [illegible] | [illegible] | 614 | [illegible] | 0,054 |
| [illegible] | GEB | 30,557 | 34,850 | 58033 | 1830346 | [illegible] | 0,134 |
| [illegible] | NRGY | 1,260 | 1,300 | [illegible] | 81221 | [illegible] | 0,096 |
| [illegible] | IND | 0,100 | 0,100 | 127467 | 12746 | [illegible] | 3,821 |
| [illegible] | KASR | 0,396 | 0,406 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 49,012 |
| [illegible] | KRTI | 17,000 | 17,000 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 0,554 |
| [illegible] | MACN | 4,000 | 4,000 | 161 | 644 | [illegible] | 0,113 |
| [illegible] | MAM | 1,769 | 1,769 | 1042 | [illegible] | [illegible] | 0,230 |
| [illegible] | ONIS | 2,000 | 2,000 | 364 | 728 | [illegible] | 4,550 |
| [illegible] | SOPM | 6,000 | 6,000 | 5921 | 35526 | [illegible] | 2,012 |
| [illegible] | SSBN | 120,000 | 120,000 | 60 | 7200 | [illegible] | 1,111 |
| [illegible] | SSM | 19,480 | 19,480 | 40 | 779 | [illegible] | 0,025 |
| [illegible] | STSP | 3,000 | 4,000 | [illegible] | 942 | [illegible] | 0,063 |
| [illegible] | STP | 10,500 | 10,300 | 1630 | 17115 | [illegible] | 0,949 |
| [illegible] | TABR | 0,300 | 0,300 | 8891 | 1667 | 2 431 690 | 0,366 |
| [illegible] | TSIF | 0,900 | 0,900 | [illegible] | 2754 | 488 769 | 0,626 |
| [illegible] | TUSB | 300,000 | 300,000 | 6 | 2400 | 792 | 0,758 |
| სულ | | | | 25 135 203 | 2 677 127 | | |

[4]

გარესაბირჟო ფიქსინგით გასული პერიოდის მანძილზე დაიდო 106 გარიგება, გასხვისდა სავაჭრო ბირჟისათვის საერთოდ დიდი მოცულობის–38244547 აქცია, ხოლო თანხობრივმა ბრუნვამ სსბ–ის ისტორიაში რეკორდულ მაჩვენებელს–721380362 ლარს მიაღწია. ამის მიზეზი იყო "საქართველოს ბანკის" გადასვლა ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რის შედეგადაც ბანკის აქციები, რომელიც აშშ-ს ერთ–ერთ ბანკში იყო, გადაიდა დიდ ბრიტანეთში მდებარე სს "საქართველოს ბანკი ჰოლდინგი"–ს მფლობელობაში. ამ გარიგებაზე მოდის ფიქსინგით გასხვისებული 36 მლნ აქცია, რომლის მთლიანი თანხა შეადგენს 718187660 ლარს, ანუ მთელი ბრუნვის 99.7%. ასევე განხორციელდა სს "გორიგაზი"-ს აქციების 93%–ის გასხვისება, სს "ქუთაისგაზი"–ს 54.953%–ის, სს „საქართგაზი"–90,236% და სს „რუსთავგაზის" 59% წილის გასხვისება. სხვა ფიქსინგებიდან აღსანიშნავია სს „ლაგუნა ვერე"– გასხვისდა მისი წილის 79%–ზე მეტი. ამ შემთხვევაშიც გასხვისების ფასი მკვეთრად განსხვავდებოდა შეძენის ფასისგან– მისი შესყიდვისას 2007–2010 წწ–ში თითო აქციაში გადახდილი იქნა 43–45 ლარი, ამჟამად კი ფიქსინგით ერთ აქციაში 1 ლარია გადახდილი, ანუ სხვაობა ყიდვასა და გაყიდვას შორის არის 50 მლნ ლარი. ამის მიზეზი უცნობია ფიქსინგის გამჭვირვალობის წესის არქონის გამო. [5]

საქართველოს საფონდო ბირჟაზე 2012 წლის 17–21 დეკემბრის მონაცემებით ინდექსი ( GSX ) გაიზარდა 6.89%–ით და მიაღწია 79.89–ს. კვირის განმავლობაში ივაჭრებოდა მხოლოდ ერთი აქცია– "ლიბერთი ბანკი", რომლის დახურვის ფასიც შეადგენს 0.007 ლარს(12.5%–იანი კლება წინა კვირასთან შედარებით). სულ დაიდო ერთი გარიგება და ვაჭრობა განხორციელდა 414300 აქციაზე. გარესაბირჟო ფიქსინგით დაიდო 7 გარიგება, რომლის საერთო თანხის მოცულობამაც 3 555 ლარი შეადგინა. [2]

დასკვნა. ზემოთ მოყვანილ 2011 წლისა და 2012 წლის მონაცემების შედარების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ეტაპზე საქართველოს საფონდო ბირჟა პროგრესს განიცდის,რაც გამოიხატება ძირითადად მის სისტემაში და სისტემის გარეთ განხორციელებულ გარიგებათა მოცულობის ზრდაში.ასევე მნიშვნელოვან წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ "საქართველოს ბანკი"–ს გასვლა ლონდონის საფონდო ბირჟაზე. თუმცა ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საფონდო ბირჟის სრულყოფამდე ჯერაც ბევრი აკლია. მისი ნაკლი ძირითადად გამოიხატება ვაჭრობის

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | AKAT | 1.000 | 1.000 | 10188 | 10188 | 264763 | [illegible] |
| [illegible] | BANK | 0.017 | 0.020 | 2958349 | 4780 | [illegible] | 0.009 |
| [illegible] | CHAR | 5.393 | 5.393 | 102219 | 551267 | [illegible] | 0.654 |
| [illegible] | GEB | 10.000 | 20.000 | 35919636 | 718382740 | 43,306.125 | 82.938 |
| [illegible] | GGAS | 1.670 | 1.670 | 229243 | 382763 | 246.402 | 43.526 |
| [illegible] | GR92 | 1.657 | 1.657 | 819 | 1357 | 365.262 | 0.224 |
| [illegible] | IND | 0.900 | 0.100 | 1085 | 109 | 1,135.444 | 0.033 |
| [illegible] | KGAS | 1.670 | 1.670 | 296492 | 495142 | 590.540 | 54.953 |
| [illegible] | KLPQ | 1.000 | 1.000 | 11450 | 11450 | 568.243 | 1.903 |
| [illegible] | KRTL | 17.000 | 17.000 | 66 | 1122 | 33.171 | 0.188 |
| [illegible] | MASI | 1.000 | 1.000 | 158 | 158 | 452.967 | 0.035 |
| [illegible] | SRGA | 1.000 | 1.000 | 1870 | 1870 | [illegible] | 0.003 |
| [illegible] | RUGA | 1.670 | 1.670 | 150113 | 251008 | [illegible] | 59.255 |
| [illegible] | SANT | 1.000 | 1.000 | 424 | 424 | [illegible] | 0.782 |
| [illegible] | SOG | 1.670 | 1.670 | 47143 | 78724 | 52.244 | 90.236 |
| [illegible] | SSBS | 100.000 | 100.000 | 255 | 25500 | 5.402 | 4.720 |
| [illegible] | STP | 6.618 | 6.618 | 66 | 437 | 171.714 | 0.038 |
| [illegible] | TQFF | 0.500 | 0.500 | 4350 | 2175 | 680.353 | 0.630 |
| [illegible] | TUSB | 712.000 | 830.000 | 17 | 13972 | [illegible] | 2.446 |
| [illegible] | UQOS | 0.405 | 0.205 | 9541 | 3800 | 154.064 | 6.160 |
| [illegible] | VERE | 1.000 | 1.000 | 1164200 | 1164200 | 147.476 | 20.318 |
| [illegible] | | | | 38,244,547 | 721,380,362 | | |

[5]

გამჭვირვალობის წესის არარსებობაში, რაც შედარებით ძლიერ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ თავიანთი დიდი შესაძლებლობები და მოიპოვონ მონოპოლიური უპირატესობა ბირჟაზე. საქართველოს საფონდო ბირჟაზე მცირე რაოდენობის ფირმებს თუ მიუწვდებათ ხელი, რაც მისი სისტემის გარკვეულწილად ნაკლოვანებაზე მიუთითებს, ასევე გარესაბირჟო ვაჭრობის ცრის შეიმჩნევა ფასების მნიშვნელოვანი შემცირება, რისი მიზეზებიც მრავალგვარია. ამ მხრივ აუცილებელია სსბ-ს კონტროლის ამაღლება, მარეგულირებელი ორგანოების სრულყოფა და ახალი ნორმატიული აქტების შემოღება, რომელიც ყოველგვარ გარიგებას, იქნება ეს დადებული თვით ბირჟის სისტემაში თუ მის გარეთ, გახდის აბსოლუტურად გამჭვირვალეს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1.ც.ხვანიძე, გ.ჩანიძე, თ. ხიზანიშვილი, საბირჟო საქმე და ფასიანი ქაღალდების ბაზარი, (თბილისი, 1998წელი)

2.http://www.investgroup.ge/

3.www.gse.ge

4.http://www.investgroup.ge/padmin/ge/weekly_review/files/Georgian_Stock_and_Money_Market_Review_February_1_-_May_2.2011.pdf

5.http://www.investgroup.ge/padmin/ge/weekly_review/files/Georgian_Stock_Market_Review._March_1_-_August_22.2012.pdf


### Georgian Stock Exchange


**Berika Tsignadze**

**The fourth-year student**

**at I. Javakhishvili Tbilisi State University**

**Faculty of Economics and Business**



The above mentioned article contains the description of the origin, development and present situation of Georgian Stock Exchange. The operating activities and methods are also formed. Quantitative data of Georgian Stock Market trading for years 2011-2012 are also presented and compared. It would be desirable to elaborate the law, which will make any stock market bargains transparent and will enable the more companies to take part in Stock Market Trading. For the improvement of GSE the improvement of regulating authorities is necessary in order to approach and equalize the international standards.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრისტიანობა ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში



სალომე ახვლედიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

*სტატიაში ნაჩვენებია გლობალიზაციის თემის აქტუალობა, განხილულია მისი თანამედროვე ტენდენციები, ასევე ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარება და თანამედროვე ასპექტები. ეკონომიკური გლობალიზაცია მეტად ინტენსიური ხდება, რასაც ხელს უწყობს "მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია", "საერთაშორისო სავალუტო ფონდი" და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და შეთანხმებები.*

*სტატიაში ჩანს, რომ გლობალიზაციის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების აზრი განსხვავებულია, არსებობენ მომხრეები და მოწინააღმდეგეები. საქრისტიანოსთან მიმართებით არსებობს მოსაზრებები ქრისტიანულ სარწმუნოებაზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შესახებ. თუმცა სახელოვანი პირები აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია კანონზომიერი პროცესია. მისი ხელოვნურად შეჩერება უშედეგო და უპერსპექტივოა.*

*ამრიგად, გლობალურ ბაზარში საქართველო მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მოწყობაზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს.*

გლობალიზაციის თემის აქტუალობა 90-იანი წლებიდან მომდინარეობს. მისი ისტორიული პრეცედენტები შეგვიძლია ვეძებოთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის იმპერიული სახელმწიფოების დაპირისპირების ხანაში. 1850 წლის ინდუსტრიული კაპიტალიზმის მზარდმა ამბიციებმა მოითხოვა მეტი რესურსები და გლობალური ბაზარი. ასეთ პირობებში ტრადიციული პროტექციონიზმი გახდა "გამოუსადეგარი". ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას.

გლობალიზაციის ფართო განმარტება არსებობს, მაგალითად, "გლობალიზაცია არის ბიზნესის ინტეგრაცია გეოგრაფიული და ორგანიზაციული საზღვრების მიღმა". ტერმინ "გლობალიზაციის" ეკონომიკურ კონტექსტში გამოყენება დაკავშირებულია თეოდორ ლევიტთან (1983), რომელმაც აღწერა გლობალიზებული ბაზრების მოქმედება. თუმცა შემდგომში ამ ტერმინს ხშირად ხმარობდნენ ახალი ტიპის მულტინაციონალური ორგანიზაციების აღსაწერად. ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი აგენტები სწორედ მულტინაციონალური კომპანიებია.

გლობალიზაცია არ გულისხმობს მხოლოდ ეკონომიკურ პროცესებს. იან შოლტეს განმარტებით, "გლობალიზაცია აღნიშნავს პროცესებს, რომელთა მეოხებითაც სოციალურ ურთიერთობებს შედარებით ნაკლებად აფერხებს მანძილი და საზღვრები."

თანამედროვე ეკონომიკური გლობალიზაცია უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. ამ მოვლენას ხელი შეუწყო "მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ", "საერთაშორისო სავალუტო ფონდმა" და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და შეთანხმებებმა. [8]

ახალმა ათასწლეულმა მოიტანა ახალი მსოფლიო წესრიგი, ახალი დოქტრინები, ჩამოაყალიბა თანამედროვე საზოგადოება, ცივილიზაციამ შეცვალა ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულება, დაიწყო გლობალიზაციის პროცესები, კაცობრიობის პროგრესი გახდა მიმართული ასევე ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. ადამიანი სულ უფრო ისწრაფვის სულიერი სიმშვიდისაკენ, შინაგანი თავისუფლებისაკენ, რასაც პოულობს რელიგიასთან ურთიერთობაში.

დღესათვის ეკონომიკის გლობალიზაციამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მასში მეტნაკლებად მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული. მსოფლიო გლობალიზაცია, სხვაგვარად ნიშნავს ბაზრის გამთლიანებას. უფრო ადრე ერთიანი ქვეყანა, ერთიანი ბაზარი შექმნა, ეს იყო გლობალური ბაზარი, მაგრამ გლობალიზაცია და ერთიანობა იყო ძალის გარეშე. თუმცა შემდგომში გლობალიზაცია ორი მიმართულებით წარიმართა: ერთი იყო

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

უფლითან ერთად გაერთიანება, ღვთისადმი სიყვარული და ერთგულება; მეორე კი გლობალიზაცია ან სამყაროს გაერთიანების მცდელობა უფლის გარეშე. სამყაროს უფლის გარეშე ძალისმიერი გაერთიანების მრავალი მაგალითი არსებობს კაცობრიობის ისტორიაში, თუმცა ის, რისი გაკეთებაც მიმართულია უფლის ნების წინააღმდეგ, ყოველთვის მარცხით მთავრდება. რადგან უფალი ბრძანებს: „ყოველის, ვინც მაღიარებს კაცთა წინაშე, მეც ვაღიარებ მამის ჩემის ზეციერის წინაშე. ხოლო ვინც უარმყოფს კაცთა წინაშე, მეც უარვყოფ მამის ჩემის ზეციერის წინაშე." (სახარება მათესი, თ.10-11).

გლობალიზაციის პირობებში პოლიტიკა და ბაზარი წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას და არა მიზანს. როდესაც ადგილი აქვს ღმერთის იგნორირებას, მაშინ შეუძლებელი ხდება ადამიანის უფლებებისა და საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებების დაცვა და პატივისცემა. გადაჭარბებული სწრაფვა კომფორტისათვის საფრთხეს უქმნის ჩვენს ჭეშმარიტ ღირებულებებს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გლობალიზაციის პროცესი ბუნებრივად იწვევს მცირე ქვეყნების სიღარიბისა და კულტურების ასიმილაციასა და ზოგჯერ სრულ გაქრობასაც. მაგრამ ეს არ არის ახალი მოვლენა. ისტორიულად ცნობილი ყველა დიდი იმპერია ცდილობდა განეხორციელებინა გლობალიზაციის ერთგვარი პროცესი. დღეს კი ამან საყოველთაო ხასიათი მიიღო. უწმინდესი ბრძანებს: „ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ინტეგრაციის, რადგან წარსულის დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენი წინაპართა ძალისხმევით არასდროს დაგვიკარგავს თვითმყოფადობა, ეს დღესაც უნდა შევძლოთ". [5]

მაცხოვარმა კაცობრიობას ახალი აღთქმა მისცა და მანამდე უცნობ ზნეობრივ სიმაღლეებს აზიარა. ქრისტიანული სწავლებით, ქრისტეში ყველა ერთიანდება მიუხედავად ეთნიკური, რასობრივი, სოციალური თუ სქესობრივი განსხვავებისა. „ქრისტეში არ არის არც იუდეველი, არც ელინი, არც მონა, არც ბატონი, არც მამაკაცი და არც დედაკაცი". [5]

უწმინდესი აღნიშნავს: „ჩვენს დროში საკუთრისა და პიროვნების გაღმერთება კიდევ უფრო გაძლიერდა. ამიტომაც აუცილებელია, ვიცოდეთ, ვაცნობიეროთ, რა გარემოში ვცხოვრობთ, რა ინტეგრაციის მნიშვნელობა: რა მოაქვს და რა უარსაყოფი ქვეყნისთვისაც და ჩვენთვისაც, რა არის პირველი რიგის ამოცანა და რა შემდეგ გასაკეთებელი. ტელევიზიის, მობილური კომუნიკაციების, კომპიუტერისა და ინტერნეტის განვითარებამ მანძილი და დრო შეკვეცა და შეამცირა. ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც, ძირითადად, საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესები. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესიც. ეს ყველაფერი მრავალმხრივანი გლობალიზაციის გამოვლინებაა". [6]

ქვეყნის გლობალურ კონკურენტუნარიანობასა და გლობალურ განვითარებაზე ინფორმაციას გვაძლევს მსოფლიო ფორუმი, რომლის მიხედვითაც საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ბოლო წლების შედარებით გაზრდილია. ჩვენი ქვეყნის რეიტინგს წლების მიხედვით შემდეგი სახე აქვს:




სქემა 1: საქართველოს რეიტინგი GCI-ის მიხედვით (2004-2012წწ)

მიუხედავად ეკონომიკური გლობალიზაციის მზარდი პროცესისა, გლობალიზაციის პირობებში ქართველმა ერმა არ უნდა დაივიწყოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. რწმენა და სიყვარული აღავსებს ადამიანის გონებას კეთილი აზრებით. ამქვეყნიურ ცხოვრებაში რწმენა უმნიშვნელოვანესი სახორციელო სულიწმინდის ტაძრად შექმნილი კაცისთვის, როგორც წმინდა ალექსი ბერი ბრძანებს: „სარწმუნოება იმედის თავსაკიდურია, ვინაიდან სარწმუნოება შობს იმედს, იმედი შობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგეშისცემის. ნუგეშისცემა აღესრულება ადამიანის გარეგანში და შინაგან სამყაროში.” [7]

რადგანაც გლობალიზაცია კონფრონტაციული პროცესია და მისი სულიერებაზე შედეგები უარყოფითი და უპერსპექტივოა, საქართველო უნდა ჩაერთოს ამ პროცესში, არ უნდა დაივიწყოს ჩვენი ისტორია, კულტურა, რელიგია. წმინდა ილია მართალი ბრძანებს: „ერის თვით-ცნობის დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს... წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო - მომავლისა”. [1, გვ.11]

ქართველმა ერმა უნდა გააცნობიეროს თავისი უმთავრესი დანიშნულება და უნდა ემსახუროს მას. ღვთივკურთხეული გაჭირვების, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის საშუალებაც წმინდანის სწავლება, ცოდნა და მეცნიერება მისცა. წმინდა ილია მართალი გვასწავლის: "დღევანდელ ცხოვრებაში, სხვების თავში ის ერი ჰსხ. ვინც ორჯგმა, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიკურად წელში გამაგრდეს... თუ ეკონომიკურად წელში გავემართეთ, სხვა სამშობლო მამა-პაპათგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს, თუ ვეკრძალებით, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს ვკურთხევთ, ბევრი და მრავალი ჩვენი, ლევლის გარეშე ვერავინ შეგვაშინებს.” [3 გვ.228]

გლობალურ სამყაროში საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს.

ამ ეტაპზე პიროვნების შეხედულება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი არსებობისა და შემდგომი განვითარებისათვის. თუმცაღა ერთ-ერთი მთავარი მიკვლევა უმჯობესი შედეგის მიღწევა იქნება ქვეყნისათვის. მნიშვნელოვანია პატრიარქის აზრი აღნიშნულთან დაკავშირებით. უწმინდესი ბრძანებს: „რწმენა აუცილებელია, მაგრამ მასთან ერთად ეკონომიკური, მეცნიერული, ტექნიკური განვითარებაც საჭიროა”.

ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული პრიორიტეტების განსაზღვრა. ასეთი დამოკიდებულია თუ როგორ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, ვინაიდან უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სამეცნიერო, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროს, რომ ჩვენი ქვეყანა სრულფასოვან სახელმწიფოდ იქცეს. უწმინდესის სიტყვები დავიმოწმოთ: „საჭიროა მთელმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი ქართველმა დიასპორამ ყველაფერი გააკეთოს ამისათვის, რომ მაქსიმალურად ობიექტური ინფორმაცია მიიღოს ჩვენი ისტორიის, კულტურისა და დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ”. [5]

უწმინდესი განსაკუთრებით მიმართავს ქართველ ახალგაზრდებს: „შეიყვარეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტთან მიმდინარეობს. უფალი ბრძანებს: „ჩე გძლიე სოფელსა, რაჲთა მე მძლევდეს სოფელსა” (ინ.16,33). ქართველმა ერმა რომ ყველაფერი შეინახოს და განავითაროს, საჭიროა გაერთიანდეს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ეკლესიის ძალისხმევა”. [6]

ქართველი ერის ყველაზე საიმედო და უძლეველი იარაღი ერთგულების შენარჩუნებისათვის სარწმუნოება და სულიერი სიწმინდეა, რწმენაზე დაფუძნებული ცოდნა და ადამიანის მეცნიერებისა და მიღწევებისა. მორწმუნე საზოგადოება უზრუნველყოფს ქვეყნის კეთილდღეობას თავისი რწმენით, სიყვარულით და მორალით, რაც მიიღწევა ქრისტიანული ცხოვრებით. ასეთი წესით აღზრდილი თაობები განაპირობებს ჩვენი ქვეყნის სულიერი და ეკონომიკური განვითარების საქმეს. სწორედ მორწმუნე ადამიანებმა უნდა დაუდონ სათავე თანამედროვე გლობალური ეკონომიკის განვითარებას.


### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დეკანოზი ბიძინა გუნია, „ერთსულოვნებისა და მშვიდობისათვის”. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „ქრისტიანობა და ეკონომიკა”, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009 წელი.
2. ელგუჯა მექვაბიშვილი, "გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები", ჟურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა" №4, თბილისი 2009 წელი;
3. ილია ჭავჭავაძის ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება, თბილისი, გამომცემლობა "ხელოვნება", 1990 წელი, წიგნი 2.
4. ინგა ბაგნიძე, „სულიერი სიმდიდრის პრინციპი მართმადიდებლურ სწავლებაში”, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „ქრისტიანობა და ეკონომიკა”, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


5. ღვთიური სიბრძნის მართმადიდებლური ენციკლოპედია, ქრისტის შობით ნათლისღებამდე, თბილისი, 2007 წელიწადი, საქართველოს პატრიარქის საშობაო ეპისტოლე, 2006. http://kvirike.ge/v2/?p=75

6. პატრიარქის საშობაო ეპისტოლე,2007 წელი. http://www.shemoqmedi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=3275&Itemid=54&lang=en

7. http://ediscourse.wordpress.com/2008/02/24/3/ გლობალიზაცია და მისი ასპექტები, გლობალიზაციის ქვეყნის თავისებურებები და მნიშვნელობა.

8. www.weforum.org, 2011-2012 წელი


## Christianity in the globalization conditions


**Salome Akhvlediani**
**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**
**Faculty of Economics and Business**



In the article is shown the actuality of this them, it reviews modern tendentious of economical globalization, development and modern aspects of this process. Economical globalization is becoming more intensive, that is promoted by international agreements and organizations like "World Trade Organization (WTO)", "International Monetary Fund (IMF)" etc.

The article shows that, there are controversial opinions about the process of globalization in society, there are number of supporters as well as opponents with various arguments. And about Georgia there are considerations that the process of globalization will probably have negative impact on our religion-Christianity. But theological persons say that economical globalization is nacural process and it's practically impossible and unperceptive to stop it.

In this way, in the globalized world Georgia can survive and gain worthy place only whether Georgians create modern technologies and achievements based on their traditions.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები

## ფრანგულმა ტელეკომმა შვეიცარული ფიქსური სატელეფონო კავშირი გაყიდა

მოლაპარაკებების შედეგად, ფრანგული ტელეკომი დათანხმდა გარიგებას და შვეიცარული სატელეფონო კავშირი 1.6 მილიარდ ევროდ მიჰყიდა ლონდონურ ფირმა Apax Partners-ს.

გარიგებას, რომელიც უკვე მოწონებულია შვეიცარული მხარის მიერ, სავარაუდოდ მომავალი წლის იანვრის პირველ რიცხვებში დასრულდება.

Apax-მა, მიმდინარე 2011 წელს, 20-ზე მეტი გარიგება დადო, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი 6.5 მილიარდ დოლარიანი შეთანხმებაა ამერიკულ კომპანია Kinetic Concepts-თან.

The New York Times http://www.nytimes.com

## მყიდველები, მომხმარებლები, გაყიდვები

ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიმდინარე წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში, მომხმარებელთა მიერ გაწეული საკმაოდ დაბალი დანახარჯები, შობის მოახლოებამ ძვირფასად მაინც გაზარდა.

ე.წ. შავმა პარასკევმა, ანუ ტრადიციული საშობაო საყიდლების სეზონის გახსნამ წელსაც გრანდიოზული ფასდაკლებები შესთავაზა მყიდველებს. თუმცა, დაბალი ფასები მხოლოდ საახალწლო ციებ-ცხელების ბრალი არ ყოფილა. ზოგიერთი გამყიდველი უბრალოდ იძულებული გახდა ფასი მნიშვნელოვნად შეემცირებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისედაც ნაკლებ დანახარჯზე ორიენტირებული მყიდველის გარეშე დარჩებოდა.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ოჯახები ფულის ნაკლებად ხარჯვის პარალელურად სახლების შესყიდვითაც ინტერესდებოდნენ. შესაბამისად, ერთი ოჯახისთვის განკუთვნილი ახალი სახლების გაყიდვები ნოემბერში 1.6%-ით გაიზარდა და ბოლო 7 თვის მანძილზე ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია.

The New York Times http://www.nytimes.com

## ევროში გაცემული სესხების სარეკორდო პაკეტი

მიუხედავად ცენტრალური ბანკის მხარდაჭერისა, ევროპის ფინანსური კრიზისი საბანკო სისტემაზე მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამიტომ, ცენტრალურმა ბანკმა, საბანკო სექტორს შესთავაზა დამატებით აიღონ მისგან სესხი მათთვის სასურველი თანხით და 3 წლის ვადით. აღნიშნული შეთავაზების პასუხად, ევროპის 523-მა ბანკმა - ბოლო 13 წლის მანძილზე ცენტრალური ბანკის მიერ ევროში გაცემული სესხების ყველაზე დიდი პაკეტი - 489 მილიარდი ევრო აიღეს.

The New York Times http://www.nytimes.com

## ინდოეთი „არასასურველ" ინფორმაციას ბლოკავს

ინდოეთში, კერძოდ ახალ დელიში, სასამართლომ დაადგინა, რომ სოციალური ქსელებიდან - Facebook, Google Inc, Yahoo Inc - ყველა არასასურველი, კერძოდ კი ანტირელიგიური და ანტისოციალური შინაარსის მატარებელი ინფორმაცია უნდა წაიშალოს.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება წაქეზებული იყო ინდოეთის მთავრობის სურვილით – ინტერნეტი გაეწმინდა „არასასურველი" ინფორმაციისგან, მათ შორის, რელიგიური ფიგურებისგან.

თავის მხრივ, ინტერნეტ კომპანიები არ ეთანხმებიან სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას და მთავრობას განუცხადეს, რომ მათ ინფორმაციის შინაარსის დაბლოკვა არ შეუძლიათ.

The Wall Street Journal www.wsj.com

## BMW-სა და Mercedes-ის დუელი

BMW AG და Mercedes – Benz ერთმანეთს იმის გასარკვევად ეჯიბრებიან, თუ რომელია ყველაზე გაყიდვადი მდიდრული მანქანა აშშ-ს ბაზარზე.

რომ გერმანულმა, ძვირადღირებული მანქანის ბრენდმა, ამ წელს უკან ჩამოიტოვა Toyota Motor Corp's Lexus, რომელიც 2000 წლიდან მუდმივად ლიდერი იყო ამერიკაში ძვირადღირებული მანქანების გაყიდვების ბაზარზე. ახლა კი BMW AG და Mercedes –Benz იბრძვიან მხარდამხარ ამ საპატიო ტიტულისთვის.

2011 წლის დეკემბრის მონაცემებით, BMW-მ ამერიკის ბაზარზე 221,073 მანქანა და სპორტული სარგებლობის გადასაზიდი საშუალება გაყიდა, რის შედეგადაც 12.3%-ით დაწინაურდა და მხოლოდ 1,582-ით გაასწრო Mercedes – Benz-ს, რომლის გაყიდვების მოცულობაც გასულ წელთან შედარებით 11.8%-ითაა გაზრდილი.

The Wall Street Journal www.wsj.com

## Apple საცალო გაყიდვების გზაჯვარედინზე

სტივ ჯობსი რომ Apple-ს მამოძრავებელი ძალა იყო, ამაზე არავინ დავობს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში კომპანიის მოცულობის მნიშვნელოვანმა ზრდამ, გარკვეულწილად შეზღუდა ერთი ადამიანის ინდივიდუალიზმის გავლენა და ადრეული პერიოდისგან განსხვავებით, Apple, ჯობსზე შედარებით ნაკლებად დამოკიდებული გახდა.

სტივ ჯობსის სიკვდილით, კომპანიამ უმნიშვნელოვანესი ადამიანი დაკარგა, თუმცა, ამ ტრაგედიის მიუხედავად, Apple ცდილობს ბაზარზე პოზიციები არ დათმოს.

Apple-ის პირველი საწყობი 2001 წელს გაიხსნა. დღევანდელისთვის კი კომპანიას 368 საწყობი აქვს, რომელთა რაოდენობის გაზრდასაც ის მუდმივად ახორციელებს, რადგანაც თვლის რომ ეს საკმაოდ მომგებიანია.

The Wall Street Journal www.marketwatch.com

## მსოფლიო ეკონომიკა – აწმყო და მომავალი

ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის ცენტრის უკანასკნელი (CEBR) მონაცემებით, მსოფლიო ეკონომიკაში ახალი ქვეყნები უფრო და უფრო ყიდულობენ, ხოლო ევროპის ქვეყნები ნელ-ნელა ლიდერობას თმობენ.

CEBR-ის თანახმად, 2016 წლისთვის დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა საფრანგეთისას წამოეწევა. 2012 წელს კი ევროს პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაში ევროზონის ეკონომიკა 0.6%-ით შემცირდება, ხოლო გადაუჭრელობის შემთხვევაში - 2%-ით, ვიდრე იმის ალბათობაც, რომ ბრაზილიის ეკონომიკა დიდი ბრიტანეთისას წამოეწევა.

რაც შეეხება უფრო გრძელვადიან პროგნოზებს, 2011 წელს მეათე ადგილზე მყოფი ინდოეთი 2020 წლისთვის მეხუთე ადგილზე გადაინაცვლებს. ამასთან, მეოთხე ადგილის მფლობელი გერმანია მეშვიდეზე, ხოლო მეშვიდე პოზიციის მქონე დიდი ბრიტანეთი – მერვეზე. რაც შეეხება მეხუთე ადგილზე საფრანგეთს ის 2020 წლისთვის მეცხრე ადგილზე აღმოჩნდება.

| CEBR - მსოფლიო ეკონომიკა | | |
|---|---|---|
| ადგილი | 2011წ. | 2020წ. (პროგნოზი) |
| 1 | აშშ | აშშ |
| 2 | ჩინეთი | ჩინეთი |
| 3 | იაპონია | იაპონია |
| 4 | გერმანია | რუსეთი |
| 5 | საფრანგეთი | ინდოეთი |
| 6 | ბრაზილია | ბრაზილია |
| 7 | დიდი ბრიტანეთი | გერმანია |
| 8 | იტალია | დიდი ბრიტანეთი |
| 9 | რუსეთი | საფრანგეთი |
| 10 | ინდოეთი | იტალია |

BBC www.bbc.co.uk

უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები. უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის III კურსის სტუდენტმა
თამთა შეტილავამ

ბიბლიოთეკა

# გამოვიდა პროფესორ დემურ ჩომახიძის წიგნი – ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები




აღნიშნულ მონოგრაფიაში მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე, გაშუქებულია ენერგეტიკის სახელმწიფო რეგულირების არსი, პრინციპები, ამოცანები, მისი სტრატეგიული მიზნები და გავლენა ქვეყნის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, ძირითადი რეგულირების საფუძვლები ფასწარმოქმნასა და ლიცენზირებაში. ამ თვალსაზრისით გაანალიზებულია საქართველოში ენერგეტიკის რეგულირების 15-წლიანი გამოცდილება და მიღწეული შედეგები, გამოთქმულია მოსაზრებები მისი სრულყოფისათვის და სხვ.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის: სამეცნიერო და პრაქტიკოსი მოღვაწეებისათვის, უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. იგი საინტერესო იქნება ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულთათვის, ყველასათვის, ვინც ამ პრობლემებით არის დაინტერესებული.

ი145/7

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გამოსათხოვარი

ქართულმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. რამდენიმე დღის წინ უდროოდ წავიდა ჩვენგან გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **გივი გამსახურდია**. პროფესორი გივი გამსახურდია ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მუხლჩაუხრელად ემსახურა ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას და ეკონომისტ-სპეციალისტთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ის იყო სამაგალითო პიროვნება, ყურადღებიანი, თავმდაბალი, გულისხმიერებით გამორჩეული მოქალაქე, ფართო დიაპაზონის მეცნიერი და ტკბილმოუბარი ლექტორი, უანგარობით, პატიოსნებით აღჭურვილი კოლეგა და ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი დატოვებულ იქნა ფინანსებისა და კრედიტის კათედრაზე და ამ კათედრაზე თითქმის ხუთი ათეული წელი იმუშავა, როგორც დოცენტმა, პროფესორმა და კათედრის გამგემ.

გარდა საუნივერსიტეტო საქმიანობისა, ბატონმა გივიმ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობას დიდი გზა განვლო. ის იყო ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი, აბაშის რაიკომის მდივანი, საქართველოს სახალხო კონტროლის თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

უკანასკნელ წლებში გივი გამსახურდიამ თავისი პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობა სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. გახლდათ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის სრული პროფესორი; ჩვეული სიბრძნითა და დიდი პედაგოგიური ტაქტით ხელმძღვანელობდა არაერთ ბაკალავრს, მაგისტრანტსა და დოქტორანტს.

პროფესორი გივი გამსახურდია საფინანსო-ეკონომიკური მეცნიერების უაღრესად ავტორიტეტული სპეციალისტი, 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის, არაერთი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი. ბატონი გივი წლების მანძილზე იყო ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის აქტიური წევრი.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის" სარედაქციო კოლეგიის წევრები და თანამშრომლები თანაგრძნობას ვუცხადებთ ბატონ გივი გამსახურდიას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის"
სარედაქციო კოლეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომისტი

**საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი**
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

აგრძელებს სტატიების მიღებას შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. **ტექსტი** აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNucx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. **ავტორის** სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო **კორდინატები,** (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს **რეზიუმე** ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს **ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ** ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი **8 ლარი,** რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HB0000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო", ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: info@economisti.ge ან info@loi.ge
ტელ: 422 771; 99-05-76; 855 277 554; 895 32 30 34.
**PS.** სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

## International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines- 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.

3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article may be published in **English, Russian, German and France** languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and Egnlish languages too.

The price of article's publication is- one page of journal 8GL(lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5GL(lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in **Ltd.** "loi's" account: identification code – 204439296, the account number- GE61HB0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: info@economisti.ge or info@loi.ge
Tel: 99 05 76; 422 771; 855 277 554; 895 32 30 34.
**PS.** Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

GRANI

Holis-ის ფირმის ფარდა-ჟალუზე

ფერთა ფართო არჩევანი

პლასტმასის

მეტალის



ხის

ტილოს

.: საქართველო,
ილისი 0112, ცაბაძის 7 (დინამოსთან)
ım.: 35 77 00

Add.: 7, Tsaba
0112 Tbilisi,
Phone: +995 32 3